

# საქართველოს მთავრობა




2015 წლი, № 3 სიცოდურის მინისტრის სახელმწიფო საჭიროებულო ურნალი  
იორე ივანიშვილის




სიცოდურის  
მინისტრის  
სახელმწიფო  
საჭიროებულო  
ურნალი

გიორგი  
გლვალებონეგვა  
სერგიეგვა  
ჩიჩეგოვის  
საგურნალო  
იათოდები



აქტუალური - 175






# ပြည်သူနေဂျာမှု

ရွှေ  
မြန်မာ  
ဂုဏ်

ဒေဝဇာ ဝါယာ မာရတဲ့ နားချုပ်လဲ  
စာလိပ်စာမျက်နှာ  
ဗျာများ

2015



წმიდან ილია მართალო,  
ევალრე ღმერთსა ჩვენთვის!

№ 3

2015

# საქართველოს

## კოსტუმი

ფინანსთა მართლის (ფაზჭავაძის)  
სახელობის სალიტერატურო ჟურნალი

გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა ძიპსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი ძიპსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,  
გული მიპსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“



## შინაარსი

|  |    |
|--|----|
| მრავალი  | 5  |
| ფინანსთა მართლი  | 7  |
| კატეგორია  |    |
| საშობაო ეკისტოლე (2015 წელი)   | 8  |
| მოძღვანი   |    |
| სემარეიმადლიტი იოანე (მასლოვი)   |    |
| ლექციები სამოძღვრო ღმრთისმეტყველებაში (წმ. იოანე ოქროპირის სწავლებანი) | 13 |
| მღვდელ-მოცაზონი ალექსის თხრობანი                                       | 20 |
| გელიცინა   |    |
| ლილოზამე სერაფიმე (ჩიჩაგოვი) ადამიანის ორგანიზმის გამოჯანმრთელება      | 23 |
| აპარი წერეთელი-175   | 28 |
| იუბილიდან იუბილემდე  | 29 |
| აკაკის ნაკვესი სიტყვა  | 35 |
| აკაკის ნაკვესები   | 37 |
| ლიტერატურული ლობათი  |    |
| პროზა  | 39 |
| პოეზია   | 45 |
| თარგმანი   | 50 |
| „სადაურსა სად ფაიფან“  | 51 |

|   |    |
|---|----|
| „ჩვე დედაა ერისა“   | 53 |
| „ბურჯი ეროვნებისა“ .....                                  | 53 |
| იაკობ გოგებაშვილის ანდერმი .....                          | 56 |
| ხელოვნება   | 58 |
| ტრიუმფი „ლა-სკალაში“ .....                                | 58 |
| „ამ პატარას, იმ პატარას...“                               |    |
| როგორ გაათხოვეს გლეხის ქალი (აზალი ქართული ზღაპარი) ..... | 62 |



## მადლობას ვწირავთ

შალაშ თალავის შერს

**ბათონ კლატონ კალმახელიძეს,**

რომლის უშუალო თაცალგომითა და უაღვეობითაც

გლებელება შურცალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა



**ლმერთმა დალოცოს მაცონი დაჭით ღიმინაშვილი იჯახდით**

„საქართველოს მოამბის“ რედაქციის სამიმარს უცხადებს  
შურცალის რედაქტორ-გამოცემელს, მაგა ილია ჩიკვაიძეს  
გამილის – მარი ჩიკვაიძის გარდაცვალების გამო.  
მართლმადიდებელ ეკითხველს ვთხოვთ,  
ლოცვებში მოიხსენოს  
ახლადშესვენებული მხევალი ლვიტისა მერი

მართლმადიდებელ ეკითხველს ვთხოვთ,  
ლოცვებში მოიხსენოს  
ლვიტივასევენებული მონა ლვიტისა თეიმურაზ ლემინაშვილი

რედაქტორ-გამოცემელი: მდვდელი ილია (ჩიკვაიძე)  
აასუხისმგებელი რედაქტორი: გრიგოლ (გოჩა) სოჭიაშვილი  
შმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო შურცალი  
„საქართველოს მოამბე“

აკრედიტებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ



მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, მე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

## କ୍ରାନ୍ତିକାରୀ ପାଦମଣି

1

து சுந்தரி கீ பிரதி 27

தமிழ் என்ன பிரதி - -  
உருபு குடியேற்று கீ,  
கூடாரம் வெந்தல் - -  
உருபு தந்திரம்,  
கூடாரம் தங்கள் - .

- உருபு அழியுவது கீது கீ +  
உருபு அழியுவது கீது உருபு,  
கூடாரம் அழியுவது கீது  
கூடாரம்.

நாடி பொதுக்கும் முன் ;  
ஏனை கீது, கூடாரம் ;  
உருபு ஏனை முன் முன் !  
தங்களை ஏனை முன் முன் !  
கூடாரம் ஏனை !  
கூடாரம் ஏனை !  
ஏனை ஏனை என்ற முன் முன் ,  
ஏனை ஏனை என்ற முன் முன்

தங்களை கீது - -  
2015 பெப்ரவரி, பிரதி

## მიმდინარეობის ილია მართალი



### პ ი ტ ი

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო  
ვით ფრინველმა გარეგანმა;  
არა მარტო ტკბილ ზმებისთვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,  
მიწიერი ზეციერსა;  
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარვუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის  
მისთვის ღვიგის ცეცხლი გულში,  
რომ ერისა მომმედ ვიყო  
ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული.

მაშინ ციდამ ნაპერწკალი  
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,  
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ  
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

### ს ჭ ა ვ ლ ე ბ ა ნ ი

„დიდი მამულის-შვილური სიყვარული  
და ღრმა სარწმუნოება – ორი უძლიერესი  
გრძნობაა ადამიანისა.“

\* \* \*

„ამ წუთისოფელში ადამიანს ბევრი და  
მრავალსახის საქმე აქვს საკეთებელი, რო-  
გორც კერძოდ თავისათვის, ისეც ზოგადად  
ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი  
დანიშნულება არა აქვს. სათითაოდ ყველას  
რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს.  
მაღალ ზნეობის თვალის წინაშე სიდიდე  
ადამიანისა დანიშნულების სიდიდეზედ  
არ არის დამოკიდებული. მრავალგვარია  
ნიჭიერება, ღონე და მიღრეკილება ადამიანისა.  
სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ  
აურჩია საქმე თავის ნიჭისა და ღონესა,  
მიღრეკილებასა და ვინ როგორ უძლვება.  
თვითონ საქმის მეტ-ნაკლებობა აქ არაფერს  
შუაშია, დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ  
კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაპჭიდოს ხელი,  
რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი  
მიუწვდება. უამისოდ ყოველი საქმე მცირეა  
და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია.“

\* \* \*

„ჩვენის ისტორიის სახელი და დიდება,  
ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთ-  
მომქმედი მხნეობა, თავ-გაწირვა, თავ-  
დადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათელით არის  
განსხივებული, იმ შარავანდედით არის მო-  
სილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“,  
წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმარ-  
თულმა, მოჰვინა მთელს ჩვენს ქვეყანასა.  
ამ ძელზედ, სხივოსანის ასოებით, ქრისტეს  
წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის  
იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია  
ყოველსა მცნებაზედ: გიყვარდეს მოყვასი შენი,  
ვითარცა თავი შენი“.

პ ა ტ რ ი ა რ პ ი



ენტიტეტისა და უნიკატესის, სჩედრიალ საქათველოს  
კათოლიკოს-პატიარქის იღია II - ის

**საშობაო ეპისტოლე**



ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიებო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო... ყოველნო შვილნო საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ!

„მოხედნა ღმერთმა და ყო ხსნა „სიტყვაი ივი ხორციელ იქმნა ერისა თუსისა“ (ლპ.I,67). და დაემკვიდრა ჩუენ შორის“ (იბ.I,14).

დამთავრდა ძველი აღთქმის ჟამი და აღ-სრულდა წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები: ბეთლემის გამოქვაბულში ხორცშესხმული მოგვევლინა საუკუნეთა უწინარესი ღმერთი, – ყრმა იესო.

ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობს ღვთის-მშობელი, რაღგან დღეს ნეტარების საუფლოდან განდევნილი ადამის მოღგმა განღმრთობას იწყებს და ჩვენი დაცემული ბუნება სამეუფო ღირსებით იმოსება.

წმიდა ქალწულმა მარიამმა, „ძველის თანანადების გამომსყიდველმან და მთელი ქმნილებისათვის ცხონების მშობელმან, გახსნა პირველ ევას მიერ შექრული კვანძი და სამყაროს მარადიული სიცოცხლის სათავედ და ახალ დედად მოევლინა“ (წმ. ირინეოს ლიონელი). სწორედ მისი სახით დაიწყო ქრისტიანული ერა რომელმაც მანამდე არ-ნახულ სიმაღლეებს აზიარა აღამიანი.

ქრისტიანულ სწავლებაში სხვა დატვირთვა შეიძინა ოჯახურმა ურთიერთობამაც: „ცოლი როდია თავისი სხეულის უფალი, – არამედ ქმარი; არცა ქმარია თავისი სხეულის უფ-

ალი – არამედ ცოლი” (I კორინთ.7.4), – გვასწავლის მოციქული და დასძენს:

„ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არის ქრისტესა, ეგრეთცა ცოლინი-თასთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდეთ ცოლი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესია და თავი თუისი მისცა მისთუის“ (ეფ. 5.24-25).

ქმარი არის ოჯახის თავი, რადგან მას ღვთისგან დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა, საჭიროებისამებრ ყოველთვის დაიცვას ცოლი და შვილები, იყოს ერთგული წინამძღოლი და მასაზრდოებელი;

ქალსაც არანაკლები დანიშნულება აქვს. მისი მთავარი ფუნქციაა შვილთა ყოლა, მათი აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, რაც მის საზოგადოებრივ აქტიურობას არ გამორიცხავს.

როდესაც მეფე-დედოფალი ჯვარს იწერს, ისინი მღვდელთან ერთად სამჯერ გარშემო უვლიან ანალოდიას, რომელზეც სახარებაა დაბრძანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან მთელი ცხოვრება ერთმანეთს და ღმერთს დაუკავშირონ.

ქრისტიანული ოჯახი ეფუძნება მღვდელმოქმედებით მადლს, რაც ქორწინების საიდუმლოს გულისხმობს; აქ ხდება ეგოისტური „მეს“-გან სრული დაცლა, რადგან ერთი პიროვნება მთლიანად უძღვნის თავს მეორეს. ისინი სიყვარულით ერთიანდებიან ქრისტეში, რათა ერთად იზრუნონ ცხონებისათვის და მეუღლეობის საკვრელით დაკავშირებულნი წარდგნენ ყოველთა მეუფის წინაშე.

დიდი ბედნიერებაა ოჯახის შექმნა სიყვარულით, მაგრამ მთავარია ამ მადლის შენარჩუნება და გამრავლება.

როდესაც ადამიანი შეყვარებულია, იგი მისთვის სასურველ პიროვნებაში ხედავს ისეთ თვისებებს, რასაც შესაძლოა სხვები ვერ ამჩნევდნენ. ამ დროს ხდება მეორე ადამიანში დაფარული შინაგანი მშვენიერების აღმოჩენა.

„რა კარგი უნდა იყოს ერთი იმედით, მსახურებითა და რწმენით ორი გულის შეერთება, – წერს ტერტულიანე. ჭეშმარიტად, ისინი ორნი არიან ერთ სხეულად განმთლიანებულნი, ხოლო სადაც ერთი სხეულია, იქ ერთსულოვნებაა. ისინი ერთად ლოცულობენ, ერთად იდრეკენ მუხლს, ერთად მარხულობენ, ერთმანეთს ამნევებენ. თანასწორნი არიან ღმერთის წინაშე. თანაბრად ინაწილებენ ღევნასა და

ნუგეშს, არაფერს უმალავენ და არც ამძიმებენ ერთმანეთს... ხედავს რა მათ ერთობას, უფალი ხარობს, სახლს მშვიდობას მოჰქონდება და მკვიდრობს მათთან ერთად“.

ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში შემდგომი ეტაპი არის შვილიერება. ბავშვების დაბადება და მათზე მზრუნველობა სრულყოფის კიბეზე ამაღლების ახალი შესაძლებლობაა, რადგან მეუღლეთა ურთიერთსიყვარული, ამ შემთხვევაში, გრძნობის ხელახალ გადანაწილებას ითხოვს; ადამიანი კიდევ უფრო მეტად ემიჯნება ეგოისტურ „მეს“ და კიდევ უფრო მეტად ფართოვდება მსახურების არეალი, რაც ღვთის სათონ ცხოვრებას განამტკიცებს.

როგორი სიუკეთხით გვწრთვნის უფალი! როგორ ნელ-ნელა და თანდათანობით ავყავართ მას უმაღლესი სიყვარულის საფეხურებზე, ყველა პირობას გვიქმნის, რომ ჩვენი დაცემული მდგომარეობისაგან გვიჩსნას და მარადიული ნეტარებისთვის მოგვამზადოს.

ასეთი ოჯახი, ასეთი ერთობა ქალისა და კაცისა, სიმბოლურად „მცირე ეკლესიად“ იწოდება, რომლის სიმტკიცეც დაურღვეველია.

თუმცა ფაქტია, რომ ჩვენს ყოფაში უფრო ხშირად გვხვდება ისეთი ოჯახები სადაც უგულებელყოფილია პასუხისმგებლობა და მოვალეობები; ისინი მოკლებულნი არიან ღვთის მადლს და უსიხარულოდ ცხოვრობენ ან, საერთოდაც, ირღვევიან;

უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს ბევრი ადამიანის ცხოვრების წესი ოჯახური სიწმინდის წინააღმდეგ არის მიმართული. ბოლო პერიოდში კი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, რაც ქორწინებისთვის ახალგაზრდების მოუმზადებლობით არის განპირობებული.

განვიხილოთ რამდენიმე გარემოება:

1. ქორწინებაში მყოფ ხშირად მხოლოდ გატაცება აკავშირებთ და თანაცხოვრების პირობებშიც ვერ აღწევენ იმ სიყვარულს, იმ ერთგულებასა და თავგანწირვას, რისთვისაც არიან მოწოდებულნი, ამიტომაც მალევე კარგავენ ერთმანეთისადმი ინტერესს და სცილდებიან.

2. ახლადშეუღლებულნი, მართალია, სიყვარულით ქმნიან ოჯახს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რას ნიშნავს მეუღლეობა, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ

მათ და რას მოითხოვს იგი თითოეული მათგანისგან; ისინი ადვილად კარგავენ იმ განწყობას, რაც ერთად მყოფობის პირველ პერიოდში პერიოდში პერიოდში იწყება იმედგაცრუება, ერთმანეთში მრავალი ნაკლოვანების აღმოჩენა და დაუთმენლობა. გაღიზიანება იმ მდგომარეობამდეც მიდის, რომ ერთ დროს სანუკვარი ადამიანი, უკვე აუტანელი ხდება.

3. მეუღლეთაგან ერთი იჩენს ერთგულებასა და თავდადებულ სიყვარულს, მაგრამ მეორე ამ გრძნობებს სათანადოდ არ აფასებს და მხოლოდ თავისი ვიწრო ეგოისტური სურვილების ტყვეობაშია.

საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ და მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ ადამიანში სხვისი ფლობის სურვილი და მომსმარებლური სული გააძლიერა. დღეს უკვე ამგვარი მიღვომა შექმო ოჯახის წევრებსაც და ეგოისტური მიზნებით თვით მათი გამოყენების მცდელობები გააჩინა. ასეთი დამოკიდებულება ოჯახურ ყოფას გაუსაძლის ხდის.

4. ხდება ისეც, რომ მშობლები ზოგჯერ უხეშად ერევიან წყვილის ცხოვრებაში. მათ უჭირთ შვილთან ერთგვარი განშორება და ძველებური ურთიერთობის შეცვლა; ისინი კრიტიკულად აღიქვამენ ახალ ვითარებას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხელის შემწყობნი ხდებიან ოჯახის დანგრევისა.

რა თქმა უნდა, მშობლების პატივისცემა და სიყვარული ბუნებრივიც არის და სავალდებულოც ყველასთვის; ასევე ბუნებრივია ახლობლების, მეგობრების, ნათესავების... სიყვარული, მაგრამ ცოლ-ქმრულ ყოფა სრულიად განსხვავებულია; ამისთვის ბრძანებს წმინდა წერილი: „მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას შეუერთდება თავის ცოლს, რათა იყვნენ ორნივე ერთ ხორც“ (ეფ. 5.31). ეს საიდუმლო დიდია და მისი დარღვევა – აკრძალული.

5. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ირღვევა ოჯახი, არის ნარკომანია (ასევე ალკოჰოლიანი სასმელების ზედმეტად გამოყენება) და ბოროტი ძალების გავლენით ადამიანებზე ზემოქმედება. ორივე მდგომარეობაში პიროვნებას წართმეული აქვს თავისუფალი ნება, ოღონდ პირველ შემთხვევაში, ადამიანი ვერ უძლებს საცდურს და მასზე მიჯაჭვულობის გამო,

ფაქტიურად, ნებაყოფლობით ამბობს უარს თავისუფალ ნებაზე, მეორე შემთხვევაში კი, გაუცნობიერებლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.

არადა, თავისუფალი ნება ღვთისგან ჩვენთვის მონიჭებული დიდი საბოძვარია. უფალმა არ შეურაცხჲყო პიროვნების ღირსება, არ აქცია იგი მისი სურვილის უბრალო აღმსრულებლად, არამედ მისცა უფლება არჩევანისა.

ამიტომაც ეს ცოდვები ღვთის გმობად სახელიდება და მათგან განთავისუფლება მხოლოდ ლოცვით, მარხვით და ეკლესიური ცხოვრებით შეიძლება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს ისეთი ყოფა მკვიდრდება, რომელშიც ყველა ებებს თავისას და არა იმას, რაც სათნოა ქრისტესთვის (ფილ. 2,4).

სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრალება – ჩვეულებად, გულგრილობა – წესად, უზნეობა და თავაშვებულობა – მისაბამად; ცილისწამება და ძალადობა – ყოველდღიურ მოვლენად; ანუ ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებთათვის ცოდვითი ყოფა ნორმა ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება.

აგრესია განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებში და მამაკაცების გარკვეულ ნაწილში; განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩენებ და ოჯახის მარჩენალისა და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს, რამაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარის შორის ფუნქციური ბალანსი სრულად დაარღვია. ეს კი იწვევს ორივე მხარის დაძაბულობასა და გაღიზიანებას. რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალების სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება.

მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება სამუშაო აღვილების შექმნასა და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია. თუ ეს განხორციელდა, დიდად შეეწყობა ხელი ოჯახში სხვა სახის ძალადობის აღმოფხვრასაც და ცხოვრების, ასე თუ ისე, ნორმალურ კალაპოტში ჩაღვომას.

ვფიქრობთ, ეს სერიოზულ გავლენას იქნიებს თვითმკვლელთა რიცხვის შემცირებაზეც. ადამიანები, განსაკუთრებით ურწმუ-

ნონი, თუნდაც, რომ ფიზიკურად ძლიერნი იყვნენ, კრიტიკულ სიტუაციებში უსუსურნი ხდებან, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობან და რესურსი სიმტკიცისა მაღლე ეწურებათ.

ავადმყოფობით, უსახსრობით, უბინაობით, ვალებით... გამწარებულებს ჰყონიათ, რომ თავის მოკვლით პრობლემებისგან განთავისუფლდებან; სინამდევილეში კი ამ ქმედებით ისინი მარადიული ტანჯვისა და სიკვდილის იმ კარს აღებენ, სადაც მათ ვეღარავინ უშველის (გამონაკლისს სულით ავადმყოფები წარმოადგენენ).

ჩვენთვის ბოძებული მიწიერი ცხოვრებით უფალმა შესაძლებლობა მოგვცა მარადიულ ნეტარებაში დავმკვიდრდეთ. ვინც ამ შემოთავაზებაზე უარს ამბობს, საკუთარი თავის მიმართ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი ხდება და თავისი ნებით ჯოჯოხეთის სკნელში აღმოჩნდება. ეს იმდენად დიდი დანაშაულია, რომ მათვის ლოცვაც აკრძალულია.

### ღმერთმა ყველა დაიფაროს თვითმკვლელობისგან!

გასულ წელს მსჯელობის საგანი იყო ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობა; თუმცა, მხოლოდ ამ თემით შემოფარგვლა საკრძალისი არ არის. სამწუხაროა, რომ არ იმართება დისკუსიები და არ იგმობა თუნდაც იგივე თვითმკვლელობა და სხვა უმძიმესი ცოდვები, არ იგმობა აბორტიც, რომელიც ძალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახეა.

დედა, რომელმაც შვილის მკვლელობის ეს დანაშაული ჩაიდინა და ექიმებიც, არ შეიძლება არ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას; არ შეიძლება არ გრძნობდნენ დაღვრილი უმანკო სისხლის ძახილს. ამ დანაშაულის გამოსყიდვა მხოლოდ გულმურვალე სინაულითა და ქველი საქმეებით შეიძლება და კიდევ იმით, რომ ეს ადამიანები გახდნენ ერთგვარი მქადაგებელნი და დაარწმუნონ თავისი ახლობლები და ნაცნობები, რომ მათ მაინც მსგავსი რამ არ ჩაიდინონ და ამით სხვა ჩვილების სიცოცხლე გადაარჩინონ.

საერთოდაც, ყველა უნდა ვეცადოთ, სიტყვით მაინც დავეხმაროთ ერთმანეთს, მივცეთ იმედი მრავალი პრობლემით დამძიმებულ ჩვენს შვილებს, დებსა და მმებს და ხსნის რამე გზა შევთავაზოთ.

ამდენი ტანჯვისა და ტკივლის, თავს-მოხვეული „ახალი აზროვნებისა“ და ყოველდღიური მოულოდნელობების ფონზე ოჯახები საქართველოში მაინც დგას ზნეობის სადარაჯოზე; ეს სასწაულია, რაც, პირველ რიგში, ქართველი ქალის – დედის დამსახურებაა. ქალის როლი ყოველთვის განსაკუთრებული იყო და არის ჩვენს ისტორიაში.

წმინდა ილია მართალი წერს:

„ქართველებისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს, – „დედა-ქალაქს,“ – მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას, – „დედა-ბოძს,“ უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს, „დედა-ბურჯს, სამთავრო აზრს, – „დედა-აზრს,“ გუთნის განმგებელი მამაკაცს კი – „გუთნის-დედას“.

რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა!

ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ღვთისმშობლის წილზედრი გახდა. ღვთის საიდუმლო განგებულებით, კვართი უფლისა საქართველოში ჩამობრძანდა და მცხეთაში დაიფლა. მისი აქ დაკრძალვა არ ნიშნავს მხოლოდ ამ ლოკალური ადგილის მონიშვნას; სასწაულთმომქმედი უკერველი კვართი მაცხოვრისა მთელმა საქართველომ შეიმოსა, ხოლო ყოვლადწმინდა მარიამს, ამავე საიდუმლო განგებულებით, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მფარველობა დაევალა.

ჩვენი მეოხია იგი, რომელიც დამხსნელია ადამის წყევისა, აღმასრულებელი ევას თანაბადებისა, წმინდა შესაწირია აბელისა, სამკაულია სეითისა, სათნოყოფა ენუქისა, კიდობანია პირმეტყველი ნოესი, დიდებაა მელქისედეკის მეფობისა და მღვდელობისა, რომელიც სიმტკიცა აბრაამის სარწმუნოებისა, ზეცად მიწერული კიბეა იაკობისი, ღვთივ-წერილი წიგნია მოსესი, კვერთხია იგი განედლებული და აღვგავებული აარონისი, ძლევაი ისუ ნავესი, გზაა მშვენიერი ელიას ამაღლებისა, მრჩობლი კურთხევაა ელისეს ხალენისა, წინასწარმეტყველთა ქადაგებაა და სიტყვათა მათთა აღსრულება.

აი, ამ საოცარი ქალწულის მიერ ჩვენს განსანათლებლად და გადასარჩენად წარმოგზავნილი ანდრია მოციქულის, წმინდა ნინოსა და სხვა

წმინდანთა მადლით საქართველომ, ხალხის დიდი მსხვერპლშეწირვისა და ძალისხმევის ფასად, საუკუნეთა მანძილზე გაუძლო ყოველი მხრიდან შემოსეულ მომხდურს; დღეს კი კიდევ უფრო დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ.

ყველამ – ერმაც და ბერმაც, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, საკუთარი ოჯახიცა და თავიც, პირველ რიგში, ჩვენი ცხოვრება უნდა გამოვასწოროთ; ჩვენში და ჩვენს შორის დაბუდებული ცოდვა და მისი შედეგი – სიკვდილი უნდა დავძლიოთ და სიკეთისა და სიცოცხლის გამარჯვება ვიზეიმოთ.

მაცხოვრის შობის ამ ბრწყინვალე დღეს ზეცა ივსება ანგელოზთა საგალობლით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათხოება.“

ბეთლემელი მწყემსებიც და ქალდეველნი მოგვნიც კვლავ მიიჩქარიან, რათა თაყვანი სცენ ყრმა იესოს და ყოვლადწმნიდა ქალწულს.

ჩვენც მოვიყაროთ მუხლი გულისა ჩვენისანი წინაშე უფლისა და დედალვთისმშობელს შევთხოვოთ, განგვიღოს მოწყალებისა კარი, რათა მადლით აღავსოს ყოველნი მორჩილებით მისგან წყალობის მომლოდინენი.

მაშ, განვიწმინდოთ სული, გონება და გული, ჩვენი ზრახვა და გრძნობები, ვაპატიოთ და შევურიგდეთ ერთმანეთს, რათა ლირს ვიქმნეთ, მივეგებოთ ბეთლემში შობილ მაცხოვარს და ცოდვებისაგან განთავისუფლებულებმა, აღმოვსთქვათ: ემმანუელ, – ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთს ებარებოდეთ.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

## ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი, შობა ქრისტესი,  
2014-2015 წელი.



## ა ღ ძ ვ ა რ ი



სქემარებისადღის იოანე (მასლოვი)

ლუქული  
სემოჩლუკი  
ლუკი სემოჩლუკი

ღ. იოანე ოქროპირის  
სწავლებანი

(347-407 წწ.)

სწავლებამ სამოძღვრო მსახურებაზე  
სისტემატური განვითარების მწვერვალს წმ.  
იოვანე ოქროპირის თხზულებებში მიაღწია.  
თავის სახელგანთქმულ ექვს სიტყვაში  
„მღვდლობისათვის“ წმ. მამა საუბრობს  
სამოძღვრო მსახურების სიმაღლესა და  
პასუხისმგებლობაზე; აი, რატომ იყო, რომ  
თვისი უღირსების შეგნების გამო იგი თავს  
არიდებდა ამ დიდი საქმისთვის ხელის

სქემარებისადღის იოანე (მასლოვი)  
1932-1991

მოკიდებას, რისთვისაც თავისი მეგობრის,  
ბასილისგან არაერთგზის საყვედურიც მიიღო.  
თავისი საქციელის გასამართლებლად წმ.  
იოვანე ოქროპირი ამბობდა, რომ „მღვდლობა  
არის დიდი დირსება, მძიმე მოვალეობა,  
იგი ყველასთვის მისაწვდომი არ არის,  
და რომ ამ მოვალეობის განუკიცხველი  
გამოსწორებისთვის იღწის“.

სამოძღვრო მსახურება, წმ. იოვანე ოქროპირის  
აზრით, „იმდენად აღემატება ყოველგვარ  
მსახურებას, რამდენადაც ზეცა უაღრესია  
დედამიწაზე და სული უაღრესია ხორცზე“.  
უფალმა კეთილინება, რომ ამ მსახურების  
ამქვეყნიური აღმსრულებელნი ანგელოზებთან  
გაეთანაბრებინა. „მღვდელმსახურება, —  
ამბობს წმიდა მღვდელომთავარი, — სრულდება  
დედამიწაზე, მაგრამ ზეციური განწესებით;  
და სავსებით სამართლიანადაც, იმიტომ  
რომ ეს წეს-განგება არც კაცის, არც  
ანგელოზის, არც მთავარანგელოზისა და  
არც სხვა რომელიმე შექმნილი ძალის,  
არამედ თვით ნუგეშისმცემლის მიერ არის  
დაწესებული, და თვით მან ჯერ კიდევ  
ხორცით შემოსილი ადამიანები ანგელოზთა  
მსახურების წარმომადგენლებად ჰყონ“.



წმ. იოანე ოქროპირი

აფრთხილებს რა ეკლესიის მოძღვრებს, თავის განდიდებას არ მიეცნენ, წმ. იოვანე ოქროპირი ამბობს: „მიიღე ხომ საეკლესიო ხელისუფლება? მზგაობარი (ზესთმჩნი) ნუ გახდები; შენ არ მიგიღდწევია ამ პატივისთვის, მისით შენ ღმერთმა შეგმოსა; გაუფრთხილდი მას, ვითარცა სხვისას... შენთვის რომ სამეფო პორფირის შენახვა დაევალებინათ, მაშინ, რასაკვირველია, ამ შესამოსელს ბოროტად არ გამოიყენებდი და არ გააფუჭებდი, არამედ დიდი გულმოლგინებით შეინახავდი მისთვის, ვინც შენ ჩაგაბარა“.

ეკლესიის მსახური ისე წმინდა უნდა იყოს, ვითარცა ზეცაში ანგელოზურ ძალთა შორის მდგომს შეეფერება. „როცა დაკლულ და მწოლარე უფალს ხედავ, — ამბობს ოქროპირი, — ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ისევ ადამიანთა შორის იმყოფები და დედამიწაზე დგახარ, რომ მექსეულად ზეცაში არ გადაინაცვლე და, სულიდან ყველა ხორციელი აზრის უკუგდებით, მარტივი სულითა და წმინდა გონებით ზეციურს არ ჭვრეტ?“ ვისაც შეუძლია განიზრახოს, ჯერ კიდევ სისხლითა და ხორცით მოსილ ადამიანს თუ როგორ შეუძლია იმ ნეტარ და უკვდავ ბუნებასთან მიახლოება, ის გაიგებს, თუ როგორი პატივით ღირსპყო მღვდლები სულიწმიდის მადლმა. გარდა ამისა, მათ მიერ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ქმედებებიც აღესრულება მორწმუნეთა გადასარჩენად. „ისინი ჯერ კიდევ ცხოვრობენ და იქცევიან ქვეყანასა ზედა, — ამბობს წმიდა მღვდლელთმთავარი, — მაგრამ უკვე დადგენილი არიან ზეციურ საქმეთა განსაგებად და მიცემული აქვთ ძალაუფლება, რომელიც ღმერთს არც ანგელოზებისა და არც მთავარანგელოზებისთვის არ მიუცია. რადგან მათ მიმართ არ თქმულა: „რაოდენი შეპრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განპკსნათ ქუეყანასა ზედა, სხნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მთ.18,18).

„რა შეიძლება შეედაროს ასეთ პატივს, — ამბობს წმ. იოვანე, — ზეცა განსჯის სათავეს დედამიწიდან იღებს. მსაჯული ზის ამქვეყნად, ხოლო მეუფე ეთანხმება მონებს; და რასაც ეს უკანასკნელნი მიუსჯიან აქ, იგი ზეცად იმავეს ამტკიცებს“. „ხოლო

როცა იგი მოუხმობს სულიწმიდას, წირავს საშინელ მსხვერპლს და განუწყვეტლივ ეხება ყველასთვის საერთო მეუფეს, მითხარი, სად მივუჩინოთ მას ადგილი? — კითხულობს წმიდა მღვდელთმთავარი, — როგორი სიწმინდე და კეთილკრძალულება უნდა მოვითხოვოთ მისგან? წარმოიდგინე, როგორი უნდა იყოს ხელები, რომლებიც ამას ემსახურება, ან როგორი ენა, რომელიც ამ სიტყვებს წარმოთქამს? განა ყველაზე წრფელი და წმიდა არ არის სული, რომელიც ამ სულს (სულიწმიდას) იღებს? მაშინ ანგელოზები მღვდელს წარუდგებიან, ზეციურ ძალთა მთელი დასი ღალადებს და ტრაპეზის გარშემო ყოველ ადგილს აღავსებს მწოლარეს დიდებისთვის“. ამ წმიდა მსახურებასთან მიახლების დროს, მოძღვრის სული, წმიდა მღვდელთმთავრის აზრით, „სამყაროს გამანათებელი ნათლის მსგავსად უნდა ბრწყინავდეს“. ლოცვის დროს, წმ. ოქროპირის მოწმობით, მოძღვარი „ისე წარუდგება ღმერთს, თითქოს მას მიბარებული პქონდეს მთელი მსოფლიო, ხოლო თვითონ იყოს მამა ყველასი, სთხოვს და ევედრება ყოველგან ომების დამთავრებას,... მშვიდობასა და კეთილდღეობას უბედურებისგან“. ასეთი ლოცვის აღსავლენად სიწრფელე და სიწმინდე მღვდლისა, წმ. იოვანე ოქროპირის სიტყვით, ღმრთის ისეთი ღიდი სათნომყოფელების სიწმინდესაც კი უნდა აღემატოს, როგორებიც მოსე და ელია იყვნენ. წმ. მამა წერს: „ის, ვინც მთელი მსოფლიოსთვის ლოცულობს და ღმრთისგან ყოველთა — არა მხოლოდ ცოცხალითა, არამედ შესვენებულთა — ცოდვებისთვის შეწყალებას ითხოვს, თვითონ როგორი უნდა იყოს? მე მიმაჩნია, რომ ასეთი ლოცვისთვის თვით მოსესა და ელიას კადნიერებაც კი საკმარისი არ არის“.

ამიტომ სული მღვდლისა, წმ. ოქროპირის შენიშვნით, თვით მზის სხივებზე უფრო ნათელი უნდა იყოს, რათა სულიწმიდა ყოველთვის მასთან იმყოფებოდეს და რათა შეეძლოს თქმა: „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე“ (გალ. 2,20), თვით წმიდა მღვდელთმთავარი წმიდა მსახურების წინ შიშობდა და ძრწოდა. იგი ამბობდა: „ვინც თავის თავზე ღმრთის

მსახურის წოდებას იღებს, მას უნდა პქონდეს დიდი კეთილგონიერება, და კიდევ უფრო მეტი კეთილგონიერება ღმრთის დიდი მაღლისა, სიმართლე ზნე-ჩვეულებისა, სიწმინდე ცხოვრებისა და სათნოება, ვიდრე კაცობრივა“.

„**მღვდელი**, — გვასწავლის წმ. იოვანე ოქროპირი, — ფხიშელი და ფრთხილი უნდა იყოს და ყოველი მხრიდან მრავალი თვალი უნდა პქონდეს, რადგან იგი არა მარტო თავისი თავისთვის, არამედ მრავალი ადამიანისთვის ცხოვრობს“.

„ცოდვები ჩვეულებრივი ადამიანებისა თითქოს სიბნელეში წარმოიშობიან და მხოლოდ შემცოდებს ღუპავენ... და საშიშ ჭრილობას არავის აყენებენ. მაგრამ მათ, რომელნიც სამღვდელო ლირსების სიმაღლეზე დგანან, ჯერ ერთი, ყველა ხედავს, მეორეც, მათი ყველაზე უმნიშვნელო შეცოდებანი სხვათა თვალში დიდად ჩანს... ამიტომ მღვდელმა, როგორც მტკიცე საჭურველით, თავი ყოველმხრივ უნდა შემოიზღუდოს გამუდმებული მღვიმარებით, მუდმივი ფხიშელი ცხოვრებით, მოუღლელი თვალყურის დევნებით იმისა, რომ რომელიმე აღილი შიშველი და დაუცველი არ დარჩეს და მტერმა, შეამჩნევს რა მას, სასიკვდილო დარტყმა არ მიაყენოს, რადგან ყოველმხრივ, — ამბობს ოქროპირი, — იგი გარემოცულია ადამიანებით, რომელნიც გულის ტკენისა და ზიანის მიყენებისთვის ყოველთვის მზად არიან, — არა მხოლოდ მტრები და ბოროტისმოსურნენი, არამედ მრავალი მათგანიც, რომელნიც მეგობრობით ინიღებიან“.

აი, რატომ უნდა მოქმედებდეს მღვდელი ფრთხილად და ყურადღებით იყოს თავისი თავის მიმართ, “რათა თავისი სული ყოველგვარ უწმინდურებას აარიდოს და სულიერი მშვენიერება დაუზიანებლად დაიცვას“.

„სანამ მღვდლის ცხოვრება ყოველმხრივ კარგად არის მოწყობილი, იგი მზაკვრობისთვის მიუდგომელია; ხოლო თუ იგი მცირედაც შესცოდავს (რაც შესაძლებელია, რადგან იგიც კაცია და ცდუნებებით სავსე ამ ცხოვრების ზღვაში ისც ცურავს), მისი სხვა ღვაწლი მბრალდებელებს პირს ვერ შეუკრავს და ეს

მცირე გადაცდომაც ყოველივე დანარჩენს ჩრდილს მიაყენებს. როგორი უნდა იყოს სიწმინდე მღვდლისა და, ამასთანავე, რამდენი საცდური მოელის მას. მღვდლის სული იმაზე უფრო ძლიერი ტალღებითაა მოცული, — წერს წმიდა მღვდელობმთავარი, — როგორსაც ქარები ზღვაზე აღმართავენ, მაგრამ ყველაზე საშიში ტალღა, რომელსაც შეუძლია ჩაყლაპვა მოძღვრისა, ამარტავნებაა“. ეს ვნება მოძღვრის ყველა სიკეთესა და სიწმინდეს სპობს და მის გონებას იქითენ კი არ წარმართავს, რომ შემოქმედს მაღლობა შესწიროს, არამედ რათა ყველაფერი თავის შესაძლებლობებს მიაწეროს. სწორედ ამით მოძღვარი თავის თავში ყოველივე ღმრთებრივს კლავს და თვითონაც სულიერად კვდება, ხოლო მასთან ერთად იღუპება მთელი სამწყსოც. ამიტომ წმ. იოვანე ოქროპირი კრძალავს მღვდლად იმ პირთა კურთხევას, რომლებშიც დიდებისმოყვარეობის, პატივმოყვარეობის, ძალაუფლებისმოყვარეობის, მრისხანების, ხორციელ სიამოვნებებისადმი და სოფლის საზრუნავებისადმი მიღრეკილებების ვნება შეიმჩნევა. ამ ვნებებს დამორჩილებული პირები, წმიდა მღვდელობმთავარის აზრით, თუ ხარისხს მაინც მიიღებენ, მაშინ არა მხოლოდ არ თავისუფლდებიან მათგან (ვნებებისგან), არამედ კიდევ უფრო აძლიერებენ მათ და თავიანთ სულიერ ჭრილობებსაც უფრო იმიზეზებენ. „ის, ვინც სამღვდელო ხარისხის მიღებამდე მრისხანების დაოკება ვერ ისწავლა, არამედ აღვილად აინთებოდა ხოლმე, — როცა მთელ ხალხს მმართველობისთვის ჩაიბარებს — ყოველი მხრიდან და ყოველთა მიერ მოწყლული მხეცივით თვითონ მშვიდი ვერ იქნება და მასზე მინდობილთაც განუწყეტლად შფოთს შეამთხვევს“, — გვარიგებს წმიდა მამა.

იმისთვის, რომ ხალხი მართო და ცხოვრებისკენ გაუძლვე, დიდი მოთმინება და თავმდაბლობა არის საჭირო. „ძალაუფლება ადამიანს მრავალ ისეთ გარემოებას უქმნის, — ამბობს ოქროპირი, — რომელიც მრისხანებისთვის ბევრ საბაბს იძლევა და ფრიად მშვიდად ადამიანსაც კი სასტიკად აქცევს“. „სული მღვდლისა, — ამბობს წმიდა მღვდელობმთავარი, — ტალღებით გარემოცული ხომალდისგან

არაფრით განსხვავდება; იგი ყოველმხრივ იწყვლება მეგობრებისა თუ მტრებისგან, შინაურთა თუ უცხოთაგან. იგი ყოველი მხრიდან ათას საყვედურს ისმენს; მისთვის ბრალის დაღებისა და ცილის დაწამებისა არავის ეშინია“. ნამდვილმა მოძღვარმა ამას ყურადღება არ უნდა მიაქციოს და ბოროტებას ბოროტებით არ უნდა უპასუხოს, არამედ, პირიქით, ყველაფერი თავმდაბლად უნდა გადაიტანოს, მის ყველა შეურაცხმყოფელს აპატიოს და მათვის ღმერთს ეველროს.

თავის მხრივ მოძღვარმა, წმიდა მამის აზრით, ყველა საშუალებას უნდა მიმართოს, რომ ცდუნებათა საბაბი არავის მისცეს, არამედ შორიდან განჭვრიტოს, საიდან შეიძლება ისინი წარმოიშვნენ, და წინასწარ გაანადგუროს მიზეზები, რაზეც მათი აღმოცენება შეიძლება. მაგრამ ამის გაკეთებას მხოლოდ ის მოძღვარი შეძლებს, რომელსაც „ურყყევი და მხნე სული აქვს“, — ამბობს ოქროპირი. ამრიგად, წმიდა მღვდელთმთავრის აზრით, ეკლესიის მოძღვარი ყველა ვნებისგან თავისუფალი უნდა იყოს; სხვაგვარად იგი ამ მაღალი მსახურების შესრულებას ვერ შეძლებს. ბიწიერებებისადმი დამორჩილებულთათვის, ოქროპირის აზრით, ამ ხარისხის მიცემა არ შეიძლება, რადგან ეს მხოლოდ მათი ბოროტ მიდრეკილებათა გამოვლენის საბაბი შეიძლება შეიქმნეს და, ამასთანავე, მოძღვართა ბიწიერი ცხოვრება, შესაძლოა, უკიდურესად მაცდუნებელი და დამღუპველი აღმოჩნდეს. „როცა ეშმაკი ცხოვართ კლავს, — ამბობს წმ. მამა, — იგი ფარას მხოლოდ რიცხობრივად ამცირებს; ხოლო თუ მოძღვარის განგმირავს, მაშინ მთელ სამწყსოს ზიანს აყენებს. იმის გამო, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი ნაკლები გარჯით დიდ მიზანს აღწევს და ერთი სულის მეშვეობით ყველას ღუპავს, ყველაზე მეტად მოძღვრებს ესხმის კიდეც თავს“. სირთულესა და სიმძიმეს ამ სულიერი ბრძოლისა, რომელსაც სატანა აწარმოებს ქრისტეს ეკლესიასთან, წმ. იოვანე ოქროპირი ძალიან კარგად აღწერს თავის თხზულებებში და ორი მტრული ლაშქრის ჩვეულებრივი კაცობრივი ბრძოლის სახით გამოხატავს. „შესაძლებელი რომ ყოფილიყო, — წერს

წმიდა მღვდელთმთავარი, — ეს სხეული ჩამოგეხსნა, ან ხორცით სრულიად უშიშრად საკუთარი თვალებით დაგნახა მთელი ლაშქარი ეშმაკისა და ჩვენთან მისი ბრძოლა, შენ დაინახავდი არა სისხლის ღვარებსა და მკვდარ სხეულებს, არამედ სულთა ისეთ მოსვრასა და ისეთ ღრმა ჭრილობებს, რომ ბრძოლათა ყველა წარმოსახვას... ბავშვურ თამაშად და უფრო კი გართობად მიიჩნევდი, იმ ბრძოლასთან შედარებით, რომელშიც ასე ბევრნი ეცემიან ყოველდღე!“

თუკი ჩვეულებრივი ბრძოლები რაიმე მიზეზთა გამო პერიოდულად წყდება ხოლმე და თანაც ნებისმიერ ომს თავისი დასასრულიც აქვს, „უკეთურთან ბრძოლაში, — ამბობს ოქროპირი, — არც იარაღის ჩამოღება და არც წაძინება არ შეიძლება იმისთვის, ვისაც უნდა, რომ არასდროს არ დაიჭრას. აუცილებელია ორიდან ერთის ამორჩევა: ან იარაღის ჩამოხსნა, დაცემა და დაღუპვა, ან ყოველთვის შეიარაღებული დვომა და მღვიძარება. ეს მტერი ყოველთვის მთელ ლაშქართან ერთად დგას, ჩვენს უდარდელობას უთვალთვალებს და გაცილებით მეტად ზრუნავს ჩვენს დასაღუპავად, ვიღრე ჩვენ საკუთარი თავის გადარჩენისთვის. არამედმიგად მღვიძარეთათვის ეს ბრძოლა განსაკუთრებით მძიმე იმით ხდება, რომ იგი უხილავია ჩვენთვის და თავს ანაზღეულად გვატყდება“. სიძნელეებთან და განსაცდელებთან ბრძოლაში მთლიანად ღმერთს უნდა ვსასოებდეთ, და უფალი მის ერთგულ მოძღვარს არასდროს მიატოვებს. „ჩვენ საშიშროებათა წინაშე ვდგავართ, — ამბობს წმიდა მღვდელთმთავარი, — ჩვენ მზაკვრობებს გვიწყობენ, მაგრამ ჩვენ გვყავს მხსნელი — არა კაცი, არამედ ღმერთი. მაშასადამე, ჩვენი მხსნელი არ მოუძლურდება, რადგან იგი არის ღმერთი, და რა თავდასხმაც არ უნდა გვემუქრებოდეს, ისინი ჩვენ ვერ გვძლევენ, რადგან ჩვენი იმედი არის ქრისტე“. გარდა ამ დიდი მსახურების სიძნელეებისა, მოძღვარს ასევე აკისრია პასუხისმგებლობა წინაშე ღმრთისა, როგორც თვისი ცოდვების, ისე მისთვის მიბარებული სამწყსოსთვის. წმ. მამა ამბობს: „თუ ვინმე ერთმა მათგანმაც კი საიდუმლოსთან ზიარების გარეშე განისვენა,

განა ეს მთელი მისი ცხონების საქმეს არ დაამხობს? ერთი სულის დაღუპვაც ხომ ისეთი დანაკარგია, რომლის გამოხატვასაც ვერანაირი სიტყვა ვერ შეძლებს“. პასუხისმგებლობა მოძღვრისა იმითაც იზრდება, რომ იგი პასუხს აგებს არა მხოლოდ თვისი სამოძღვრო მოვალეობის დაუდევრად მოხდისათვის, არამედ მისთვის საზრუნავად მინდობილთა ცოდვებისა და ბიწიერებისთვისაც. წმ. იოვანე ოქროპირი ამ მდგომარეობის გათვალისწინებით იმ აზრამდე მიღის, რომ მღვდელთა შორის გაცილებით უფრო მეტს ელის დაღუპვა, ვიდრე ცხონება. იგი წერს: „არა მგონია, რომ მღვდელთაგან ბევრი ცხონდეს, პირიქით, გაცილებით მეტი იღუპება, და სწორედ იმიტომ, რომ ეს საქმე დიდ სულს მოითხოვს... და მაშინ, როცა სხვები ცოდავენ, ბრალი მასზე გადადის“. მოძღვარმა, წმ. ოქროპირის აზრით, „ღმრთის წინაშე ორმაგი ანგარიში უნდა მისცეს“, „იგი არა მხოლოდ თვისი ცოდვებისთვის განისჯება, არამედ სხვათა ცოდვებისთვისაც დიდი განსაცდელი მოელის“.

თავის სწავლებაში წმ. იოვანე ოქროპირი აზრსაც კი არ უშვებს ღმრთის წინაშე მოძღვრის განმართლების თაობაზე. „რადგან სხვათა უგიცობის გამოსწორებისა და ეშმაკთან მოსალოდნელი ბრძოლის წინასწარ გაფრთხილებისთვის დადგინებული თავს ვერ გაიმართლებს არცოდნით და იმის თქმით: საყვირის სხმა არ გამიგონია და ბრძოლა ვერ განვჭრიტეო. იგი, როგორც ეზეკიელ წინასწარმეტყველი ამბობს, სწორედ იმისთვის არის დადგენილი, რომ საყვირით სხვებს მოუწოდოს და საშიშროების მომასწავებელი უბედურებანი წინასწარ აუწყოს; ამიტომ საჯელი მასზე გარდაუვლად მოიწევა, თუნდაც მხოლოდ ერთი ადამიანი რომ დაიღუპოს“.

თუკი მოძღვარი, წმ. მღვდელთმთავრის აზრით, თავის ცხოვრებას კეთილმსახურებით განვლის, მაგრამ „მასზე მიბარებულთათვის სათანადო გულმოდგინებით ვერ იზრუნებს, მაშინ ბიწიერებთან ერთად გეპენიაში წავა; ხშირად, თავისი საქმეებით უდანაშაულო, ჩვენთა უსჯულოებათა გამო იღუპება“. „ასე იმიტომ ხდება, — ამბობს წმ. იოვანე

ოქროპირი, — რომ მოძღვარი არის მთავარი და ამიტომ მან პასუხი უნდა აგოს ყველასთვის, ვისზეც კი ის უფროსობს — დედაქაცებისა, მამაკაცებისა და ბავშვებისთვის“. ამრიგად სამოძღვრო მსახურება საპასუხისმგებლო საქმეა, ამიტომ წმ. იოვანე ოქროპირი სამღვდელო ხარისხის მიღებას მხოლოდ იმ პირებს ურჩევს, რომელნიც ამ დიდი მსახურებისთვის თავიანთი ცხოვრებით ემზადებოდნენ. ხოლო ვინც თავისი სულის მოუმზადებლობას გრძნობს, წმ. მამა ურჩევს თავი შეიკავოს ხარისხის მიღებისგან, თუნდაც ამას ვინმე აიძულებდეს. ასარჩევმა, წმ. ოქროპირის აზრით, „უნდა შეაჩეროს ისინი და დაწვრილებით აუხსნას დამაბრკოლებელი მიზეზები, რათა ამ ცდომილებებიდან გამოიყვანოს და არჩევისთვის თავისი თავის უღირსად წარმოჩენით ამ დიდი დავალების სიმძიმეს თავი დააღწიოს“, რათა თავისი გამოუცდელობის გამო სახელმძღვანელოდ მისთვის მინდობილი ხალხი ურიცხვ შეცდომაში არ შეიყვანოს. შემდეგ წმ. მამას მაგალითი მოჰყავს. აკი ვერავინ, გარდა ხუროთმოძღვრისა, ვერ გაბედავს დაპირებას, რომ იგი სახლს ააშენებს, ასევე მკურნალობის არმცოლნე ავადმყოფს არ შეეხება, თუნდაც მათ მრავალნი აიძულებდნენ. საუბრობს რა სამოძღვრო მსახურების მნიშვნელობასა და იმაზე, თუ ვინ უნდა შეუდგეს მას, წმ. მღვდელთმთავარი იმავდროულად რჩევებსაც იძლევა, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ ღირსეულად ამ მსახურებისთვის. იგი ამბობს: „ეკლესიის კეთილმოწყობას მნიშვნელოვნად და დიდად ხელს უწყობს და უდიდესი სარგებლობა მოაქვს, როცა ეკლესიის წინამდგომნი ნასწავლი ადამიანები არიან. ხოლო როცა ასე არ არის, მაშინ ეკლესიებში ბევრი რამ იღუპება“. აქედან გამომდინარე, წმ. იოვანე ოქროპირის სწავლებით, მღვდლობის კანდიდატს თეორიული ცოდნის, სიტყვის ხელვნების შეძენაც აუცილებლად სჭირდება; შემდეგ კი — ცოდნა საღმრთისმეტყველო მეცნიერებათა და განსაკუთრებით წმ. წერილისა. წმ. მამის აზრით, ეს მომავალ მოძღვარს ცდომილებათა თავიდან აცილებასა და წარმოქმნილი გაურკვეველი საკითხების

გადაწყვეტაში დაეხმარება. წმ. წერილისა და საღმრთისმეტყველო მეცნიერებათა ცოდნა მღვდლობის კანდიდატებისთვის ასევე აუცილებელია იმიტომაც, რომ უფრო აღვილად შეძლოს დამშვიდება „დოგმატური დავებისა, რომლებიც წერილის ერთი და იმავე იარაღით მიმდინარეობენ“. აი, რატომ ურჩევს წმ. ოქროპირი მოძღვრებს წმ. წერილის შესწავლას ისე, რომ „სიტყვა ქრისტესი მათში უხვად ჩაენერგოს“. წერილის შესწავლით მოძღვარი სულიერად განვითარდება და მორწმუნეთათვის წმინდა რელიგიურ-ზნეობრივი ცნებებისა და დებულებების გადაცემის უნარს იძენს. ამასთან დაკავშირებით წმ. მამა ამბობს: „ნუ ელოდები სხვა მასწავლებელს; გაქვს შენ სიტყვა ღმრთისა, ვერავინ ისე ვერ გასწავლის, როგორც იგი“. წმ. წერილში გადმოცემულია ყველაფერი, რაც უნდა აქეთო და რაც არ უნდა აქეთო. იგი არის ერთ-ერთი მთავარი საშუალება სამოძღვროდ, სამხილებლად, განსამართლებლად (გამოსასწორებლად) და სასწავლელად სიმართლისა (2 ტიბ. 3,16). სწავლება იმისათვის არის მოცემული, რომ სრულ იქმნას „კაცი ღმრთისა“.

წმინდა წერილისა და წმინდა მამათა თხზულებების შესწავლასთან ერთად, ოქროპირის სწავლებით, მოძღვრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე კაცობრივი აზრის ფუძემდებელი პრინციპების გაცნობას. ყოველმხრივი განათლების წყალობით მოძღვარი ადვილად შეძლებს განხილვას სხვადასხვა გაურკეველი საკითხისა, რომლითაც მას მრეკლის წევრები მიმართავენ. მას არა მხოლოდ ცხონების გზებზე ეკითხებიან, არამედ ხშირად ისეთ კითხვებსაც აძლევენ, რომელნიც ჩვენი ცხონების საქმეს საერთოდ არ უკავშირდებიან. „ზოგს, — ამბობს ოქროპირი, — ისეთი საგნების გამოკვლევა სწადია, რომელთა ცოდნაც კი უსარგებლო იქნებოდა... სხვები ღმრთის განგებულებათა ანგარიშებას ითხოვენ და ამ ღრმა უფსკრულის გაზომვას გამძაფრებით ცდილობენ, მაშინ როცა, „განკითხვანი შენნი (უფალო), — ნათქვამია წერილში, — უფსკრულ მრავალ“ (ფს. 35,6). „ვინც აპირებს, — ამბობს ოქროპირი, — ჭეშმარიტების დაცვას ყოველთა წინაშე, მან

მათი ყველა მოქმედების წესი უნდა იცოდეს. ხოლო თუ მათი ხელოვნების ყველა მხარე არ ცოდნინება, მაშინ ეშმაკი ერთი რომელიმე მხრიდანაც კი, რომელიც უყურადღებოდ იქნება დატოვებული, თავისი მძარცველების შეყვანასა და ცხოვართა დატაცებას შეძლებს; მაშინ როცა ვერ იქნება (ასე თამამი), როცა შეხედავს მოძღვარს, რომელიც ყველა მის მზაქვრობას იცნობს და სრული ცოდნით ილაშერებს“.

საკუთარი მოვალეობის უფრო წარმატებით შესასრულებლად, წმ. იოვანე ოქროპირის აზრით, მოძღვარს უნდა ჰქონდეს სიყვარული როგორც ღმრთის, ისე მოყვასთა მიმართ. მოყვასისადმი სიყვარული ღმრთისადმი სიყვარულიდან მომდინარეობს და მისგან განუყოფელი უნდა იყოს. „უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და მმავ თვისი სბულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს მმავ თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად? და ესე მცნება მოვიღეთ მისგან, რამთა რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარდეს მმავცა თვისი“ (1 ინ. 4, 20-21). „უნარი ასეთი სიყვარულისა, როგორც განსაკუთრებული ნიჭი, ქიროტონიის დროს ენიჭება, — ამბობს ოქროპირი, — მაგრამ თავის თავში მისი შეთვისება და შენარჩუნება ადამიანის სულის მისწრაფებაზე არის დამოკიდებული“. ღმრთის მოყვარული მოძღვარი მთელი ძალით ეცდება როგორც თვისი სულიდან, ისე სამწყსოს წევრთა სულებიდან ცოდვის ამოძირებას. „უგამონაკლისოდ... არ არსებობს არც ერთი ცოდვა, — ამბობს წმ. მღვდელობმთავარი, — რომლის განადგურებაც, მსგავსად ცეცხლისა, სიყვარულის ძალას არ შეეძლოს“.

სიყვარული ღმრთისა და მოყვასისა, წმ. მამის აზრით, მღვდლობის კანდიდატს კიდევ იმისთვისაც სჭირდება, რომ ღმერთის მიმართ გულმოდგინება შეინარჩუნოს, განსაცდელებს, ამ სოფლის ყოველგვარ ხიბლსა და სხვა მრავალ სინელეს, რომელიც ამ ეკლიან გზაზე ხვდება, მოერიოს. ღმრთისა და მოყვასის ეს მხურვალე სიყვარული ცათა სასუფეველისკენ მიმავალი ჭირვეული და ვიწრო გზიდან მის

გადასვლას არ დაუშვებს. წმ. იოვანე ოქროპირი სიყვარულის ნიმუშად წმ. პავლე მოციქულის სიყვარულის მაგალითს წარმოგვიდგენს. „მისთვის მხოლოდ ერთი რამ იყო საშინელი და სახიფათო, — ამბობს წმ. მამა, — როგორმე არ შეეურვებინა ღმერთი... ჰქონდა რა ეს სიყვარული, მას არც ანგელოზთა, არც მთავარანგელოზთა და არაფერი სხვა მსგავსის ღირსება არ აკვირვებდა; რადგან ჰქონდა ის, რაც ყველაფერზე აღმატებულია — სიყვარული ქრისტესი; და მასთან ერთად იგი ყველაზე ნეტარად მიიჩნევდა თავის თავს, ხოლო მის გარეშე არც უფლებანი, არც ხელმწიფბანი, არც მთავრობანი და მათთან ერთად ყოფნა არ სურდა... მისთვის ერთადერთი საჯელი იყო — დაკარგვა ამ სიყვარულისა; მისთვის გეჰენიაც, წამებაც და ურიცხვი ბოროტებაც ეს იყო; ისევე როგორც, მასთან ყოფნა მისთვის ნიშნავდა ნეტარებას,... მომავალ და ამჟამინდელ ცხოვრებას... და ურიცხვ სიკეთეს“.

მოძღვრის სიყვარული მოყვასთა მიმართ უსაზღვროდ უნდა ვრცელდებოდეს. წმ. იოვანე ოქროპირის აზრით, მოყვასთა მიმართ

სიყვარული „მოძღვრის სულს ცაზე უფრო მეტად აფართოებს“. „ჩემი გულის ამოღება და ჩვენება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, — ეუბნება ოქროპირი თავის სამწყსოს, — თქვენ დაინახავდით, როგორ შეუვიწროვებლად ზართ ყველანი დატეული მასში“. „დამიჯვერეთ, მე საკუთარ ცხონებაზე (ფიქრი) მავიწყდება, ვზრუნავ თქვენზე და ჩემი ცოდვების დატირებისთვის დრო აღარა მაქვს. ასე ზართ თქვენ ჩემთვის — ყველაფერი. როცა ვხედავ, რომ თქვენ წარემატებით სათნოებით, მაშინ სიხარულისგან საკუთარ გაჭირვებას ვერ ვგრძნობ; ხოლო როცა ვხედავ, რომ თქვენ არ წარემატებით, მაშინ დარღისგან ისევ ჩემსას შევექცევი... რადგან რა იმედი უნდა ჰქონდეს მოძღვარს, როცა მისი სამწყსო ბიწიერებას არის მიცემული? რა ცხოვრება, რა ნუგეშისცემა?“

აი, ასეთი სიყვარულით სავსე უნდა იყოს მოძღვრის გული სამწყსოს მიმართ. ასეთი თავდადებული სიყვარულის გარეშე იგი ვერ აღასრულებს იმ საქმეს, რომელზეც მას ქრისტე აგზავნის.



## ელვილ-მონაზონი ალექსის თხრობანი

### ტრაპარი

ცათა უმაღლესად ამაღლები სიწმიდითა  
შენითა, მამაო წმიდაო, ალექსი და ცხრა  
დასთა ანგელოსთა თანა აღიდებ წმიდასა  
სამებასა, მას ევედრე ცხოვრებისათვის  
სულთა ჩვენთათვის.

### პონდაპი

გნატრით შენ, ღირსო მამაო ალექსი, და  
პატივსა ვცემთ წმიდასა ხსენებასა შენსა,  
წინამძღვარო მონაზონთაო და თანამკვიდრო  
ანგელოსთაო.



ღირსო მამაო, ალექსი,  
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!

### სანატრელი სიმდაბლისათვის

სიმდაბლე სიბრძნეა ზეცისა, რამეთუ სიბრძნე ღვთისა განხორციელდა და იშვა ბაგაში,  
სიღარიბეში. ეს არს უფალი ჩვენი იესო ქრისტე!

რომელსაც ესე სიმდაბლე, თავმდაბლობა არა აქვს, იგი სიბრძნისაგან ზეციერისა ცარიელ  
არს და სიბრძნე მისი ამის სოფლისა არს, რომელიც არის სიცოფე წინაშე ღვთისა. უკეთე  
ესე სიმდაბლე არ შეგიმოსია, უწყოდე, განათლება არ მიგიღია და ჯერ კიდევ ბნელსა შინა  
ხარ, რამეთუ სწავლა არის განათლება და განათლება განდევნაა სიბრძნისა და თავისუფლებაა  
ვნებათაგან. მაშ ყოველი ამპარტავანი ბნელსა შინა მყოფობს და მას არ უხილავს ნათელი  
ჭეშმარიტი ნათლისაგან მამისა გამოსრული, იესო და არცა იცნობს მას, რამეთუ მდაბალსა  
გამოცხადების იესო, კითარცა ეტყვის მისთა მოწაფეთა: „თქვენ მხედვიდეთ, ხოლო სოფელი  
ესე ვერა მხედვიდენ“. გამოცხადება იესოსი და ხედვა არა ნივთიერობითია, არამედ სულის  
შეერთებით, გონებითი გულის-ხმის ყოფაა, რომელიც მოეცემა მდაბალსა აღსამაღლებლად  
ნივთიერებითი გრძნობებისაგან და ესე არს უმწვერვალესი გულის-ხმის ყოფა კაცობრივის  
სიბრძნისა და ზესთა ბუნებისა ყოფა.

სიბრძნე მდაბლისა პირველად ცნობაა თავისა და კრძალვით სედვაა თავისისა უძლურებისა  
და არა-რაობისა, რომელსა ზედა განსაცდელთაგან გამოცდილებით მიმხვდარა და  
დარწმუნებულა, რომ იგი არის თიხა უხმარი, რომელსაც არა აქვს ძალი ყოფად კეთილისა,  
გინა ქმნად სათნოებათა თავით თავისით, არამედ მიწა არს და მტვერი.

სიმდაბლე მით არის ამაღლებული, რომ მოქალაქობა გონებისა მისისა ცათა შინა არს და  
ყოველსა ღელვასა სოფლისა ამის მოქალაქობისასა სულის სიმშეიდით და იესოს ხედვით  
თანა წარხდების და უვნებელად ამაღლდების მათგან. ხოლო სიმდაბლის გზა ესრეთია:

საონოების ქმნით სულის წმინდის ნიჭით კაცი აღვალს სიმდაბლის სიმაღლემდი, ხოლო სცნობს რა თავის თავს ყოვლად ცოდვილად და უღირსად, რა გინდ მაღალი საქმეები ექნას, მაინც იგი აღიწევა უმწვერვალესსა სიმაღლესადმი სიმდაბლისა, რომლისაგან მე შორს ვარ და არა ვიცი თუ ვითარ არს.

ვისაც სიმდაბლე სრულიად შეუგნია და მას შესდგომია, მას მიუღია ჭეშმარიტი განათლება ქრისტესგან, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად და ესე სწავლა უძნელეს არს მსოფლიო სწავლის დამთავრებისა და უფროსად ამაღლებულ.

საკვირველია ბუნება სიმდაბლისა: რავდენად უფრო მოგეახლება იგი და რავდენადაც უმეტეს მიუახლოვდები სიმდაბლის მაღლს, იმდენად უფრო და უფრო შორს მიგაჩნია შენი თავი თვით მისგან, რამეთუ ესრეთი საიდუმლოებითი შეცვლა აქვს ნიჭად, ვითარმედ აღივსები რა სიმდაბლის მაღლით ცარიელ და მშიერ გგონია შენი თავი მისის სიტყბოებისაგან და განვარდნილ მისის სანეტარო სადგურისაგან.

სიმდაბლე სამკურნალო წამალია ყოველ გვარის სულის სნეულებისა, რამეთუ რაც უნდა ვნებას წაეკიდოს მდაბალსა და რაოდენ მძმენი განსაცდელი შეემთხვნეს მას, იგი ყოველსა შინა ღირსად დათმენისა სცნობს თავსა თვის სა და სიბრძნისა სიმდაბლისასა, რომელ არს სიმაღლე სულისა, არა შეაშფოთებს და არცა დაამდაბლებს დამცველი კაცობრივის სიმტკიცისა და მოგონი იესოს ჯვარისა.

სიმდაბლესა შინა განმტკიცებული არა ითქმის კაცად ქვეყნისა, არამედ კაცად ზეცისა და ანგელოზად ქვეყნისა, რამეთუ ვიდრე განსვლად ხორცავან და მუნ მისვლამდეცა ხორცა ამით დაისავანა ზეცად და შეუერთდა უხორცოთა არსებათა, რამეთუ ამაღლდა ფრიად ქვეყნით.

არა რა ესრეთ გაცნობებს შენ, მმაო, სიმდაბლის საზომს, როგორც შეურაცხ-ყოფა, განა წყინება ძმისაგან. დაუკვირდი მაშინ შენს შინაგანს და იცნობ, თუ რა წყლულების პატრონი ხარ; თუ ტკივილი დაგირჩინა წყინებამ და პბორგავ ძვირის ხსენებით და ნაცვალის მიგებით, უწყოდე, შორს ხარ სიმდაბლის სიბრძნისაგან და გამოჩნდა სიმსივნე ამპარტავნებისა შენს გულში დაბუდებული; წინააღმდეგ ამისა, თუ წყენას დაუთმე და ღირსად შერაცხე თავი შენი და ძვირი არა მოიხსენე, ღმერთი მახლობელ არს შენდა და მაღლი სიმდაბლისა მოძრაობს შენთან, ხოლო სიმდაბლის სისრულეში მყოფი მაღლობით დებულობს ყოველსა წყენასა ძმისაგან.

## ბერობისათვის

რაოდენად ანგელოზი უმაღლესია ხორციელ კაცთავან, ეგოდენად უმაღლესია ბერობა სოფლიო ცხოვრებისაგან, გარნა არა ქუდი და ანაფორის ჩაცმითა, არამედ სულის ხარისხითა ზედა ძალითი ძალად აღსვლითა, რომელსა სწავლა უთუოდ დიდ არს და მაღალ და ხანგრძლივი ღვაწლით მისაწვდომელ.

ერთი წმინდა მამათავანი იტყვის: „შეიძლება ბერმან ასი წელი დაჰყოს მონასტერში და ბერობა არ იცოდეს“. დიდი სამწუხაროა, მმაო, ესრეთი უგუნური გაცდენა, რომ კაცი ბერობაში დაბერდეს და ანბანი ბერობისა არ იცოდეს!

მივხედოთ ქვეყანაზედ ყოველ-გვარ ხელოვნების და სწავლა-განათლების შემდგომილს პირებს, თუ რა შრომა და ღვაწლი სჭირიათ მათ და შენ გინდა, რომ მარტო ქუდით და ანაფორით დაასრულო ბერობის მაღალი ნიჭი!

სტყუვდები, მმაო და სცდები! შენ ამითი ბერი არ იქნები. ვერც საეკლესიო მსახურების აღსრულებით და ვერც მარტო ლოცვანის წაკითხვით იქნები ბერი. ნუ გეწყინება: თუ გინდ ბევრი ჯილდოც მიიღო და ხარისხითაც ამაღლებული იყო, ვერც ამითი განვითარები ბერი: უკეთუ შინაგანი ბერობა არ გეცოდინება, მაშინ ესენი უხმარ არიან შენდა, იმიტომ რომ გარეგანს მარტო მისდევ და შინაგანს ივიწყება.

ხეს ჯერ ფურცელი გამოაქვს და მერმე ნაყოფი: მაშ შენცა ჯერ ფურცელი ეგე გარეგანი მსახურება მარადის აღასრულე და მერმე შინაგანი სულის ნაყოფი გამოიღე, რომელ არს სიყვარული ძმათა, სულ-გრძელება განსაცდელთა შინა, მარხვა, მყუდროება და მოთმინება


ჭირსა შინა, უპოვარება, სიმშვიდე, ურისხველობა, სიძაბლე, მიტევება, შემაწუხებელისა შეყვარება, მტრისა ნაცვალის არა მიგება, შერისა და ძვირის შორს ყოფა, მოწყალება, სიტკბოება, დაცვა სიწმინდისა შეუგინებლად, ლოცვა სამარადისო გულითადი და სულთქმით ხსენება სიკვდილისა. აი, ესენი არიან შინაგანი ბერობა და უკეთუ ამითი შეძენისათვის მისწრაფება არ გექნება, სწორედ უხმარია შენი ბერობა! ნუ პფიქრობ, მმაო, რომ ბერობა უგუნური და უსწავლელი კაცისაგან იყოს მოღებული, არამედ დიდთა ფილოსოფოსთა და გენიოსთა პირებთაგან იქნა დაწყებულ განსაახ-ლებლად პირველ სამოთხეში ყოფილის ადამის ცხოვრებისა, რომელიც შემოსილ იყო ქალწულებით, უნივერსულ ცხოვრებით და ლვთისა პირის-პირ ხედვა ზრახვით.

ამას მისწვდნენ ზოგიერთნი დიდნი წინასწარ-მეტყველნი და აღსრულდნენ ბერად, რომელთა შორის უმეტეს ყოველთა განბრწყინვებულმან იოანე ნათლის-მცემელმან მოგვცა სახე ბერობისა თავისის საკვირველის ცხოვრებით.

ძველი დაუტევოთ და ახალ სჯულში გადმოვიდეთ. იხილე ვასილ, გრიგოლ, იოანე და სხვა-ნი დიდნი მღვდელ-მთავარნი, ათინის სწავლით განათლებულნი: ამათ თუმცა სწავლა-განათლება დაამთავრეს, გარნა მაღალი სწავლის წყალობით შეიტყვეს, რომ აკლიათ კიდევ ერთი უმთავრესი და უსაჭიროესი სწავლა, რომელ არს ბერობა, გინა ზნეობითი ამაღლება ადამიანურ ვნებათაგან, რომლის ტყვეობის თავისუფლებისათვის შეუდგნენ ბერობას. ერთსაც კიდევ გიჩვენებ უფრო მახლობელს ჩვენს საქართველოის ფილოსოფოსს რუსთაველს, რომელმან ბერობის ხარისხზე დაასრულა თავისი ბოლო სიცოცხლე და აღესრულა ბერად იერუსალიმსა შინა ჯვარის მონასტერში.

აი, ამგვართა დიდთა განათლებულთა პირთა მიერ არს ცნობილი და დამტკიცებულ საიდუმლო დირსება ბერობისა და გვაუწყეს, რომ ბერობა არის უმაღლესი სასწავლებელი ქვეყანაზედ. ბერობა არის თვით მაღალი ფილოსოფოსობა კაცობრიობაში, რომელიც სჭვრეტს სულის წმიდის ძალით ხილულსა და უხილავსა და მისწვდება უმაღლეს ბუნებისადმი. ბერობა არის მაღალი სიბრძნე, რომელი შეიცავს თავის შორის დიდ-სულობას ძლევითა ბუნებისათა; ბერობა მსგავსებაა ანგელოზთა და სახეა პირველ სამოთხის ცხოვრებისა; ბერობა შინაგანი ბრძოლაა დაუცადებელი უნივერსიტა ნივთიერთა ხილულისა და უხილავისა; შინაგანი ბერობა ყოველ დღე სიკვდილია ქრისტესთვინ და ჯუარცმაა სამარადისო; დავასრულებ: შინაგანი ჭეშმარიტი ბერობა მსგავსება არის ღვთისა. ეხლა შენ გეტყვი საყვარელო მმაო, უსწავლელო და უბრალო ბერო: შეიყვარე შენს სენაკში ჯდომა, იკითხე მამათა ცხოვრებანი, ილოცე მარადის სულთქმით და ისწავლი ბერობას. ხოლო, შენ, რა გითხრა, მმაო, რომელსაც სენაკის ჯდომა მოგძულებია და კანონი ბერობისა დაგიგდია და მიადგები ლარიბ-გაჭირვებულს ქვეყნის სამსახურით კისერ ჩამომწვარ და ჩამოლლეტილ მმას, ხელმწიფის, ქვეყნის, მტერ-მოყვრის, ცოლ-შვილის და ყოველ გვარის მოთხოვნილებით დატვირთულს და ართმევ სისხლის ოფლით ნაშოვარს ორიოდე გროშს და გგონიეს, მსხვერპლი შესწირე ღმერთსა! მიკვირს, მმაო, ეგეთი შენი გულ-ქვაობა და უწყალობა! ღმერთი იტყვის: „წყალობა მნებავს და არა მსხვერპლიო“. მაშ თუ ღმერთს წყალობა უყვარს, შენ უწყალოება და გაჭირვებულის შეწუხება ვინ დაგამოძვრა?





ღირსმოწამე სერაფიმე (ჩიჩაგოვი)

## ზურაბ მელქისედეკის შემოჯუნმომულება

### ცატილი I

**რა შეიძლება გააკეთოს  
ყოველმა ჩვენთაგანეა  
საპუთარი ჯანმრთელობის  
აღსაღენად**



ღირსმოწამე სერაფიმე (ჩიჩაგოვი)  
1856-1937

არსებობს ყოველი ორგანიზმის მუშაობის დრო და აღდგენის დრო, და ამას ფიზიოლოგია ჰქვია. ეს მეცნიერება – ფიზიოლოგია – გარკვეული სერიოზული გამოკვლევების გარეშეა დარჩენილი იმის გამო, რომ, რუსმა ფიზიოლოგმა, დიდებულმა მეცნიერმა პავლოვმა თავის დროზე არ გამოიჩინა სიფრთხილე და უმაღლეს ნერვულ ქმედებებზე იმუშავა, რაც საბჭოთა პერიოდში ფსიქოტროპულ იარაღს დაედო საფუძვლად. ამიტომ ამოღებული იქნა ყველა მისი ნაშრომი. ფიზიოლოგ პავლოვის ყველა ძირითადი გამოკვლევა ინახება გრიფის – „საიდუმლოა“ – ქვეშ.

ფიზიოლოგია ეს 24 საათია, პერიოდი, როცა ყოველი ორგანო – თავის საკუთარ განსაზღვრულ დროს – მუშაობს ან აღდგენის პროცესშია. ეს უპირობო რეფლექსებია, ისინი ადამიანზე არ არიან დამოკიდებული. თუ ჩვენ სწორად ვიქცევთ – ამა თუ იმ ორგანოს აღდგენისა და თუ მუშაობის პერიოდში, არასოდეს ვხდებით ავად.

კუჭი დილის 5 საათიდან იწყებს მუშაობას. ის გამოიმუშავებს მარილმჟავას და პეპსინებს, რომლებიც ხსნიან (განაზავებენ) ორგანიკას. უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებენ ამას,

ასევე ორგანულნი, ასევე ცოცხალნი არიან და მაშასადამე, არ შეუძლიათ იცოცხლონ მთელი დღე-დამის განმავლობაში, რადგან ისინიც მარილმჟავას მიერ მუშავდებიან. ამიტომ კუჭი მაქსიმალურად, მთელი 12 საათის განმავლობაში, დილის 5 საათიდან საღამოს 5 საათამდე მუშაობს. საღამოს 6 საათისთვის კუჭში აღარ არის არც მარილმჟავა, არც უჯრედები, რომლებიც მას გამოიმუშავებენ. აქედან გამომდინარე, საღამოს 6 საათის შემდეგ მიღებული საკვები არ აითვისება, არ მონელდება და კუჭში იღება და მომდევნო დღემდე ხრწნას დაექვემდებარება, ამის გამო ჩნდება დილაობით პირში უსიამოვნო სუნი, დაღლილობის მდგომარეობა და მაღის არქონა.

რადგან მარილმჟავა ძალზე ძლიერი გამ-ხსნელია, კუჭში უჯრედები რომ არ გაიხსნას, დღის განმავლობაში ყოველ ორ საათში ერთხელ რაღაც უნდა ჭამო. აუცილებელი არ არის დიდი რაოდენობით საკვები მიიღო, შეიძლება, უბრალოდ, წაიხემსო და რადგან ორგანიზმის სისტემა თვითაღმდეგნია, თავად გიკარნახებს დღის ამა თუ იმ მონაკვეთში რომელი მიკროელემენტებია უფრო აუცილებელი. არანარი დიეტა არ არის

საჭირო. ყოველი ადამიანის სისხლს თავისი მდგომარეობა აქვს და მიკროელემენტებიც შესაბამისი სჭირდება: ერთისთვის თუთის მიღებაა აუცილებელი, მეორესთვის მაგნიუმი, და ა.შ. მიკროელემენტებს ორგანიზმი „ითხოვს“ ამა თუ იმ პროდუქტის სახით, აუცილებელ ელემენტებს რომ შეიცავენ, ამიტომ არ არსებობს აკრძალული ან ნებადართული პროდუქტები. ორგანიზმის აღდეგნისას საკვები მისთვის წამალი იქნება, ადამიანი კი აღარ იავადმყოფებს. ორგანიზმი თვითონ იპოვის პროდუქტს, რომელიც აუცილებელია მისი გამოჯანმრთელებისათვის ისევე, როგორც ცხოველები პოულობენ სამკურნალო ბალახს (რომლის სახელიც არ იციან) და ჯანმრთელდებიან.

დღის განმავლობაში რაც შეიძლება ზშირად უნდა იკვებო; მაგალითად ორ საათში ერთხელ, ანუ დღეში 5 ჯერ, როგორც ეს სანატორიუმშია მიღებული. ყველაზე ძლიერ მარილმჟავას კუჭი დილაადრიან გამოიმუშავებს, ამიტომ ამ დროს ძლიერი შიმშილის გრძნობა გიჩნდება. ამ დროს კუჭში ახალგაზრდა უჯრედებია, სიმჟავე ძლიერია. მაშასადამე აუცილებელია, საუზმედ ცხოველური წარმოშობის ცილები მიირთვა (მარხვის დროს ეს შეიძლება იყოს თევზი). სადილი სუპია, ხოლო ვახშამი – ფაფა, ნახშირწყლები, რადგან ისინი კუჭის მიერ არ მუშავდებიან და მალე გაიღლიან, კუჭი კი აღდგენას დაიწყებს. ვახშამი შეიძლება შედგებოდეს ფაფისა ან ბოსტნეულისა ან მაკარონისაგან, მითუმეტეს რომ ისინი ხანგრძლივად იძლევიან დანაყრებულობის გრძნობას, რადგან მათ მონელებას დიდი დრო სჭირდება.

18 საათიდან მუშაობაში ერთვება თირკმლები. ისინი იწყებენ ფილტვრას, რათა ორგანიზმიდან გამოღენონ ყველა მკვდარი უჯრედი, რომელიც კუჭმა გახსნა. თირკმლებს ძალზე ბლანტი სისხლის ფილტვრაში რომ დავეხმაროთ, 18 საათის შემდეგ შეიძლება დავლიოთ შემართლებული წყალი, ფიზიოლოგიური ხსნარის მსგავსი, აფთიაქში რომ იყიდება (მარილის კონცენტრაცია ფიზიოლოგიურ ხსნარში ძალზე ზუსტად არის დადგენილი, რადგან ის

ვენის შიგნით შეფავთ). შეიძლება მას გემო გაუსიჯნო, დაიმახსოვრო და თავად მოამზადო, მინერალურ წყალს „ესენდუკი“ №4-სა და №17-ს – ასეთივე შემადგენლობა აქვს. ასე რომ, 18 საათის შემდეგ მინერალური წყლის დალევა შეიძლება.

იმის გამო, რომ ჩვენ კალიუმით მდიდარ პროდუქტთა დიდ რაოდენობას ვიყენებთ, ახლა ყველას სისხლში მისი ჭარბი კონცენტრაცია გვაქვს. კუჭს არ შეუძლია ეს ჭარბი კალიუმი მჟავით „ჩააქროს“, რის გამოც ორგანიზმი რეფლექსს იძლევა – პირი „შრობას“ იწყებს. როცა ორგანიზმს თავად არ ძალუქს კალიუმის გამოდევნა, ცდილობს ის წყლით გადარეცხოს, რათა სისხლში თრომბი არ გაჩნდეს. ამ დროს წყურვილს გრძნობ. ადამიანს საერთოდ არ აქვს წყურვილის გრძნობა თუ ორგანიზმის ყველა სისტემა ნორმალურად ფუნქციონირებს. მთელი სადღედამისო სითხე არ უნდა აღემატებოდეს 500 მლს-ს, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ თავი ჩაით „გაინებივროთ“ და არა აუცილებლობის გამო.

ორგანიზმში ყველაზე ხშირად შემხვედრი რეაქცია ნეიტრალიზაციის რეაქციაა. მჟავას პლიუს ტუტე-წყალი. პირში ტუტე გარემოა. საკვები რეფლექტორულად განისაზღვრება, რეცეპტორები მუშაობენ, იღებენ რა გადაწყვეტილებას მჟავის ან კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტების გამომუშავების შესახებ. შემდგომ საკვები ჩადის კუჭში და მუშავდება მჟავით; კუჭის გავლის შემდეგ, მაგალითად წიწიბურას ფაფა შედის ნაწლავებში და კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტებით მონელდება. კუჭში მან გაიარა კუჭის წვენით დამუშავება, ხოლო ნაწლავებში – ტუტეთი. კიდევ ერთი ნეიტრალიზაციის რეაქცია. მას შემდეგ რაც კუჭქვეშა ჯირკვალმა დაამუშავა ეს ფაფა, – ხოლო მასში მცენარეული წარმოშობის ცილებია, – ეს ცილები იშლებიან ამინომჟავებად, რომლებიც ნაწლავებიდან სისხლში გადადიან. ამ ამინომჟავებისაგან ორგანიზმი საკუთარ ცილათა სინთეზს ახდენს. ამინომჟავა ორპოლუსიანი აგურია: ერთ მხარეს ტუტეთა ჯგუფია, მეორე მხარეს – მჟავისა (კარბოქსიდური). ხდება ცილათა სინთეზი კარბოქსიდურთა და ტუტეთა

(სხვადასხვა პოლუსის ჯგუფთა) შეერთების ანგარიშზე. ტუტე და კარბოქსიდური ჯგუფები ერთდებიან და იძლევიან წყალს. ცილა შედგება ათასი ამინომჟავისაგან, ამიტომ, გადაამუშავა რა წიწიბურას ფაფა, ორგანიზმმა მოახდინა უძალლესი ხარისხის სუფთა დისტილირებული წყლის უზარმაზარი რაოდენობის სინთეზირება. ის რაც ზედმეტია, ორგანიზმმა შარდის სახით გამოდევნა. აღდგენის პორმონალურ მექანიზმთა ემოციურ დონეზე დარღვევას მთელი ორგანიზმის ემოციურ დარღვევამდე მივყავართ. დიეტური რეჟიმის დაცვისას კუჭის ფიზიოლოგიაში ჩნდება ატროფიული გასტრიტისაგან განკურნების დრო. 18 საათიდან უჯრედები რეგენერირდებიან, დილისთვის გამომუშავებულია მჟავის დიდი რაოდენობა და ადამიანი შემშილის ძლიერი გრძნობისაგან იღვიძებს. აუცილებელი არ არის საკვების დიდი რაოდენობა. ორგანიზმის ყველა სისტემის სწორი მუშაობისას სიცოცხლისთვის საკმარისია ერთი ნაჭერი ჭვავის პურის მიღება, საიდანაც ორგანიზმი შეძლებს, მოახდინოს ყველა აუცილებელი ნივთიერებისა და ელემენტის სინთეზირება, C ვიტამინის გამოკლებით, რომელიც აგრეთვე გარედან უნდა მოღიოდეს, აქედან გამომდინარე, თუ ყველაფერი კარგად მუშაობს, ადამიანს სჭირდება ერთი ნაჭერი პური, ერთი თავი ხახვი და მარილი. სხვა ყველაფერი მხოლოდ ანაგვიანებს ორგანიზმს. კუჭი ახლა გეღარაფერს ინელებს. ადამიანები პროდუქტების უზარმაზარ რაოდენობას ნოქავენ, მარხვების დროს რძის ნაწარმზე ლოცვა-კურთხევას იღებენ, მაგრამ მარილმჟავას არარსებობის გამო არაფერი მუშავდება. ამიტომ ადამიანის მდგომარეობა მარხვის დროს კიდევ უფრო უარესდება, ხოლო ამგვარი კვებისას კუჭი არ აღდგება.

ექიმი გასტროენტეროლგი, — რომელიც სინჯავს პაციენტებს, გასასინჯად უზმოზე რომ უნდა მოღიოდნენ, აწყდება იმ ფაქტს, რომ დილით პაციენტებს სავსე კუჭი აქვთ, თუმცა არც ერთ მათგანს არ უსაუზმია. ადამიანმა საღამოს 8 საათზე მიღილო საკვები და ყველაფერი კუჭში დარჩა, კუჭი ღამის მანძილზე არ აღდგა. ადამიანს თავი სტკივა,

რადგან მის ორგანიზმში დუღილი და ლპობაა, უსიამოვნო სუნი ამოსდის პირიდან; ეს ყველაფერი წამლავს სისხლს, იგი თავს ცუდად გრძნობს. ექიმს არ შეუძლია კუჭი გასინჯოს. ექიმს მხოლოდ მაშინ ეძლევა ავაღმყოფთა ნორმალურად გასინჯვის საშუალება, როცა მათ აფრთხილებს, წინა საღამოს არ ივახშმონ.

სერაფიმე ჩიჩაგოვის სისტემაზე გადასვლისას, რამე სახის მკურნალობის არარსებობის მიუხედავად, ადამიანი მომხდარ ცვლილებას ამჩნევს: ტვინი უკეთ იწყებს მუშაობას, ადგილი აქვს მხედველობის აღდგენას, უმჯობესდება გარეგნობა.

რამდენადაც კალიუმი და ნატრიუმი ის ნივთიერებებია, რომლებიც ორგანიზმის მიერ კი არ სინთეზირდებიან, არამედ მოღიან გარედან (ძირითადად საკვებთან ერთად), ხოლო მთელი საკვები ამჟამად ძირითადად, კალიუმიანია, ადამიანის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაციონში გაზარდოს ნატრიუმის შემცველ პროდუქტთა რაოდენობა და შეამციროს კალიუმიანთა რაოდენობა. 100 გრამ პროდუქტზე 2 გრამ კალიუმს (ეს სადღელამისო ნორმა) შეიცავს საფუარიანი პური. ამგვარად ერთი ნაჭერი პური (100 გრამი) შეიცავს კალიუმის სადღელამისო ნორმას, რამეთუ საფუარი კალიუმის ყველაზე ძლიერი წყაროა. ამიტომ უკეთესია უსაფუარო პროდუქტები გამოყიდვით. კალიუმის კიდევ ერთი წყაროა ყველაფერი ტკბილი: თაფლი, მურაბა, ჩირი, ცოცხალი ხილი, თხილ-კაკალი, და მზესუმზირა. ეს პროდუქტები მცირე რაოდენობით უნდა მივიღოთ.

კვების რაციონში ნატრიუმის შემცველი პროდუქტების რაოდენობა უნდა გავზარდოთ. თუ მარხვას არ მივიღებთ მხედველობაში, ეს არის კვერცხი, თევზი, ხორცი, რძე, — ის რაც მარილმჟავას გამომუშავებას უწყობს ხელს. ნატრიუმის შემცველი პროდუქტები ეს ის ცილებია, რომლებიც კუჭმა უნდა გადაამუშაოს. მათ შორის არის სანელებლებიც — მდოგვი, პირშუშხა და აჯიკა. ეს ყველაფერი აძლიერებს მარილმჟავას გამომუშავებას, რაც ორგანიზმში შემოსულ საკვებს ასტერილებს. ამავე პროდუქტებს მიეკუთვნება ყველა დამწნილებული პროდუქტი (არა მარინადი,

ძმრით რომ მზადდება), რომელმაც გაიარა ფერმენტაცია, დუღილი. როცა მცენარეული პროდუქტი დუღს, — ხოლო ის დუღს ორი კვირის მანძილზე, — დუღილის პროცესი ჩეულებრივ კომბოსტოს ხორცად აქცევს. კუჭის მიერ დამწილებული კომბოსტო აღიქმება როგორც ხორცი. კუჭი ამუშავებს მას და მარილმჟავას გამოყოფაც ძლიერდება. კუჭს ზიანი არ ადგება, რაც მარხვის დროს ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენმა წინაპრებმა ეს კარგად იცოდნენ, ამიტომ როგორც კი მარხვა იწყებოდა, რუსეთში ისეთი პროდუქტების უზარმაზარ რაოდენობას იყენებდნენ, როგორიცაა დამუავებული ვაშლი, მიწამაყვალა, დამწილებული სოკო, კომბოსტოს მწილი და ა.შ. ფერმენტაცია მაშინ მთავრდება, როცა წყლება ლორწოს და გაზის წარმოშობა. შეიძლება გაასუფთაო სტაფილო, ჩააწყო მომინანქრებულ ჭურჭელში, ზემოდან „ანტონოვკა“ ვაშლები დააწყო და მარილიანი წყალი დაასხა. ამის შემდეგ 2 კვირა რაიმე მძიმე საგნის ქვეშ გედგას. ზუსტად ასევე შეგიძლიათ მოამზადოთ ჭარხალი და მომავალ მოსავლამდე შეინახოთ. ამ პროდუქტთა გამოყენება არ იწვევს გაზების წარმოშობას მათ ინელებს კუჭი, ისინი შეიძლება მოხარშო, სალათის ინგრედიენტად გამოიყენო, სუპებში ჩაამატო, მაგრამ თან გაითვალისწინო, რომ ასეთი სტაფილო თუ ჭარხალი უფრო დიდხანს იხარშება, ვიდრე ჩეულებრივი, რადგან ფერმენტაციის შემდეგ უფრო მაგარი ხდება, კუჭი ასეთ საკვებს ხორცივით იღებს, ეს ძალზე მნიშვნელოვანია მარხვის დროს, როდესაც ადამიანი უპირატესად ნახშირწყლებით იკვებება, რასაც სისხლის გასქელებამდე მივყავართ.

დამწილებულის გარდა საკვებად ნებისმიერი კომბოსტო შეიძლება გამოიყენო. ეს შეიძლება იყოს ბროკოლი, ზღვის კომბოსტო, თავდახვეული კომბოსტო და არა მაინცდამაინც დამწილებული. კომბოსტო შეიცავს K-ს, რაც ანტიგასტრიტული ვიტამინია. კომბოსტოს წვენი გამოიყენება წყლულებისა და გასტრიტების დროს, რადგან ის აძლიერებს მარილმჟავას გამომუშავებას. კარტოფილში კალიუმის ძალზე დიდი რა-

ოდენობაა. თუ კარტოფილს გაფცევნი და მთელი ძამე წყალში დატოვებ, კალიუმი გამოვა, ხოლო კარტოფილი (გადაღვრი რა წყალს) შეგიძლია შეწვა ან მოხარშო.

ბურღულიც შეიცავს კალიუმს, მაგრამ თუ რაციონში ნატრიუმიანი პროდუქტები მეტია, ბურღული და მაკარონი შეიძლება და საჭიროცაა საკვებად გამოიყენო.

სასმელებიდან კარგად აითვისება ტომატის წვენი. შეიძლება აიღო პასტა, წყალში გახსნა და ტომატის წვენი გააკეთო ან თავად მოამზადო შემოღვომაზე. ტომატის წვენი მარილით უნდა შეაზავო.

ნატრიუმის დიდ რაოდენობას შეიცავს ვარდეკაჭა. მას შეიძლება ჩვენი ყავაც ვუწოდოთ. ვარდეკაჭა შემოღვომაზე ყვავილობის შემდეგ უნდა შეგროვდეს. ამ დროს მცენარის ფესვები გროვდება. კიდევ ერთი მცენარე, რომელიც სასარგებლოა არის თხაწართხალა ანუ წყალნაწყონი. მას ყვავილობის პერიოდში აგროვებენ, მაგრამ ყვავილებს კი არა, ფოთლებს იყენებენ. აუცილებელია შეგროვილი ფოთლების ფერმენტირება ანუ მათი მექანიკური დამუშავება წვენის გამოსვლამდე. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ ფოთლების გახმობა. ჩაისთვის განკუთხნილი ყველა ბალაზი და ნაკრები — პიტნა, ბარამბო, მოცხარისა და ალუბლის ფოთოლი აუცილებლად უნდა ფერმენტირდეს, რათა ჩაის მკვეთრი ფერი ჰქონდეს და სარგებლობაც მოგვიტანოს.

ჩაის სმა პირველად ჩინეთსა და იაპონიაში დაიწყეს, მაგრამ იქ ჩაის ძალზე მცირე პორციებით შეექცევიან. ტკბილი ჩაის სმა სასარგებლო არ არის, რადგან სისხლი ნატრიუმის ქლორიდს შეიცავს, ხოლო ტკბილი ჩაი, წყალი მაშინვე შეიწოვება სისხლის მიერ, რაც ნატრიუმის კონცენტრაციას ამცირებს; შემდგომ თირკმლები ამის ბლოკირებას ახდენენ, და გარეთ აღარ გამოაქვთ.

ძალზე ხშირად წყურვილის გრძნობა სხვა გრძნობებში გვერევა. სიცხეში პაციენტებს ურჩევდნენ, არაფერი დაელიათ. თავად ექიმებიც არ სვამდნენ, არ იოფლებოდნენ და სიცხე არც უგრძვნიათ. იმისთვის, რომ შეამოწმო, მართლა უნდა თუ არა ადამიანს წყლის დალევა, შეიძლება ასეთი ცდა ჩაატარო: სიც-

ხეში თბილი, ანადუღარი წყალი მისცე, თუ ადამიანი არ ისურვებს მის დალევას და ცივ წყალს მოითხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას წყალი კი არა, გაგრილება სჭირდება, ამიტომ სიცხის დროს საქმარისა თავზე ყინულიანი სათბური დაიღო ან გრილი შხაპის ქვეშ დადგე, რომ წყურვილის გრძნობამ გაგიაროს. თუ ამ დროს დალევ ტკბილ წყალს ან წვენს, მაშინ არსებული შაქარი სისხლში შაქრის კონცენტრაციას გაზრდის, რაც ლორწოვანის გამოშრობას გამოიწვევს და სულ წყურვილის გრძნობა გექნება. შაქარი აიწევს და ინფარქტი ან ინსულტი რომ არ მიიღო, ორგანიზმი ნიადაგ წყლის მოთხოვნაში იქნება!

ნატრიუმით მდიდარი პროდუქტები რაციონის საფუძვლად უნდა იქცნენ, რამეთუ ადამიანი ჭამს არა სიამოვნებისათვის, არამედ არსებობის უნარის შესანარჩუნებლად. წმინდა მამები წერენ, რომ ადამიანი სუფრიდან შიმშილის მსუბუქი გრძნობით უნდა აღგეს. კუჭს არ შეუძლია საკვების დიდი რაოდენობის მონელება. მარილმჟავასაც ადამიანი ძალზე მცირე რაოდენობით გამოიმუშავებს. ამისათვის საჭიროა, არეგულირო საკვების რაოდენობა, რაც ადამიანის სიმაღლესა და სხეულის აღნაგობაზე არის დამოკიდებული. კარგი იქნება, თუ ერთ ჯერზე მივიღებთ ერთმანეთზე მიტყუპებულ ორი ხელისგულის შესაბამისი რაოდენობის საკვებს, იმის მიუხედავად თუ რას მივიღებთ, არ არის საჭირო კომპლექსური სადილების – პირველის, მეორეს და კიდევ კომპონტის მიღება. ამის მონელება შეუძლებელია. კვების პრინციპია, შეექცეოდე რაღაც ერთს, ფაფას, სუპს ჩაის – ყველაფერს 1-2 საათის ინტერვალით უნდა მიირთმევდე. მაშინ კუჭი შეძლებს ყველაფრის გადამუშავებას.

წყალი და სითხე კუჭის მიერ არ შეიწოვება. მათ იწოვს მსხვილი ნაწლავი, ხოლო კუჭში მხოლოდ გაივლიან. თუ საკვების მიღებისთანავე დალევ ჩაის, წვენს ან ნებისმიერ სითხეს, იქნება კუჭში მანამ, სანამ ეს უკანასკნელი საკვებს ამუშავებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კუჭის წვენის კონცენტრაცია დაეცემა, საკვები დიდხანს იდგება გუნდად და ეს იქნება ძალზე ხანგრძლივი მონელება. ამიტომ დალევა შეიძლება ჭამამდე ერთი საათით აღრე ან ერთი საათის შემდეგ.

თუ ადამიანი გაითვალისწინებს ამ უბრალო ფიზიოლოგიურ პრინციპებს, ის შეწყვეტს ავადმყოფობას. ქლორის სწორი კონცენტრაციის დროს სისხლში გახსნას დაიწყებენ თრომბები, ხალები, სიმსივნეები, გამოსვლას დაიწყებს სილა, განიწმინდება სახსრები, აღდგება მხედველობა. გამოჯაანმრთელების პირველი ნიშანი შარდის ფერის და სუნის შეცვლა იქნება, ადამიანს რომელიც ამ პრინციპით იცხოვრებს, სხეულზე ხალები აღარ ექნება.

არის შემოქმედი და არის მისი შემოქმედების გვირგვინი ანუ მწვერვალი – ადამიანი. შეუძლებელია ღმერთს ადამიანი – რათა მას არსებობა ხელოვნურად შეენარჩუნებინა – რაღაც მიკროელემენტებზე დამოკიდებულად შეექმნა. ადამიანის ორგანიზმი თავად სრულყოფილებაა.. როცა ორგანიზმი ამ რეჟიმში შედის, ხოლო ეს ერთკვირიანი წრიალისა თუ „მიმოხეთქების“ შემდეგ ხდება, ადამიანის მდგომარეობა საოცრად იცვლება. ქრება სისუსტე, ჭამის შემდეგ ძალების მოზღვავებას გრძნობ, გარეგნულადაც იცვლები და გინდა რომ სულ უფრო უკეთ და უკეთ იყო.



## რეზუმე ცურული 175



„შენ რომ აპაპი არ იყო, ვინ გინდა იყოო?“ – უკითხავს მისთვის იონა მეუნარგიას. – „მაიც აპაპიო“, – უკასუხდა პოეტს.



**აპაპი ჭერემიელი**  
ქუთაისი, ბოტანიკური ბაღი,  
1912 წლის 2 აგვისტო.



„გამარჯობათ თქვენ, ახლადმომავალნო! მე, უკვე მიმავალი, გეთხოვებით და ვწუხვარ, რომ საგულისხმო ანდერძად ვერას გიტოვებთ, გარდა მარტო თქვენი ხევწა-ვედრებისა: გიყვარდეთ თქვენი სამშობლო... თქვენი ერი, როგორც პირველი საფუძური კაცობრიობის მისწრაფებისა, რადგანაც სიყვარულშია ადამიანის ბეღნიერება, მაგრამ მისთანა სიყვარულში კი, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უძევს. უამისოდ ყოველგვარი შრომა ამაოა და მშრომელს არა აქვს უფლება, თქვას: „უფალი ჩემთანაა, ალილუა!“

„აკაკის სურდა წილვა მთლიანი საქართველოსი და შექმნა კიდეც“.

### განტანგ კოტეტიშვილი

„თვით აკაკის პიროვნება ქართველების ბედის ნატეხად იცვნეს“.

### გალაკტიონ ტაბიძე

„მეტად რთულია აკაკის ბუნება: მასში იღუმალ არიან ხლართულნი მისი პიროვნება და მისი შემოქმედება. მართალია აკაკის პიროვნება და შემოქმედება სხვა და სხვაა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ისინი ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელ არიან. აკაკის ბუნება ქართველების ბედის ნატეხია. ის ერთი რამე, რაც აკაკის აწუხებს, არის სწორედ ამხსნელი მის ბუნებისა. ქართველობა თვის მეორე შობიერებაში ტრაგიზმს განიცდის – და მისი ღვიძლი შვილი აკაკი ამ ტრაგიზმის მატარებელია“.

### გრიგოლ რობაქიძე

„არავის ისე კარგად არ ესმოდა ჩვენში სახალხო სიტყვიერების მნიშვნელობა, როგორც აკაკის. ის გრძნობდა თავის შემოქმედების ძირითად კავშირს სახალხო პოეზიასთან და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე საფუძველი ჩაეყარა ხალხური სიტყვიერების შეკრებისათვის“.

### ექვთიმე თაყაიშვილი

„აკაკი და პოეზია, აკაკი და ლექსის თქმა ქართველი ხალხის წარმოდგენაში სინონიმები გახდა. აკაკი წერეთელმა ოლიმპიური სიდინჯით მიიღო საქართველოს ბულბულის სახელწოდება“.

### სიმონ ჩიქოვანი

„წართვით საქართველოს აკაკი და... დარჩა ლირიკის ადგილი, რომელიც ალბათ დიდხანს არ შეივსება“.

### არტურ ლაისტი

## იუბილედან იუბილემდე

ქართველი პოეტი, თანამედროვეთა მიერ „საქართველოს ბულბულად“ შერაცხული, აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წლის 21 ივნისს, სოფელ სხვიტორში, ზემოიმერელი არისტოკრატის, როსტომ წერეთლის ოჯახში. დედა – ეკატერინე აბაშიძე – იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შვილიშვილის შვილი იყო.

ლექსების წერა ჯერ კიდევ ადრეულ ასაქში დაიწყო, 1860 წელს გამოქვეყნებულმა ლირიკულმა ლექსმა „საიდუმლო ბარათი“, რომელიც იმთავითვე სიმღერადაც გავრცელდა, ანალგაზრდა პოეტს ფართო საზოგადოებაში დიდი პოპულარობა მოუტანა.

მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, აკაკი წერეთელი არასდროს შესულა სახელმწიფო სამსახურში. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და მის მრავალმხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, ქართული დრამატული საზოგადოების შექმნასა და მუშაობაში.

ქართველი ხალხის პოეტისადმი დიდი სიყვარულის ნათელი დადასტურება იყო მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო (1908), რომელიც, ისევე როგორც პოეტის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (1912), ვრანდიოზულ ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ამ ფაქტის მომსწრე ცნობილი იურისტი და პედაგოგი ლადო ჯაფარიძე თავის მოგონებებში წერს:

„საკუთარი თვალით უნდა გენახათ ის ნამდვილად სახალხო და გულიდან ამომწდარი ზეიმი, რომელიც თან ახლდა პოეტის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის ყოველ ნაბიჯს 1912 წლის ზაფხულზე, რომ გულით გეგრძნოთ ჰეშმარიტება იმისა, რომ აკაკი ეს მთელი საქართველოა.

მომეჩევნა, რომ პოეტის სახით ჩვენ გვეწვია მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო, ისე თვალნათლივ წარმომიდგა წინ მისი სახით ჩვენი ლამაზი ქვეყნის ულამაზესი ცოცხალი ემბლემა: ახოვანი, ლამაზი, მომღიმარი, სიამოვნებისა და სიხარულის მომნიჭებელი“.

ასე იყო 1912 წელს!..



სახლი სოფ. სხვიტორში, 1912 წლის აგვისტო, აკაკი ზის მარცხნიდან პირველი.

დიდი პოეტის იუბილე 1990 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო...

„... თუ აღმოსავლეთ საქართველომ გულლია მასპინძლობით განსაკუთრებული სითბო და სიყვარული გამოიჩინა მთელი ერისა და მსოფლიოს წინაშე ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ, დასავლეთ საქართველო და გამორჩეულად კი, ზემო იმერეთის საზოგადოება მზად იყო დაბლა არ დაეშვა სიყვარულის ესტაფეტა: ზემო იმერეთი და მთელი საქართველო ელოდა აკაკის საიუბილეოდ მსოფლიო საზოგადოების გამოხმაურებასა და სტუმრობას.

იმდროინდელი საიუბილეო კომიტეტის განცხადებით – „...ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის იუბილეს დროს, აკაკი წერეთლის იუბილეში მონაწილეობისათვის საქართველოში ჩამოვა მრავალი უცხოელი სტუმარი, საიუბილეო კომიტეტი ახორციელებს ღონისძიებებს, რომ საზღვარგარეთის პრესაში ფართოდ დაიბეჭდოს სტატიები გამოჩენილ მწერალზე..“

კომიტეტის საიუბილეო გადაწყვეტილებები გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში. გაზეთების მომდევნო ნომრებში ქვეყნდებოდა ინფორმაციები საიუბილეოდ გათვალისწინებული ღონისძიებების მზადების შესახებ.

იმ ხანებში აკაკის სატირული ლექსების ციკლი დაბეჭდა „ქართულმა გაზეთმა“, რომელთა შორის რუბრიკით – „დაუმორჩილებელი ქართული პოეზია“ – ცენზურის მიერ ადრე აკრძალული, აკაკის პოეზის ნიმუშები გამოაქვეყნა.

ამ აქტიურმა შემოქმედებითმა საქმიანობამ საერთაშორისო სატირულ-იუმორისტულ ცენტრთან, ბულგარეთის ქალაქ გაბროვოსთან დაგვაკავშირა. დროთა განმავლობაში გაჩნდა იდეა საქართველოშიც შექმნილიყო სატირულ-იუმორისტული ცენტრი. „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა პუბლიკაცია – „გვქონდეს ქართული გაბროვო“; ბუნებრივი იქნებოდა ასეთი ცენტრის დაარსება ნოდარ დუმბაძის ან აკაკი წერეთლის შემოქმედების მასაზრდოებელ ფოლკლორულ გარემოში.

ასეთმა პუბლიცისტურმა ძალისხმევამ გამოძახილი პპოვა ბულგარეთიდან; გაბროვოში გამართულ სატირისა და იუმორის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს „ილიკო და ილარიონის“ კლუბის ხელმძღვანელი ზურაბ ასკანელი, ხოლო საპასუხოდ გვესტურა ბულგარელი მხატვარი-სატირიკოსი ნიკოლაი რიჟდაშვილი – გაბროვოს სატირისა და იუმორის საერთაშორისო ფესტივალების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

აი, როგორ იხსენებს ბულგარეთში დაწყებულ ამ ურთიერთობას ზ. ასკანელი:

„...მე და მამუკა (მსახიობი მამუკა კიკალეიშვილი – ს.ჯ.) სიმბოლურ გამოსათხოვარ სუფრას ვუსხედით. ცოტა ხანში მოგვიახლოვდა ერთი ახალგაზრდა და მორიდებით დადო რამდენიმე ბოთლი ღვინო ჩვენს მაგიდაზე; გვთხოვა, თუ შეიძლებოდა თანამეინახეობა გაეწია ჩვენთვის. თამაღა მამუკა იყო და დიდსულოვნად მიიღო სუფრის ახალი წევრი, რომელიც გაბროვოელი კარიკატურისტი ნიკოლაი რიჟდაშვილი აღმოჩნდა.

– მე პრესკონფერენციას ვესწრებოდი და თანაგრძნობის სათქმელად მოვედი 9 აპრილის თბილისური ტრაგედიის გამო, – გვითხრა მან.

როდესაც თამაღამ ჩვენი და ბულგარელების საერთო სალოცავების სადღეგრძელო დალია, ნიკოლაიმ დანანებით აღნიშნა: შენ ასეთ წმინდა თემაზე ლაპარაკობ და მე კი მონათლული არა გარო... და მაშინ იყო, მამუკამ რომ „წმინდა ნინოს“ ვერცხლის ჯვარი მოიხსნა და ნიკოლაის დაპერიდა გულზე... იქვე გადაწყდა, რომ ეს სიმბოლური ნათლობა ოფიციალურსა და ნამდვილ სახეს მიიღებდა თბილისში...“

გაბროვოში დადებული პირობა ქართველ მეგობრებთან დანათესავებით დასრულდა, ხოლო ახლად მირონცხებულმა ნიკოლაიმ უკვე თავად მონათლა ზურაბ ასკანელის ვაჟი – პატარა ნიკოლოზი.



**ნიკოლაი რიუდაშვი — გაბროვოს სატირისა და იუმორის საერთაშორისო ფესტივალების ორგანიზების წევრი და გიზო ჭელიძე — ფოლკლორისტი, პროფერსონი.**  
აკაკის ეზოში. სოფ. სხვიტორი. 1990 წელი.

ხები, გაცნობოდა მათს ყოფა-ცხოვრებას, ფოლკლორისა და სტუმარ-მასპინძლობის აღათ-წესებს.

ჩვენი მოგზაურობის გეგმა მარტივი იყო და ხელი არაფერს უნდა შეეშალა, მაგრამ საჩერეში ჩასვლისთანავე წავაწყდით პირველ „გაბროვულ“ პრობლემას: კულტურის განყოფილების გამგე, ვისთანაც შეთანხმებული იყო ჩვენი სტუმრობა, თბილისში წასულიყო „გადაუდებელი საქმეების გამო“.

აკაკის სამყაროში გზა რომ „გაგვეკვლია“, ქალაქის ადმინისტრაციის პირველ პირს, ქ-ნ ელისო ბერიძეს მივმართეთ. მალე მისაღებში ახალგაზრდა კაცი წარმოგვიდგა — „ომურ კლავისტონის ძე გაგნიძე — გაგვეცნო იგი, საქმის კურსში ვარ, — დაგვამშვიდა ახლადგაცნობილმა — ადგილობრივმა გაზეთმა თქვენს შესახებ უკვე აცნობა საზოგადოებას, შეხვედრა 18 საათზე გაიმართება“...

შეხვედრის დაწყებამდე, საჩერეში რამდენიმე საათიანი მოგზაურობის შესაძლებლობა მოგვეცა: ედემს შეფარებული ტყიანი მთის კალთებიდან გადმოვხედეთ სხვიტორის თვალწარმტაც, ფერწერულ პეიზაჟს, მოვინახულეთ ორსართულიანი ქვიტკირის სასახლე, აკაკი რომ აღწერს თავის მოგონებებში: „სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე ციხისა, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს“. ამ სახლში, დიდი ქართველი პოეტის მუზეუმი 1939 წელს გაიხსნა. ოთახში, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა მგოსანი, ბუხრის თავზე დგას საათი, რომელიც მარადიულ დროს აჩვენებს: ღამის პირველ საათზე გაჩერდა საათი პოეტის გულის ძგერასთან ერთად...

ბულგარელმა სტუმარმა სურვილი გამოთქვა ქართული იუმორის ბუნებას იმ გარემოში გაცნობოდა, სადაც ყველაზე კარგადაა გამოხატული იგი. ახალგაზრდულ გაზეთთან შექმნილმა სატირულ-იუმორისტულმა საბჭომა აკაკის გარემო ირჩია!

საბჭოს წევრი სიმონ ჯაფარიძე იხსენებს: 1990 წლის 18 მაისს, ორი მსუბუქი ავტომანქანით საჩერეში გავემგზავრეთ: ზურაბ ასკანელი — კლუბის ხელმძღვანელი, კლუბის წევრები: ლევან ბრეგაძე — კრიტიკოსი, გიზო ჭელიძე — ფლკლორისტი, ფელიქს კოშიაშვილი — სატირიკოსი, პუბლიცისტი, იმერი ხრეველი — პუბლიცისტი, მხატვარი; ჩვენთან ერთად იყო მამუკა კიკალეიშვილი — მსახიობი, გაბროვოს კომედიური ფილმების ფესტივალის გამარჯვებული და ჩვენი გაბროვოელი სტუმარი, მხატვარი-სატირიკოსი ნიკოლაი რიუდაშვი.

ბულგარელ სტუმარს სურვილი ჰქონდა ენახა გარემო, სადაც დაიბადა და გაიზარდა აკაკი წერეთელი, მოველო ღირსშესანიშნავი ადგილები, მოენახულებინა იმერული ოჯახი განვითარებული სამუშაოებისა და ეთნოგრაფიას, ხასიათსა და სტუმარ-მასპინძლობის აღათ-წესებს.

ოთახის ფანჯრიდან შორს მოსჩანს მშვენიერი სოფელი სავანე, სადაც აკაკიმ ბავშვობა გაატარა. სასახლის ეზოშია კარის ეკლესია, რომელსაც ამ ფანჯრიდან მიაპყრო პირველი მზერა პოეტმა, როცა გააცნობიერა სამყაროში თავისი მოვლინება და უკანასკნელად შეავლო თვალი, როცა წუთისოფელს გამოეთხოვა...

ჩვენ, გზადაგზა გვხვდებოდნენ ექსკურსანტთა ჯგუფები, მოსწავლეები, ცალკეული ტურისტები... მათს სახეებზე აღბეჭდილი ემოცია უსიტყვოდ გამოხატავდა თითოეულის განწყობილებას, აკაკის განუმეორებელ სამყაროსთან შეხებით რომ იყო გამოწვეული...

საღამოზე, ადმინისტრაციული კორპუსის სააქტო დარბაზში ჭიათურა-საჩხერის შემოქმედებითმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ამ ორ ქალაქთან აკაკის სახელი განუყოფლადაა დაკავშირებული. საჩხერე – მისი შემოქმედებითი ცხოვრების ნაწილი იყო, ხოლო სამრეწველო პოტენციის ქალაქად ჭიათურის გადაქცევა აკაკის ღვაწლის შედეგია. აქაური ქვა-გუნდის, ანუ მარგანეცის წარმოებას მან დაუდო სათავე და გაუთქვა სახელი მსოფლიოში.

მასპინძელმა, თემურ გაგნიძემ, სტუმრები წარუდგინა შეკრებილ საზოგადოებას და აუწყა: „აკაკის საერთაშორისო საიუბილეო ესტაფეტაშ სტარტი აიღო! – ჩვენი უცხოელი სტუმარი, მხატვარი-სატირიკოსი ნიკოლაი რიჟდაშვილი წარმომადგენელია გაბროვოს საერთაშორისო სატირულ-იუმორისტული ცენტრისა ბულგარეთიდან“...

სტუმრები და მასპინძლები, პოეტები და ლექლამატორები, ლირიკოსები თუ სატირიკოსები ვიდრე სცენაზე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, ბულგარელი მხატვარი, ხელის ერთი მოსმით, ელვის უსწრაფესად ხატავდა გამომსვლელთა მეგობრულ შარუებს და გაოცებულ ორატორებს სახსოვრად ურიგებდა.

სტუმართაგან, შეკრებილ საზოგადოებას მიესალმნენ სატირულ-იუმორისტულ კლუბ „ილიკო და ილარიონის“ წარმომადგენლები – ზურაბ ასკანელი და სიმონ ჯაფარიძე; სატირული „ნამცვარევები“ წაიკითხა ფოლკლორისტმა გიზო ჭელიძემ, მან გაიხსენა ისტორია „აკაკის კაქლის“ შესახებ, პოეტის სიძის, ჯვარელი დადიანების ეზოში რომ ზარობდა.

„...საჩხერიდან შთაბეჭდილებებით აღსავსე ოთხეული მანქანით გამოვემართეთ ჭიათურისაკენ. ჭიათურამდე არც თუ ხანგრძლივი სავალია, მაგრამ ეს დრო საშუალებას გვაძლევდა აკაკისა და ჭიათურის მაღნის მოპოვების ისტორიაზე გვესაუბრა, რამდენადაც იმ ადგილების სიახლოეს გვიხდებოდა გავლა, სადაც აკაკიმ პირველმა გაამახვილა ყურადღება მაღნის მოპოვების შესაძლებლობაზე...“

პოეტს ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰქონდა მამისაგან გაგონილი, რომ „წირქვალისა და რგანის მიწებზე მოყვანილი ხორბალი არ ვარგა, რაღაც აღოს აღებისას მასში ქვაგუნდას წვრილი მარცვლები ერევა და მთლიანად აშავებსო“.

1858 წელს აკაკის, უკვე პეტერბურგში სტუდენტობის დროს, „გორნი ჟურნალში“ წაუკითხავს ცნობილი გეოლოგის, აკადემიკოს ჰერმან აბიზის სტატია, სადაც აღწერილი იყო სოფელ წირქვალში ნანახი მანგანუმის მაღნიანი ადგილები; „ამ სტატიამ, – წერდა აკაკი – მომაგონა „წირქვალური პურის ამბავი“ და დიდად დავინტერესდი“...

აკაკიმ გაგზავნა რუსეთში და ევროპაში მაღნის პირველი ნიმუშები და როგორც მწერალი გიორგი წერეთელი გადმოგცემს „ჭიათურის შავი ქვის პირველი პარტია აკაკის სახელით გავიდა ევროპის ბაზარზე“.

საინტერესოდ აღწერენ აკაკის ერთ-ერთ მოგზაურობას პეტერბურგში, ჭიათურისადმი მიძღვნილ თავიანთ ნარკევეში „დიდი მოურავის“ ცნობილი ავტორი ანა ანტონოვსკაია და მისი შვილი, მწერალი და პუბლიცისტი ბორის ჩორნი.

აკაკიმ, მაღნის ნიმუშები, როდესაც პეტერბურგში თან წაიღო და ლაბორატორიას ჩააბარა შესასწავლად, მეორე დღეს, გამოკვლევის შედეგების გასაგებად მისულ პოეტს ლაბორანტმა აღტაცებით მიმართა:

„— თავადი წერეთელი?... თქვენ იცით?! — იცით რა ჩამოიტანეთ?!

ოთახში თავი მოიყარეს სწავლულებმა, გარს ეხვეოდნენ აკაკის, ხელს ართმევდნენ: — ფენომენი ხართ, ნუთუ კავკასიაში ასეთი მდიდარი მაღანი მოგეპოვებათ?! დაუჯერებელია, ზღაპრულია!

ლაბორატორიის რეგისტრატორმა წიგნში ჩაწერა: „ანალიზის შედეგი — კავკასიის მაღანი (ჭიათურა) მაღალხარისხოვანი მარგანეცია, ქიმიური ელემენტი რკინის მუდმივი თანამგზავრია. ლ.ი. მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემის VII ჯგუფის ელემენტი, რიგითი ნომერი — 25, ატომური წონა — 54,98...“

მაღნის ასეთმა დიდმა მნიშვნელობამ და სამრეწველო ღირსებებმა მაღლე განაპირობა მისი მოპოვების გააქტიურება, რამაც შემდგომში ჭიათურა მნიშვნელოვნ სამრეწველო ქალაქად აქცია.

საინტერესოა ერთი ეპიზოდი ჩემი წინაპრების ურთიერთობიდან აკაკისთან. იგი ეხება მაღნის მოპოვებასთან დაკავშირებულ აკაკის სტუმრობას სოფ. წირქვალში: „ჩემს ბაბუას, მარგანეცის მრეწველებს შორის აკაკის ერთ-ერთ თანამდგომს და მხარდამჭერს, ვიქტორ გამყრელიძეს, გზად, უკან დაბრუნებისას სოფელ ზოდში, შინ მიუწვევია საპატიო სტუმარი თანმხლებ პირებთან ერთად და დიდი წვეულება გაუმართავს.



ვიქტორ გამყრელიძე  
(ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1925 წ.)

ლხინი, ზემოიმერული გულუხვობით დამშვენებულ სუფრასთან დილამდე გაგრძელებულა...

როცა სხივთა ათინათი ეზოში, ნამიან ბალახზე აკიაფდა, ჩიტების ჭიკჭიკმა გამოაღვიძა არემა-რე და დღის სინათლეზე წარმოჩნდა სოფლის იდილიური სილამაზე, მგოსანი ფეხზე წამოდგა, სუფრის წევრებს ანიშნა, სმენა მიეპყროთ ახლად-გაღვიძებული ბუნების ხმებისათვის; მცირე პაუზის შემდეგ სასმისი ასწია და სადღეგრძელო ლექსად წარმოთქვა:

„აგერ ტყიდან გამოისმის  
ბულბულისა ტია-ტია,  
ყმაწვილებო, აწ კი დროა  
ვაღლეგრძელოთ გოგოტია!“

მასპინძლის მეუღლე, ალექსანდრა, რომელსაც შინაურები გოგოტიას ეძახდნენ, გამრეკლიბის ქალი, საუცხოო დიასახლისი იყო მას ეკუთვნოდა აკაკის საპატივცემლოდ გაწყობილი სუფრის მთელი შემოქმედება, იგი არავის შეუმჩნევია, ვიდრე აკაკიმ

არ აღღეგრძელა. დიასახლისი აღტაცებული იყო დიდებული პოეტის სტუმრობით, მაღლობას უხდიდა პოეტსა და იქ შეკრებილთ დაფასებისა და უშუალო, გულწრფელი ურთიერთდამოკიდებულებისათვის.

აკაკის ეს საღღეგრძელო სამაღლობელიც იყო და ლხინის დამთავრების ნიშანიც. პოეტის ეს სტუმრობა განუმეორებელ მოვლენად დარჩა სოფლის ისტორიას...

„...ჭიათურის სანახებს მივუახლოვდით. ჩვენი საუბარი კვლავ აკაკის პოეზიას და ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობას შეეხებოდა; ამ ორ ქვეყანას, მარტო წარმტაცი ბუნება და ხალხის კეთილი ხასიათი კი არ ამსგავსებდა ერთმანეთთან, არა მარტო ათასწლოვანი საეკლესიო კონტაქტები და მართლმადიდებლური სარწმუნოება აკავშირებდა ამ ორ ერს, არამედ ისტორიული მნელბედობითაც პგავდნენ ურთიერთს: თურქ დამპყრობლებთან გამუდმებულ ბრძოლაში ქართველებივით ბევრი სისხლი აქვთ დაღვრილი ბულგარელებს. ჩვენი სახელოვანი პოეტის ბიძაშვილი, ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთელი, რომელსაც ქალაქ პლოვდივის (ფილიპოპოლისის) გენერალ-კონსულის თანამდებობა ეკავა, 1877 წლის 11 აგვისტოს, ბულგარეთის გათავისუფლებისათვის შიპკაზე იბრძოდა. მძიმე ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცისა და გმირული თავგანწირვისათვის, მის საპატივცემულოდ, ერთი ლამაზი, დასახლებული ადგილისათვის ბულგარელებს შეურქმევიათ „წერეთელოვო“. ამ ქვეყნის ისტორიას და ბულგარეთ-თურქეთის იმუამინდელ დამოკიდებულებას კარგად იცნობდა თვით აკაკიც, რომლის შესახეაც გამოაქვეყნა სტატია „ივერიაში“ 1903 წლის 29 აგვისტოს...

საჩერისა და ჭიათურის საზოგადოებასთან შეხვედრით მიღებული შთაბეჭდილებებით აღფრთვისანებული ბულგარელი სტუმარი მეტად კმაყოფილი დაბრუნდა სამშობლოში... (სიმონ ჯაფარიძე, „აკაკი წერეთლის საიუბილეოდ“).

ასე ჩატარდა „საქართველოს ბულბულის“ ასერგასი. მართალია, საუკუნოვანი მონობიდან თავდაღწეულ ქვეყანაში დემოკრატიული დირებულებებისათვის თავგადაკლულ პოლიტიკოსთა ურთიერთდაპირისპირებისა და ქიშპობის ამღვრეულმა ნაკადმა, ქონებრივი თუ თანამდებობრივი უპირატესობის მოსაპოვებლად აღძრულმა ვნებათა ღელვამ“ გარკვეული კორექტივები შეიტანა საორგანიზაციო კომიტეტის გეგმებში, მაგრამ აკაკის 150 წლის იუბილე, მადლობა უფალს, პოეტის მშობლიურ კუთხეში დირსეულად აღინიშნა და ლამაზ მოგონებად გაპყვა წარსულს...

მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა და რა?

2015 წელს, პოეტის „ცა-ფირუზზ“, „ხმელეთ-ზურმუხტოვანზ“-ი სამშობლოს დღევანდელ მესვეურთ „დაავიწყდათ“ დიდი მამულიშვილის დაბადებიდან 175 წლის იუბილეც და გარდაცვალებიდან 100 წლისთავიც... მავანს და მავანს წმიდა ილია მართლის სიტყვებს შევასენებთ: „კაცი, რომელსაც არ ახსოვს თავისი წარსული, პგავს იმ ადამიანს, რომელმაც არ იცის საიდან მოვიდა და საით მიდის“...



აკაკის ლექსის აღრესატი გოგოტია  
(ალექსანრა გამრეკლიძე-გამყრელიძისა)

## სიმონ ჭაფუარიძე

# პაპის ნაპვესი სიტყვა

„სიტყვა თესლია, ხალხი ნიადაგი. თამამად და პატიოსნად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოდ არ რჩება ... რომ არ გვორნია, იმ დროს და მისთანა ალაგას ამოდის, არ კარგება!... დღეს ჩვენი ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, რომ სიტყვა თუ არა მეტს, ნაკლებ სარგებლობას მაინც არ მოუტანს და, მაშასადამე, ყველას გვმართებს ხმის ამოღება!..“ — აღნიშნავდა აკაკი წერეთელი.

სატირიკოსის მახვილი ფხა, შემართული კილო და საბრძოლო პათოსი, თავიდან ბოლომდე გასდევს აკაკის პოტურ მემკვიდრეობას.

„კილო ჩემის მწერლობისა — განსაზღვრავს თავის პოზიციას იგი — სულ სხვაგვარი იქნება: ისეთს, ისეთს დავყეფ, რომ კურდღლები ჩირგვებში აკანკალდნენ და მხეცები სოროებიდან გამოვიყვანო. გამოვალ ღრენით შარაგზაზედ და ვინც ღირსი იქნება, კუნთებს გამოვგლეჯ... ვითარცა მოვერიდო ვისმეს? ან შევუშინდე? თქვენც არ მომიკვდეთ! ვიცი, ბევრჯერ მესვრიან ქვას... ბევრჯერაც დამიტატანებენ, მაგრამ მე მაინც, სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემსას არ მოვიშლი: პატარა, ხელ-ფეხის მსლაქვნელ ფინიასავით სხვის კალთაში თბილად წოლას და წებივრობას, შარაგზაზედ ყეფის დროს სიკვდილი მირჩევნია“.

დიდ მგოსანს არასოდეს უდალატია საკუთარი პრინციპებისათვის, პოტური მრწამსისათვის; არც განელებია სიცოცხლის ბოლომდე სიტყვაში სატირული სიმბაფრე...

„ერთმა ჭეკვიანმა კაცმა მითხრა — იგონებს პოტი — სწორედ რომ ახირებული კაცი ზარ: შენიან — სხვისიანი არ იცი, შენიანს არ არჩევ შენის მწარის ენით და სხვისიანს უდგები?... რომ ვისმეს უნდოდეს შენთან დაახლოვება და დამოყვრება, ვერ ახერხებსო“. ეს მართალი მითხრა, მაგრამ არც მე მიპასუხნია ტყუილი: „ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ საზოგადო საქმეში მე არ მესმის მტერმოყვარეობა!... მე ჩემი გზით მივდივარ, ვინც გვერდით

ამომიდგება, გინდა მტერი იყოს, გინდა მოყვარე, ჩემიანად მიმაჩნია და ვინც წინ მეღობება, მტრად — მეთქი“.

ეს უკომპონომისობა და მწარესიტყვაობა ბევრ წინააღმდეგობას უქმნიდა გზაზე, მაგრამ სამშობლოსა და თავისი ხალხის ინტერესებისათვის მას იმთავითვე თავი ჰქონდა გადადებული და მისი ყოველი ნაბიჯი ამ პოზიციით იყო ნაკარნახევი.

„ის რომ ვთქვათ, რომელიმე მაზრის უფროსი ანუ მსაჯული რას სჭამს, რას სვამს, რას იცვამს ან რას იხურავს, ეს, რასაკვირველია, კერძო საქმე იქნება, მაგრამ თუ კი ისინი სხვას სტაცებენ ლუკმას და ისე სჭამენ, ხალხს ატყავებენ და მითი ტანს იმოსავენ, ამაზედ რომ ხმა ამოვიღოთ, ეს საზოგადო საქმე იქნება და არა საპირადო და არც გვმართებს მორიდება“.

პოეტმა დანამდვილებით იცოდა, რომ ქვეჭნად ყოფინის მიზანი სხვა არა არის რა, თუ არა ერის სამომავლო გზის გაკვლევა, ავ-კარგის გამორკვევა, თეთრისა და შავისათვის თავ-თავისი სახელის წოდება, ბრძოლა სიმართლისა და სამართლიანობისათვის მომძის გზის გასაადვილებლად: „სადღაა სასწორ-საზომი? ვინდა გაარჩევს მტყუანს და მართალს? ან ფასს ვინდა დასდებს ავსა და კარგსა?... „ვაშა-ვაშა“; შებდავიან საკენკით თვალახვეული კაცები მხოლოდ პირად ანგარიშებისათვის მოჩხირკედლე მოღვაწეებს... და მათთან ერთად გაიძახის ეს უკუდმართი დროც: „ჩამოლექი, ჭეშმარიტებავ!.. ცბიერება მობრძანდებაო“.

პოეტი შეუბრალებლად ამათრახებდა ბრმა მიბაძეასა და უცხოური კულტურის წინაშე სამარცხვინო ქედის მოხრას. „თანამედროვე მკითხველისათვის ნათელია, — შენიშნავს პროფ. პ.კეკელიძე — რამდენად მართალი იყო აკაკი, როცა ის უგვარტომო კოსმოპოლიტებს ებრძოდა, აკაკი წერეთლის ეს თვალსაზრისი დღესაც ინარჩუნებს თავის ძალას და მნიშვნელობას.“

სწორედ ამ უგვარტომო კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა აკაკი, როდესაც 1913 წელს გაზ „თემის“ ფურცლებზე წერდა: „ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება. თავისი ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება“, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვებით ნათლად გამოხატა თავისი მრწამსი და პოზიცია, იგი უფრო ღრმად აანალიზებს საკითხს, რათა ნათლად წარმოაჩინოს ერის პასუხისმგებლობა და ადგილი საკაცობრიო კულტურის წინაშე:

„თვითეულ ერს თავისი საკუთარი, ერთი მეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურასაც, როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებითი ელფერი უნდა ედვას. ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველებისა, შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისის მიწა-წყლით, მთა-ბარით, ტყე და ველით და სხვანი. ქართველის გრძნობა-გონება ხორციშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტინაკლებოდ, ზომიერად. აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად კი წინ მიიწევდეს. თუ ეს არ იქნება, ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ უსახო ლანდი“.

„ნურავინ იტყვის იმას, რომ არის კაცობრიობა და არა ნაციაო, ეროვნებაო და მეც მინდა, რომ პირდაპირ კაცობრიობას ვემსახუროო!... ფერადოვანი კაცობრიობა, სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი – „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა!“

პოეტმა გაკიცხა ერთ-ერთი მეგობარი იმის გამო, რომ მან მიატოვა თავისი სამშობლო და სხვა ქვეყანაში დაიწყო მოღვაწეობა თავის გამოჩენის მიზნით. „უნდა გამოგიტყდე, – წერდა პოეტი, – რომ შენ კეთილი მუშა არა ხარ! შენ მხოლოდ თავის გამოჩენა გინდა იქ, სადაც უფრო მაღე შეგნიშნავენ, ესე იგი მდიდრის ოჯახში... თუკი შრომა გინდა და კეთილი ნაყოფის მოტანა, შენს ღარიბ



აკაკი

ქოხს რათ ჰშორდები და მდიდრის ოჯახში მირბიხარ, მაშინ, როდესაც იქ უშენოდ არა უჭირთ რა!“

„დურბინდით რაც უნდა უკირკიტო მაგ სიშორიდან შენს ღარიბ ქოხს – წერდა იმავე მეგობარს, – მაინც ვერ დაინახავ, სანამ თვითონ არ ჩამოხვალ და ადგილზე არ მიათვალიერ-მოათვალიერებ. შეისწავლე მისი ყოველი კუთხე, გაუსინჯე საძირკველი, დაათვალიერე სახურავი, ძირს ნაგავი მიხვეტ-მოხვეტე და მაშინ კი ნათლად დაინახავ და მიხვდები, თუ რა ეჭირვება შენს ღარიბ ქოხს“.

„კრულია მისი ხსენება,

ვინც დაპერებს დედა-ენასა;

თვის ტომს ღალატობს და მითი

თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენას!“

აკაკის „კრებული“, „ნაკვესები“, მის სარკასტულ, სატირულ ლექსებთან, მის ვრცელ ამაღლებულ, მაღლიან შემოქმედებასთან ერთად, გვერდით ედგა და წინსვლას უადვილებდა თანამოძმეთ „ჭმუნვასა და სიხარულში“. მისი ბასრი სიტყვა და ომახიანი ხაილი ისე ძალუმად რომ ხმიანობს საუკუნის

გადაღმიდან, ჩვენც გვწვდება და ჩვენს მომავალ თაობასაც მუდამ გაჰყვება საიმედო მეგზურად.

პოტის თანამედროვე, კრიტიკოსი კიტა აბაშიძე ასე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას აკაკის შემოქმედებისადმი:

„ვით რისხვამ ღვთისა გაიარა ჩვენს ქვეყანაზე თემურ-ლენგმა და შაპ-აბასმა, შემუსრა მან სიმდიდრე ნივთიერი ჩვენის ქვეყნისა, მოსპო და ააოხრა სრა-სასახლენი და ციხე-ქალაქები, მაგრამ ვერ დაგვიკარგა და ვერ დაგვიღუპა ენა ტკბილად მოუბარი შოთასი.

დღევანდელი დიდი და ტრაგედიული მომენტი თვალწინ გვიყენებს და გვიმტკიცებს, რომ თანამედროვე ტექნიკის გამოგონილ მომსპობელ იარაღებს ვერავითარი მატერიალური სიმდიდრე ვერ უძლებს; ჩვენ ვხედავთ უკვე წალეკილს

და მოსპობილს რამდენიმე ქვეყნის ნივთიერ ქონებრივ სიმდიდრეს, და ამ ქვეყნებს უკვე გაღატაკებულს, გაცამტვერებულს – მაგრამ ვერავითარი ძალა ქვეყნისა, ვერავითარი იარაღი ვერ მოსპობს ძლიერებას და სიმდიდრეს სულიერი კულტურისას.

მიუწვდომელია განგება ჩვენი ბედისა; იქნებ ქართველ ერს თავის განაწამებ ცხოვრებაში კიდევ შეხვდეს აოხრება და ხოცვა-ულეტა, მაგრამ აკაკის ლექსის ვერავინ მოგვისპობს და ხელუხლებელ განძს – ქართველის სულიერ კულტურის ნაყოფს – ვერავინ ხელს ვერ ახლებს“..

„... ტაძარი ქართული სულის ძლიერებისა, რომელსაც ისეთი ქურუმები ჰყავს, როგორც აკაკის მუზაა, შეურყეველია და უკვდავი... „მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი დააბერებს“.

## ნბების ნაბეჭები

ლხინში საზოგადოდ ძალიან მოწყენა იცოდა აკაკიმ. ერთხელ, როდესაც ახალგვარ „მრავალუმიერს“ ამბობდნენ და ყველანი მოლხენილად იყვნენ, ჰკითხეს, მოწყენილი რათა ხარო?

– ვხედავ, რომ ძველებურს ჩვეულებას წესს უგებთ, ზარს ამბობთ: თქვენ ჭირისუფლებათა სხედხართ და ამ აღაპში მე რა მომალხენსო.

\* \* \*

აბასთუმნის სასტუმროში ანგარიში წარუდგინეს აკაკის. ზედმეტი მიეწერათ და პოეტმაც, როცა გასინჯა, სთქა: ახლა კი მივხვდი, რად ეძახიან ამ ადგილს „აბასთუმანსო“. თურმე აბაზში თუმანს ახდევინებენო!..

\* \* \*

სასტუმროში ერთმა ადვოკატმა ძეხვი მოითხოვა, ბევრი ეწვალა, მაგრამ კანი ვერ გააცალა და გულმოსულმა იკითხა:

– არ გიკვირს, რომ კანი არ სძვრება ამ ძეხვსა?

– ეგ არ მიკვირს, – მიუგო იქ მყოფმა აკაკიმ. – ის კი გასაკვირველია, რომ ადვოკატი

ხარ და ტყავის გაძრობას ვერ ახერხებ.

\* \* \*

არჩევნების დროს ზოგიერთი აბეზარი კენჭოსნები ჰყვიროდნენ: „კენჭი მოგვეცით, კენჭი!.. კენჭმა უნდა გაგვასწოროსო“.

– ნეტავი თქვენ გასწორდებოდეთ და ვინ ოხერი ან ლოდს დაიშურებს თქვენთვისაო, - მიაძახა აკაკიმ.



ს ს თ ვ ნ ა



„გენიალური  
გალაკტიონი,  
ჩვენი დიდებული  
მასწავლებელი  
— იპოლიტე  
ვართაგავა და მე.  
1956 წელი“.  
იური ჩიკვაძის  
მინაწერი ფოტოზე.



ტარიელ ვართაგავა (გ. 2008)

ავთანდილ ვართაგავა (გ. 2014 წლის 20/VII)

**უ ფ ლ ი ს ა დ მ ი**

პოეტისა და მხატვრის ავთანდილ  
ვართაგავას უკანასკნელი მონოლოგი

სულის სანთელი აგინთე,  
რომ დამესარჯა სინათლედ,  
სატებად გხატე, ფრესკებად  
ტაძრებში დაგაბინადრე...

დრო დადგა — მიხმე! ცით მამცნე:

„უამია შენი წაყვანის!“

უფალო, გზა გამინათლე —


მოვედ, უნდა ქცე თაყვანი!..

სიმონ ჯაფარიძე,

24 ივლისი, 2014 წელი

**მარიამისონის მხედარი**

ჯანდს თიბავს თითქოს ლითონი მთვარის,  
უჭრის ფხა ნამგალს ელვაზე ნალესს, —  
მოუსუფთავა ჟამთასვლის ქარმა  
ბინდმონაბური არენის არე,  
ელვიან ელდას ვინც გაუმკლავდა,  
როცა ებრძოდა ავდრიან დარებს...



ჯუმბერ ლეჟავა (გ. 2014 წლის 25/VII).

**განუსვევი, დეართო, სულთა მონათა შეთასა**

## ლიტერატურული ცოდნი

პ რ ტ ჟ ა

კახუანგ შერეთელი

### მამა ანთიმოზი

(მოგონება მღვდელ ანთიმოზ ზარაიძეზე)

„— მოდის დასავლეთ საქართველოს მინგრეულ-მონგრეული ეკლესია -მონასტრების მოძღვარი ანთიმოზ იოსების ძე ხარაიძე! — იძახდა ხოლმე ცხონებული, იმ ადგილს რომ მიუახლოვდებოდა, სადაც ხალხმრავლობა იყო.

— ო, რა განათლებული და ნასწავლი კაცი გადაირია, შეიშალა!“ — გსისმოდა ხალხში ხმა და სჯეროდათ მისი მოგონილი სისულელე...

მას სასულიერო სემინარია წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული. სემინარიაში სტალინთან ერთად უსწავლია, მაგრამ ამით, არასოდეს ყოფილა განებივრებული.

ხშირად დაყავდათ ნათვლა-ქელებში, ორმოცზე და სხვა საღვთო დღეებზე.

ზოგჯერ, კვირაობით გადაიკარგებოდა, სხვა რაიონში ან ქალაქში წაიყვანდნენ ჩუმად, რადგან იმ დროს სასტიკად აკრძალული იყო საღვთო ცერემონიალი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ აბგა ავსებული მოადგებოდა სოფელს, ხის ძირში გასლიდა სუფრას, შემოიკრებდა ხალხს და სანამ არ დაცარიელებდა აბგას, მანამ არ წავიდოდა შინ. ყველაზე მეტად ხსოვნა-მოგონების საღლეგრძელოების შესმა უყვარდა, — განსაკუთრებით შინმოუსვლელების სულის მოსახსენიერებლს იტყოდა დიდი სასმისით, პურს ამოასელებდა და გადაკრავდა რქას...

ომის ხანძარი მძვინვარებდა. გერმენელები წინ მოიწვევდნენ. იდგა 1942 წელი.

სოფლის მოსამსახურებს თითო პურს გვაძლევდნენ. რიგში ჩემს წინ სამი კაცი იყო.

მოძღვარი იქვე პანტა ვაშლის ძირში იდგა. მოპირდაპირე მხრიდან სამი გოგონა მოდიოდა, სამივეს პატარა ქოლგები ეჭირათ, თეთრი კაბები ეცვათ.

„— თეთრები მოდიან, თეთრებს გაუმარჯოსო!“ — დაიძახა მოძღვარმა.

რიგში ჩემს წინ მდგომებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩუმად რაღაც გადაულაპარაკეს. მე ეს გადალაპარაკება არ მომეწონა.

„— ეგ ლოზუნგი ძვირად დაგიჯდება ჩემო მღვდელო!“ — თავისთვის ჩაილაპარაკა ერთმა.

მაშინ, სოფლის ცენტრში ვმორიგეობდით შინ დარჩენილები და მეც იმ ღამით მიწევდა მორიგეობა.

ღამით 12 საათზე სამი შეიარაღებული ცხენოსანი გვესტუმრა სასოფლო საბჭოში. მარტო არ ვიყავი, — დარაჯი და ორი კოლმეურნე იყო ჩემთან. შემოსულებმა მოსალმების შემდეგ მთხოვეს გავყოლოდი ღვრის ოჯახში. მოვიმიზეზე, რომ სამუშაოს ვერ დავტოვებდი და ღამის დარაჯი გავაყოლე. წაუსვლელობა გადავწყვიტე, იმიტომ, რომ არ მინდოდა მეყურებინა, რასაც ეს უღვთო ხალხი გაუკეთებდა ამ ღვთის კაცს.

ღამის ოთხ საათზე გამოატარეს ის უბედური ნარტყმევი, დასისხლიანებული, შემოფლეთილი, თმა-წვერ გაცლილი, ხელებზე თოკწაჭერილი, ვითომ საღმე გაექცეოდათ... ორი აბგა საღვთო წიგნებით გაევსოთ და ისიც საცოდავს ჰქონდა აკიდებული. ერთი სიტყვით, ბარბაროსულად ეწამებინათ, — გაღმომცა ღამის დარაჯმა.

საცოდავი მოხუცი მათრახის ცემით წინ წაიგდეს, თვითონ კი ურა ცხენებზე ამხედრებულები, მომაკვდავს ბორძიქ-ბორძიკით მიაძუნდულებდნე და ყოველ დაცემაზე მათრახის ცემით

წამოაყენებდნენ ხოლმე.

ერთი თვის შემდეგ გამოიძახეს მაბეზღარები და დაწერინეს ჩვენება, თითქოს მღვდელი გოგონებს კი არ შეეგება, გერმანელებს მოუხმობდა სიტყვებით — „თეთრები მოდიან, თეთრებს გაუმარჯოსო!“

ბოლოს, სოფლის ყოფილ მასწავლებელს გამოუძახეს და დაპირისპირება მოუწყვეს. როცა მოძღვარი ძლივსძლივობით მოუყენეს, შეეკითხნენ — „ამ კაცს თუ იცნობო?“

„— მომეცით ცარიელი ფურცელი და მაგის ჩვენებას წაუკითხავად ვენდობი!“ — უპასუხა მან, მოაწერა ფურცელზე ხელი და გამოიყვანეს.

დაკითხვიდან მესამე დღეს, ბადრაგის ბოლოს, ორ პატიმარს ძლივს მიყავდათ ნაცემ-ნაგვემი მოძღვარი. იმას ქუთაისამდე აღარ მიუღწევუა, — მარტოთუბანში, ყვირილას პირზე მიუჩინეს სამუდამო სამყოფელი...!

აცხონე ღმერთო მოძღვარი!

ჭიათურა. სოფ. პერევისა.

## ყ ა ჭ ი უ რ ა

### მოთხოვობა

მაშინ 15-16 წლის ვიქენებოდი. ერთ დღეს, დილაადრიან მამამ გამაღვიძა და გამაგზავნა პერევისაში დიდ ბატონ ყაფლან წერეთელთან, თან დამაბარა: „გადაეცი დიდ ბატონს, დღეს ვიწყებთ რთველს თქვენს ვენახში და გთხოვთ ყაჭიურში გვესტუმროთთქო“.

მეც მოვიყვანე ჩემი სამი წლის ოქროსფერი კვიცი, აღვირად თოკი მოვაძი, ნაბდის ნაგლეჯი გადავაფარე, მოვაჯექი და გამოვსწიე ბატონისკენ. თხუთმეტ წუთში მისი ეზოს ჭიშკართან ვიყავი. მაჯის ტოლა ჯაჭვით ორი დიდი ნაგაზი ერთი ერთი მხარეზე ება და მეორე — მეორეზე; ლამის გაგლიჯეს საბელი... ბოსლიდან მოჯამაგირე ბიჭი გამოვიდა, რომელიც ამ დროს საქონლის საბალახოზე გასაღენად ემზადებოდა; ძალები დატუქსა და ჩემსკენ გამოემართა; ჭიშკარზე გადმოვიდა, მომესალმა; მეც მივესალმე და მამის დანაბარები გადავეცი.



გაბრუნდა, რომ ბატონისთვის მოეხსენებია.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა და მითხრა – ბატონი ჯერ არ ამდგარა. ადგება, მოემზადება და მანამდე დაელოდეო. მეც მეტი რა გზა მქონდა – ცხენი ბალახზე მივუშვი და დაველოდე ბატონს.

მამაჩემისგან გადმოცემით ვიცოდი, ჩვენი ბატონი ყაფლან წერეთელი ძალიან გოროზი და გულზეიადი კაცი იყო. ამავე დროს კეთილი გული ჰქონდა. თავის წილ მოსავალს ურმებით რომ მივუტანდით, სანამ დავცლიდით, გვკითხავდა – „მოსავალს ხომ არ ემდურითო“ – და თუ სამდურავს ვიტყოდით მაშინვე უკან გამოგვატანდა მიტანილს.

ბატონი უკვე ამდგარიყო; მომზადებული, გამოვიდა ჭიშკარში. ახოვან ვაჟკაცს უხდებოდა ნაცრისფერი ჩოხა-ახალუხი და ზედ – მტკაველზე მეტი სიფართის ხანჯალი. ბიჭმა თაფლისფერი აღკაზმული იაბო მოართვა, მარჯვენა ფეხის ავუანდი დაუჭიმა და სწრაფად მოახტა მხედარი ცხენს. მეც ჩემს „ოქრუას“ მოვაჯექი და ავედევნე უკან. მას დინჯი ნაბიჯით მიჰყავდა იაბო.

მცირე მანძილი გვქონდა გავლილი, რომ მათრახის ტარით მანიშნა გავყოლოდი გვერდით. მე ვერ ვძედავდი მიახლოებას; კიდევ მანიშნა, რომ გვერდში ამოვდგომოდი და ამავე დროს ცოტა სიძკაცრეც დაეტყო სახეზე.

მეც დავუდექი გვერდზე. მითხრა ბრძანების კილოზე – „ცხენები გავაჭენოთო!“

მან იაბოს მათრახი გადაუჭირა. ჩემი კვიციც სწრაფად მიჰყვა მის ცხენს.

მე ვცდილობდი არ გამესწრო, მაგრამ თოკმა ვერ დაიჭირა ჩემი ოქრუა და მის ცხენს გაუსწრო... ეს გადასწრება საბედისწრო აღმოჩნდა საცოდავი ოქრუასათვის.

დაწინაურებულს, მობრუნება მიბრძანა ბატონმა. მეც თავდახრილი მივუახლოვდი. როგორც კი გავუსწორდით, ხანჯალი სწრაფად გააძრო, – ცხვირზე ჯერ ბრტყლად მიარტყა საცოდავს, შემდეგ დაჭიმულ კისერზე დიდი ძალით დაუქნია და უთავო კვიცი უკანსვლით თავის მხედრიანად ძირს ჩაიკეცა.

უხმოდ დავჭეითინებდი ცხენის თვალლია თავს, გულზე ვიზუტებდი და ვიცრემლებოდი.

კვლავ მიბრძანა ახლოს მიგსულიყავი. მეც რა ძალა მქონდა, ვიდრე თავი ტანზე მება, – თავდახრილი მივუახლოვდი და განაჩენს ველოდი.

მიბრძანა: „– წადი მეჯინიბე ვასილას უთხარი, ცხენების რემიდან რომელიც მოგეწონება – კვიცი ამოგარჩევინოს, ერთიც საჭაპანო ცხენი თავისი უნაგირითა და ყველა მოწყობილობით გამოგატანოს, და დაიხსომე ვაჟო – შენს ბატონს არასოდეს გაუსწრო, იცოდე აწი მაინც!“ – ცხენს მათრახი გადაპკრა და ჭენებით გასწია სოფლისკენ.

მე კი წერაქვი და ბარი ვითხოვე, სამარე გავუთხარე ოქრუას და მიწას მივაბარე საცოდავი.

გულდამძიმებულმა გავსწიე ვასილასაკენ...





## თორნიკე გოგნიაშვილი

წმინდა

მანაზე მარტი

„ლამაზი და ტებილია მამულისთვის სიკვდილი“.

ალექსანდრე პუშკინი

დიდებულია სიყვარული სამშობლოსადმი, ქალისადმი, იმ ზეცისადმი, რომელმაც გშობა. იმ ვაზისადმი, რომელმაც პირველად გამოგზაურა სხვა, უფრო ღაღ და უმიზეზო სამყოროში. დიდებულია ყველაფერი რაც ნაღდია და სუფთაა. სულით ხორცამდე სუფთა და უძირო. დააკვირდი გულში მოელვარე სანთელებს, როგორ გიყურებენ მისი სხივები, გისოსებს მიღმა დარჩენილი ავაზაკებივით. ისინი არ დაიწვებიან, არ დაიფერვლებიან, არ დატოვებენ შენს გულსა და გონებას. დიდება ფხიზელ გონს, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად, აღწერს სამშობლოს დიდებულებას და სიმართლეს. დაიმახსოვრე, სამშობლო ყოველთვის მართალია, ის არ მოკლა შენს გულში, არ დაამახინჯო მისი გზება, არ გაბედო მისი ღალატი. ყველა, დიახ აბსოლიტურად ყველა შეგრძნებას ახლავს, კულმინაციური აქტი, ყველა განკდას აქვს პიკი და პიკს მიღმა დარჩენილი ღია სივრცე, რომელიც სიტყვით ვერ აიხსნება, ის მათემატიკური სიზუსტით აჯამებს ტკინის კასრებში დამწვდეულ დენთის ნაწილაკებს და შენს სულს, ძირიანად წევს მაღლა. სიყვარული სამშობლოსადმი ყველაზე მძაფრი და უსასრულო კულმინაციის მქონე შეგრძნებაა. ამ იდეას თავს წირავენ გენიოსები. ყველა ჭეშმარიტი მებრძოლი გენიოსია, რომელმაც თავისი წმინდა სისხლით მოხატა მწვანე სივრცე და რუხი მიწა.

\* \* \*

ის, ვისაც ღალატის პატიება შეუძლია, თავადაც მოღალატეა!

არ ეპატიება ადამიანს ღალატი. ღალატი ანადგურებს იმედს და ანგრევს დედამიწას. ყველა გზა, რომელიც ღალატისკენ მიდის, უნდა დაწვა, უნდა მოთხარო, რომ ვერავინ შეძლოს მასზე გავლა.

ყველაზე დიდი დანაშაული, არის არა კაცის კვლა, არამედ ღალატი, მოღალატე ადამიანის არდასჯაც ისეთივე დანაშაულია, როგორც პარვა, კვლა, ან მრუშობა, ორპირი, მოღალატე კოლაბორაციონისტი პრიმატების მიმართ განსაკუთრებული სიმკაცრის გამოჩენაა საჭირო, ისინი ლიბერალებზე ბევრად მეტ გესლს თესავენ, ლიბერალის შეცვლა შესაძლებელია, მონანიება, პატიება, ეროვნულ ფესვებთან დაბრუნება შეუძლიათ მათ, კოლაბორაციონისტების საბოლოო სამყოფელი კი მხოლოდ ჭაობია.

ზოგს შეიძლება კითხვა გაუჩნდეს, როგორ გავარჩიოთ ლიბერალი ადამიანისგან? ის ვინც ამას ვერ ახერხებს, არც არასოდეს მოეგება გონს, შესარყვნელი უნდა შეირყვნას და ჩამოსაშლელი მთა უნდა ჩამოიშალოს, ისინი აუცილებლად იქ ამჯობინებენ ყოფნას, სადაც არიან (ჩირგვში).

ხშირად მომისმენია, მოწყალების შესახებ, მიტევების შესახებ, მაგრამ ყოველთვის ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც ეს

პუმანურ, ერუდირებულ მასას უნდა. ცხოვრება რეალობას წყდება, როცა მეტაფიზიკურ არეალებს ეძებ. ეს კომპლექსია! გაქცევის სურვილია! ლაჩრობაა! ლაჩრობაა, როცა საკუთარი სიმახინჯის გასამართლებლად იღებ ამა თუ იმ ფილოსოფოსის მოძღვრებას და მისხალ-შისხალ იზუთხავ მათ ნააზრევს. ისინი მხოლოდ თავის გადასარჩენად არიან, ვინც არიან. მათ შენი დარდი კი არ კლავთ. თავის სისუსტეს ებრძვიან. ცდილობენ როგორმე გაამართლონ მათ გონებაში არსებული სიმახინჯე.

რა უნდა მოჰკითხო ქვეყანას, რომელშიც მწერალსაც ჭკუის დარიგება სჭირდება?!

ჩვენ თავად უნდა დავიცვათ თავი! ჩვენ თავად უნდა გადავარჩინოთ ჩვენი სულები! ადექით თბილი სავარძლებიდან და გამოდით გარეთ! დროშა აღმართეთ! იმდერეთ ჰიმნი!

ნუ შეგრცხვებათ თქვენი ქართველობის და პატიოსნების. ეს ყველაზე ძვირფასი რამაა, რაც უფლისგან გერგოთ.

ნუ უსმენთ „გასხივოსნებულ“ ოსტატებს. მათ თავშესაფრად აქციეს თავისი მოძღვრებები. ისინი ამას მხოლოდ საკუთარი ნაკლოვნებების დასაფარად იყენებენ. ერთადერთი ნათელი აზრი ის არის, რომ გამოიყენო ის დრო, რომელიც უფლისგან გერგო. იცხოვო, ემსახურო სამშობლოს და კაცურად მოკვდე.

დიდებულია სიყვარული სამშობლოსადმი! გაუძლი ყველაზე ძლიერ იარაღს, დაცინვას და არ დათმო! არ ააფრიალო თეთრი დროშა! ზნეობა! პატიოსნება! ქართველობა ყველაზე ძვირფასი რამაა, რაც ღმერთმა გარგუნა!

მე რადიკალი ვარ!

დიახ! რადიკალიზმი სულაც არაა მონსტრი. ცხოვრება ასეთია, ან შავი ხარ ან თეთრი! ან თხა ხარ ან ხარი! ან გმულს ან გიყვარს! არ არსებობს შუა! ზღვა ზომ არაა ან მდინარე?! ან ერთ ველზე უნდა ირბინო ან მეორეზე. რადიკალი უნდა იყო! უნდა ებრძოლო მათ, ვინც შენს სამშობლოს ანადგურებენ!

ჩემი ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ საოცარი განცდა მაქვს სიმართლის. არაფრის ნიჭი არ დამყოლია ისე, როგორც სიმართლის.

სხვებივთ მიამიტი რომ ვიყო, თავში მირტყამდნენ და ვერ ვხვდებოდე, მაგინებდნენ

და ლოცვა მეგონოს, იარაღს მიმიზნებდნენ და კარამელი დავინახო, როგორი იქნებოდა სამყარო?

ალბათ ისეთივე ლამაზი, როგორსაც კოლაბორაციონისტები ხედავენ, მათი გზა გაცილებით უფრო მზაქერული და ამაზრზენია, ვიდრე ნაციონალური იდეების მოძულე ადამიანების. კომფორმიზმა დაამარცხა ადამიანი.

ეს წერილი, მანიფესტია! შენთვის, ვინც გადარჩენაზე ფიქრობ! დიახ, ჩვენ ისე გვსპობენ, რომ ამის შესახებ არც კი გვეუბნებიან, დამშეულ აფთრებს გვამსგავსებენ... ლიბერალურმა მსოფლიომ ეკონომიკური კრიზისიც კი შექმნა, რათა პურის შოგნაზე ორიენტირებული ხალხისთვის ყველანაირი სიწმინდე წაერთმიათ, ისე ააცალეს ადამიანებს პატრიოტიზმი და რწმენა, ისე აქციეს ათეიისტ მარქსისტებად, რომ მსხვერპლი ვერცეი მიხვდნენ, რა დაემართათ, რატომ გამოიფიტნენ და დაშრნენ! ლიბერალიზმი ეს ღია მარქსიზმია, ეს არის კომუნიზმი, ისეთივე ღია და ათეიისტური, როგორც ეს ლენინის ხანაში იყო, აქ უბრალოდ ტერმინშია სხვაობა, მათ ჭკუა იხმარეს და ლიბერალიზმს განმარტებაში სიტყვა თავისუფლება მიაწერეს, რაც დაახლოვებით იმას უდრის ლენინს ღოსიერი რომ ჩავუწეროთ: მლოცველი!

ერთადერთი გამოსავალია პირდაპირი ომი ლიბერალურ ჯოგებთან, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სამყარო გააერთიანოს, ისევ იმ ქაოსად აქციონ, რომელიც იყო, შეიქმნება ახალი სივრცე, რომელშიც მცენარე წყალს დაემსგასება და ცხოველი ფრინველს, დამახინჯდება ადამიანი და საკუთარ თავს ვეღარ განავითარებს, ყველაფერი იქამდე მივა, რომ ხალხი თავად გაინადგურებს თავს, ადამიანი გააცნობიერებს საკუთარი არსის სიმახინჯეს და სუიციდამდე მივა...

თუ საჭირო იქნება ომი, არც ამაზე უნდა დაიხიოს გარდარჩენის მოსურნე ადამიანმა უკან, მწერლობით იქნება ეს, მხატვრობით, კინემატოგრაფიით, ხმლით თუ ზარბაზნით, უნდა მოიცილო ის სიმახინჯე, რომელიც შენს განადგურებას ცდილობს, ყველა ძალა იღონე! პირდაპირი ომია საჭირო! ...ის, ვინც ომში არ ერთვება, დეზერტირობისთვის

მომავალი თაობა დასჯის, მის სახელს მოღალატეთა სიაში პირველ გრაფაში ჩაწერს, ის, ვინც რადიკალურ ნაბიჯებს არ დგამს და არ იძრძის იმის დასაცავად, რაც წმინდა და ხელშეუხებელია მისთვის! ისეთივე არარაობაა, როგორც თავისუფლების ლაბადაში გამოწყობილი ჭუჭყიანი ლიბერალი. ლიბერალები, მიუხედავად მათი გამძაფრებული სურვილისა, სიახლეებისკენ იარონ, უკიდურესი სწობები არიან, პოსტმოდერნი, ანუ ძველის ახლებურად (უკუღმა) დამნახავი მდაბიონი.

მე მესმის ჩემი თაობის, ჩვენ ტყუვის ნარჩენებში ვიშვით, იმის შანსიც არ მოგვეცა, ხელში იარაღი აგველო და საკუთარი სამშობლო დაგვეცვა, ჩემს თაობას განსაკუთრებული არაფერი უნახავს, სიბნელესა და სიცივეში გაიზარდნენ, მესმის რომ ნებისმიერი სიახლე, (თუნდაც მახინჯი) საინტერესოა მათვის, მესმის, რომ ისინი იკვირვებენ ფერად სამყაროს, მაგრამ მათ უნდა გაიგონ, რომ ამ სამყაროს დასასრული ბნელი აქვს, რომ ირგვლივ ყველაფერი ქუფრშია გახვეული და იქიდან გამოღწევა შეუძლებელი გახდება თუ დროზე არ მოეგნენ გონს. ნებისმიერი ადამიანი ვინც ლიბერალთა ნაწარმსა თუ ნაწარმოებს

იწონებს და დითირამბებს უძღვნის მათ, ტყვე ხდება იმ იდეის, რომელსაც ანომალიური სამყაროს თაყვანისცემა ჰქვია, მათი ყველა სიტყვა თუ საქმე (თუნდაც მისი გარეგნულ-შინაარსობრივი სახე უმიზეზო და ლამაზი ჩანდეს), უნდა იქნას ჩანთქმული სანაგვე კასრში, მათი მახინჯი გზები უნდა დაიწვას და ჩაიხერგოს. მათ გამოაღწიეს საუკუნეობრივი პოლიტიკური ნაჭუჭიდან, ისინი კულტურას შეესინენ, ისინი გაძლიერდნენ...

ერთადერთი გამოსავალი ომია!

ეს მანიფესტია მათოვის, ვინც გადარჩენაზე ფიქრობს, იძრძოლეთ! ნებისმიერ ფასად, დაიცავი საკუთარი ქვეყანა, გაუძელით ცილისწამებასა და დაცინვას (ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია მათი) და გადით ფინიშთან, იქ სინათლე დაგხვდებათ, სინათლე, რომელსაც ვერცერთ მდიდრულ სასახლეში ვერ ნახავთ, ეს იქნება უმანქოების სინათლე! მანიფესტი! მანიფესტი! მანიფესტი!

მანიფესტი შენ ძმაო, ვინც გადარჩენაზე ფიქრობ!

სამშობლო არ არის ანაქრონიზმი, ის სიწმინდეა!

2015 წელი. აპრილი.



ანა თოლრია

## შესხება-საგალოგელი ყოვლადცმინდისა დვითისმამოგელისა

ყოვლად წმინდაო ღვთსისმშობელო, შენ უბიწოო,  
ორნატო ტკბილო, მანანაო ზეცად მოსრულო,  
გაზო, ლერწამო ტალავერო მხრებგადმოშლილო,  
ლიმენავ, კდემით შემოსილო და მარგარიტო,  
ანგელოზთაებრ მონავარდევ ქალწულთ ქალწულო!  
ღედაო, მზეო, მზეთა შინა ღვთით შებურვილო...  
წყაროვ, მდინარედ მოდენილო სუროვ, სურნელო,  
მოდინებულო, მარწყულებელო, სულო, რა სულო,  
ივერთ ქვეყანად მოხედილო თვალო მზირველო,  
დაუძინებელ მეხვაიშნედ ღვთისად მთხვეულო!  
არდაშრეტილო ლოცვავ, წმინდად ზე აღვლენილო,  
ოდით მოსრულო სულთა სალბუნ, მოკამკამეო,

ღვთით ჩინებულო, აღრჩეულო ზეცისა სძალო,  
გარსკვლავთ მეხოტეთ დაფერილო ბადახშ-ბარძიმო,  
ორთვილო ოქროვანთვალწარმტაცა მტევნად შთენილო,  
ია-ვარდებად მოჭედილო ველად ყვავილო,  
სირინოზთაებრ მგალობელო მგოსან-ბულბულო,  
მაცხოვრის მკლავთა მიმხმეველო წმინდა მარტვილო!  
შარავანდედად გარდმოსულო ცის კაბადონო,  
ოქროვანქმნილო, შეუწველო ცეცხლოვანქმნილო,  
ბელიარისა შემმუსვრელის მომავლენელო,  
მნა-ტკბილ ბაგეთ მოუბარო დედავ, საჩინოვ,  
ლოცვად აღსრულო უაზისო, ცად მოარულო,  
ოსანავ სულთქმად მობერილო ჩაგრულთ სალბუნო,

შენ, ჩვენთა მზეთა დიდებავ და ხელისმპყრობელო,  
მდემ ბაღს შიგან აღრჩეულო ცისაფერ სხმულო,  
ბულთა საუნჯევ, ცოდვილ სულთა მეოხად ქმნილო,  
გარშამანგებად შემკობილო საღვთო ბადიშო,  
მბანო, მზეო, ლოცვად ვლილო საგალობელო,  
წინწილ კეთილხმით შემკობილო ქალწულთა ჩინო,  
იაგუნდსხმულო მარგარიტო და სარდიონო,  
მდემ-ბაღნარსა უფლით თლილო შენ თვალისჩინო,

ჩაგრულთ სასოო, სულთა სამკალ საღვთოდ მომკილო,  
ვიეთთა გულთა ხშულთა კართა განმახმიბელო,  
მნავ მზეობავ, ივერთ ქვეყნის ქება-დიდებავ,  
ნელსაცხებელად მოვლენილო ივერთ სამკვიდროვ!



## ირინე უშეურიძე

### გლეხზე დიდი შემოქმედი...

შემოღომის საღამოა,  
გადავჭურებ მშობელ კუთხეს,  
თავს ვარსკვლავი დასციმციმებს,  
სავსე მთვარე ლამეს უთევს.  
ამ მთას პქვია ნალიები,  
ხევისწყალი — იმ მდინარეს,  
უნდა ნახო დილ-დილობით,  
მზის ღიმილით სხივმფინარი  
ბალახებზე ბრილიანტის  
დარად ბრწყინავს წმინდა ცვარი  
სიმინდებში რომ აშრიალებს  
მთების გრილი ნიავ-ქარი...  
ცას ახედავ — ლალისფერი  
ლაუგარდების თაღებია,  
მიწაზე კი გლეხიკაცის  
ნაშენები ბაღებია...  
დაბლა ღელე მიიმღერის,  
ზევით — მოჩქეფს ნაკადული,  
თვალწარმტაცი, უფრო, ვიდრე  
ფიროსმანის დახატული.  
მაოცებს და გულს მიხარებს  
უმდიღრესი ეს ბუნება...  
გლეხზე დიდი შემოქმედი  
მე არავინ მეგულება.

\* \* \*

თვალს რომ წარსულს გადავავლებ,  
(ვაი, იქნებ ვცოდავ),  
სიმწუხარეს მეტს ვიხსენებ,  
სიხარულს კი ცოტას.  
გული ყოველს ეგუება  
ფუ, რა ვუთხრა გუმანს.  
ვგრძნობდი და ვგრძნობ — ჩამივლიან  
როგორც ბრმები, — უბრად.  
რამდენ დიდს და მძიმე ტკივილს  
იტანს მუჭისტოლა...  
იქნებ, თავად მე არ ვიცი,  
ჩემი გულის მოვლა.

\* \* \*

ქარია გარეთ,  
(სარქმლიდან ვუმზერ),  
წყნარი,  
თბილი და  
ძალზედ კეთილი.  
ტკივილი მაღევს  
ლოდივით გულზე, —  
ვარ ჩაეტილი.  
ნელა ცვივიან  
ხიდან ფოთლები,  
ქუჩაში გოგოს  
მიჰყვება ბიჭი.  
სარქმლის მინები  
დაორთქლილია  
და ხედვა მიჭირს.  
ქარია გარეთ,  
მირეკავს ღრუბლებს,  
მზე არ ანათებს  
თვალებმლიმარი.  
ფოთოლი ფოთოლს  
გაესაუბრა,  
მე მარტოობის  
ვარ პატიმარი.

\* \* \*

ლელისაირას  
ფეხშიშველებს გვციოდეს,  
ვერ გვათბობდეს  
მზის მხურვალე სხივები.  
გულში ტრფობის  
ნაღვერდალი ღვიოდეს,  
თვალთ გვეკიდოს  
ცრემლთა ვერცხლის მძივები.  
ვტიროდეთ და  
ვიცინოდეთ, ესოდენ,  
ჩუმად გვკლავდეს  
ერთმანეთის სურვილი  
და გულისთქმა  
მარტო ჭადარს ესმოდეს,  
ჩვენებრ იდგეს  
ნისლით გადაბურვილი.  
გვინდოდეს და  
ვერ დაგვათროს ალერსმა,  
ქვითინებდეს  
ჩვენი გული მკვნესარი  
და ქვითინი  
მარტო ჭადარს ჩაესმას,  
ჩურჩულებდეს:  
სიყვარულიც ეს არის.

იმური ხრეველი

## მიზარ-ზღაპარი

### უზარმაზარ დინოზავრებზე



მეტად ხანგრძლივად ცხოვრობდნენ  
მიწაზე დინოზაგრები,  
გონება ჰქონდათ მაღაზე  
ათასჯერ უფრო ნაკლები;  
გლეჯდნენ და ხრავდნენ მიღამოს,  
იყვნენ ხარბი და ავები,  
ტანი დაჰქონდათ მთებივით,  
პატარა ჰქონდათ თავები....

დაძრწოდნენ – გრგვინვა-გრიალით  
და ლაწალუწით მორების...  
კუჭისთვის ჰქონდათ სარჩო და,  
არ ჰქონდათ საზრდო გონების!  
დაძრწოდნენ ძველი სამყაროს  
ბოროტი ჰეგემონები:  
რადგან სიხარბეს გადაჰყვნენ –  
ვერ განვითარდნენ გონებით....

გულით ვერ იგულმოდგინეს,  
ჭკუით ვერ იგრძნეს ხიფათი, –  
ისე გაქრნენ და განქარდნენ  
კვალიც არ დარჩა იმათი!  
მოუპირავთა სმა-ჭამა  
ნიადაგ საშიშარია –  
გულს და გონებას აქნინებს!  
ტანი?! – რა მოსატანია....

ის, ვინც დაძრწის და მტაცებლობს,  
გამორჩენისთვის წრიალებს –  
რჩება მათს ნაბინავარზე  
მხოლოდ ადგილი მტვრიანი!  
...თავი უტანოდ არ ვარგა,  
ისე, ვით ტანი – უთავოდ,  
ბოროტებას და სიავეს  
დაძლევს სიკეთე-უდავოდ!..

უზნეობა და ურჩობა  
უფალმა არვის შეარგო, –  
ვინც სიბოროტე დათესა  
ყველას კუთვნილი მიაგო:  
– აბა, რას წარმოადგენდა  
მხეცების წონა ან ძალა?!  
არსთა გამრიგემ ბრძანა და...  
მათი ცხოვრება აკრძალა!..

ასე დასრულდა ამ ქვეყნად  
ეს წარლენამდელი ამბავი, –  
სამაგიეროდ უფალმა  
შექმნა ევა და ადამი...  
...ევამ იხილა ნაყოფი  
ედემის ბაღის ხილისა...  
მერე დაკარგეს სამოთხის  
და უკგდავების თილისმა.

დრომ განვლო... გასცდა ჯებირებს,  
ვით წყალი დანაგუბარი:  
ვნებამ აღმართა გოლგოთა,  
სადაც ჯვარს ეცვა უფალი...  
ჩვენს ზემოთ მკვიდრობს ძე ლვთისა,,  
ვართ წილხვდომილი ღვთისმშობლის,  
თავს ვინც დაკარგავს, ხელახლა  
ქვეყნად ვერავინ იშობის...

\* \* \*

მესამე ათასწლეულმაც  
ვერ ახსნა ბჭეთა ბეჭედი, –  
მრევლს ეკლესიაც მოძღვრავდა,  
სინაგოგაც და მეჩეთიც:  
– ცამდე ამაღლდი გონებით,  
თავი შეიცან ბოლომდე,  
უაზროდ ნუ გაჩერდებით, –  
ნუ მიებმებით მოლოდინს...

— ვიფიქროთ, ქვეყნად რად გავჩნდით,  
რა გვინდა, რა ვართ, ვინა ვართ?!  
განა ამ ქვეყნად, უფალმა,  
იმისთვის დაგვაბინავა, —  
რომ მხოლოდ ხორცზე ვიზრუნოთ, —  
დავათრგუნინოთ თავი ტანს?  
ხელახლა გავდინოზავრდეთ  
რათა დავიწყოთ თავიდან!?

განა ყველგან არ დაძრწოდნენ  
სამყაროს პეგემონები?!  
მაგრამ სიხარბეს გადაყვნენ,  
ვერ განვითარდნენ გონებით...  
მიწას, მათს ყოველ ნაბიჯზე  
როცა გაპქონდა ზრიალი,  
მაშინ არ გააჭაჭანა  
ღმერთმა იქ-ადამიანი:

არ გაგვაჩინა ბუნებამ  
დინოზავრების ულუფად, —  
სხვა მხრივ გულუხვი უფალი  
ამ მხრივ არ მიეგულუხვა:  
სამყაროს წილი გაგვხადა —  
მკვიდრნი ვართ მარადისობის,  
ყველა ვართ მატარებელი  
ჩვენ, იმ ნაწილის თვისების...

\* \* \*

წარსული წვიმით ნაწვიმებ  
წრიოხს წაყვება წალიკად —  
წამების მწველი მარწუხი  
წლების წასალექს წალეკავს;  
მწველი მზე ისევ გვიმზევებს,  
რომ გაგვინათოს წევარამი, —  
ცაში დაუდგას გაზაფხულს  
ცისარტყელების კარავი...

მზის სხივმა ყველა ქუთხე და  
კუნჭული მოისაკლისოს, —  
რომ არ თქვან მოშურნეებმა:  
„ — ხვალემ იცოდეს ხვალისო!“  
ყველას სიკეთეს ვუსურვებ,  
ვინც მამულს წმენდს და ალაგებს,  
სიმართლით საქმის განმსჯელი  
ტყუილს არ ილაპარაკებს...

ოდესმე, მთქმელი მოკვდება,  
მისი ნათქვამი — არაო,  
რადგანაც აზრი იცოცხლებს, —  
აზრშია სიტყვის ძალაო;  
წუთისოფელი ზოგისთვის  
მოკლე, ზოგისთვის — დიდია,  
არჩეული გზის ავ-კარგი  
თავად მგზავრებზე ჰკიდია...

გასცდი უსაზღვრო სივრცეებს  
და მთელ სამყაროს მოედე:  
ხატე, წერე და იკითხე,  
იმღერე და იპოეტე, —  
უფლის კალთამდე ამაღლდი,  
გახდი ღვთისმშობლის წილხვედრი:  
სულით რომ იყო — ამაყი,  
გონებით იყო — მიმხვედრი...

სისხლის და ხორცის სახმევად  
მცირე ღვინო და პურია:  
მოყვარულს რომ ვერ გააძლებს —  
ის, მხოლოდ სიყვარულია!  
მაცხოვარი რომ ჯვარს ეცვა,  
სული გვიცხოვნა სულიერთ!  
პირველად იყო, „სიტყვა“ და

„ღმერთი“ — ამ სიტყვის სულია...  
მზის საფარველი მოხადეთ  
სახურავდახშულ ზარდახშებს, —  
ნურვინ დამალავს გონების  
თვალ-მარგალიტებს, ბადახშებს,  
ნურვინ წაბაძავთ იმ ქვეყნის  
მეოცნებებს, ვოჟებო,  
უშაქრო ჩაის დალევას  
რომ შეაჩვიეს „ბომჟები“!..

სულით ნუ დავეცემით და  
ხორცით ნუ გავზვიადდებით! —  
აზრი — მომავალს ესწრაფვის  
თუ არ გავდინოზავრდებით...  
მაცოცხლებელი მზის სხივებს  
როცა მიელტვის ბალახიც, —  
ფესვს მიწის მაღლი უმაგრებს,  
არა შლამი და ტალახი...

ზღაპრების საბრძანებელში  
მეგზურად – ალადინია:  
აგერ პრომეთეს მხარდამზარ  
კლდეს ამირანი ჰქიდია...  
ლხენას ვუსურვებ მოკეთეს  
ხალხს რომ სიქველით განაგებს!  
თუნდ მრუდედ დასვა-გულწრფელი  
სიმართლეს იღაპარაკებს!..

სამართალს ძალუშს ანათოს  
ყიამეთი და წევარამი, –  
ჭეშმარიტების ფუძეზე  
დადგას სიმართლის კარავი...  
ცრუ კაცი დადის სიცრუით,  
რათა არიოს დავთარი;  
თუნდ ასჯერ დამკრან – მოვითმენ,  
რათა ერთი ვთქვა მართალი!..

მას უფრო მეტი წუნი აქვს,  
ვინც სხვებზე მეღიდურია, –  
და კიდევ: ასგზის უგულო  
არის ის – ვინც ორგულია...  
ჭეშმარიტება მან ჰპოვა,  
ვისაც ძნელი გზით უვლია!  
ჭირშიაც გამოგადგება,  
ვინც ლხინში ღირსეულია...

მდიდარს სიმდიდრე აწუხებს,  
ღარიბს – სირცხვილის მარწუხი!  
უძლურის წამოყენება  
უნდა შეეძლოს კაცურ ხელს...  
მამულის ვალს ვერ გადიხდის  
ვინც ბევრი გასცა ლარები, –  
რასაცა გასცემ შენია:  
თუ გიყვარს – შენც ეყვარები!

ვინც აზრის შემოქმედებას  
საჩხირკედელოდ დახარჯავს,  
ის იმ წვრილთავა დინოზავრს  
ჭკუა-გონებით არა სჯობს;  
დინოზავრების ზღაპარსაც  
მოვრჩეთ – იმ ჩიტის არ იყოს:  
„დიდ ქვაბში არ ეტეოდა,  
პატარაში არ კმარიყო...“



## მელაპანის სამება


წყვილტაეპიანი აკროსტიზი

იბრწყინებს რწმენის მწვერვალი,  
იელვებს სხივი გზნების,  
რიურაჟი კენკავს ვარსკვლავებს,  
როგორც წუთს კენკავს წლები.  
ავა ზეცისკენ – საზეო,  
ახლაც გზებს მისდევს გზები...  
ბვირტს გადაუხსნის საკინძეს,  
პდემის გაარღვევს ჯებირს,  
ლოცვას აღავლენს მლოცველი  
ლაუვარდოვანი ცების,

იელვებს სხივთა ალმასი  
ისევ, განგების ნებით, –  
სულის საოხად ვინც ცოცხლობს,  
სიკეთისთვის ვინც კვდების...



## თ ა რ ბ ა ნ ი



## ნათან ზავხოვი

«Бессмертие каждого человека, живущего на земле, заключается в его вере. Вере – в добро, в любовь, справедливость. Вере в то, что рано или поздно эти качества восторжествуют в мире. Надо жить так, чтобы приближать это время. Но все это – общие, красивые слова, - подумает любой прочитавший. Нет, это – не просто слова! Не согласны? Давайте встретимся через несколько столетий и поговорим, и вы убедитесь в моей правоте».

\* \* \*

უფალო! ვიღწვით ქანცგაუწყვეტლივ...  
ნუ წაგვავრი უნარს სიყვარულისა;  
დაეჭვების წამს აგვავსე რწმენით  
და ძალა მოგვეც ძნელბედობისას.

\* \* \*

წუხილით, სევდით და აღტაცებით  
ამ წუთისოფლის ბრუნავს ისარი;  
გზები სიყვარულს უკლის გარშემო:  
გზა იგივეა. მაგრამ მიზანი?!

\* \* \*

იტყვიან ვინმე ყარიბ პოეტზე:  
მისი სტრიქონი საკირეს ჰგავდა,  
მაგრამ რა ჰქონდა ამ ქვეყნაზე?  
იგი განძს ფლობდა – რადგან უყვარდა!

\* \* \*

წარმავალია ყოველივე, ყოველ დანაკარგს  
იგლოვს ბუნება, – მკაცრია ბედი!  
მაგრამ ამ ნგრევის იმპერიაში,  
სიყვარული დგას ვით ნათლის სვეტი!

რუსულიდან თარგმნა სიმონ ჯაფარიშვილი

## თეოგნიდე (ქვ. წ VI ს.)

დღეს კეთილ ხალხთა ყველა სიკეთე  
გადაიბარა ბოროტთა მოღვამაზ  
და უცნაურმა კანონებმა მოიღვა ფეხი,  
მოკვდა სინდისი და სათნოება,  
ხოლო თავხედმა ძალმომრეობაზ  
ზელთ იგდო მიწა და  
ჩამარხა შიგ სამართალი.

\* \* \*

ერთი ფასი აქვს  
სიმართლეს და უსამართლობას  
მდაბალ კაცთათვის,  
არ უწყიან მომავლის შიში,  
და მრუდე გზით თუ  
ცოტას რასმე მოინაგრებენ,  
აგრე ჰგონიათ,  
პვლავაც უკეთ წაუვათ საქმე.

\* \* \*

ბევრ ცუდ კაცს ბევრი სიმდიდრე აქვს,  
კარგს – სილარიბე,  
მაგრამ თაღლითებს არ გავუცვლით  
ფულზე ჩვენ იმ განძს,  
რაც ჩვენში ჰგიეს  
და სიკეთე ჰქვია სახელად.  
ფული ხომ – იგი დღეს ერთისა,  
ხვალ კი – სხვისაა.

\* \* \*

იუფლე გონი,  
ენატკბილი იყავი მუდამ,  
გულგაფიცხება  
სულმდაბალთა ჩვეულებაა.

\* \* \*

სიმაძღვრემ მეტი შეიწირა,  
ვიდრე შიმშილმა,  
რადგან უძღებნი ბედისწერის  
გასცდნენ სამანებს.

ძველბერძნულიდან თარგმნა  
გიგლა სარიშეილმა

## „სადაურსა სად ცაიზან“

**მანანა ბრაჭული**

### „როები ფოვას თავის საეკიძღის ეკიძღის ცოვაზე? როები ჩიტი?“

„მზეს შუბლზე ბზარი ემჩნევა, კით ხევსურ თორლვას იარა.  
ომია წუთისოფელი, წოლა და ძილი კი არა!“

„რომელი ჩიტი იშენებს ბუდეს  
ძებვის რტოებზე, რომელი ჩიტი,  
და მერე ტოვებს თავის სამყოფელს  
და ცხრა მთას იქეთ მიფრინავს, მიდის?  
თუ..., არად უჩანს თვისი საუფლო,  
წარსულიც თვისი უჩანს არაფრად,  
რომ დაუგდია მას იგი ვანი  
ქვეწარმავალთ და გველთა ანაბრად?  
ქანაობს ბუდე გარეჯის ცის ქვეშ...  
მას კატასავით ეპარვის ბინდი...  
რომელი ტოვებს თავის სამკვიდროს  
ძებვის რტოებზე, რომელი ჩიტი?“

(ანა კალანდაძე, 1961წ.)

...რა ძალამ გამოგვყარა ჩვენი სახლებიდან, ჩვენი სოფელ-ქალაქიდან?! პასუხი თითქმის ერთნაირი გვაქვს, კითხვები კი უამრავი, ვინ და როდის, ან მოაგვარებს კი ვინმე ოდესმე იმ პრობლემებს, რომლებსაც გამოვექმეცით (გაქცევა პანაცეა არაა!), რომელსაც ცალ-ცალკე ვერა, მაგრამ ყველანი ერთად აუცილებლად შევძლებთ, რომ მოვაგვაროთ, ამისათვის ორი რამაა საჭირო – სწორი აზ-როვნება და სიყვარული, ცოდნა და სიყვარული.

რამდენმა ვიცით ჩვენი კონსტიტუციის მუხლები?! უკანონობას კანონით, ცოდნითა და სიყვარულით უნდა ვებრძოლოთ. ჩვენს საკუთხევლს არავინ გააკეთებს, ვნახეთ, რომ ვინც ჩვენს ჭირს გულგრილად უყურებს, ის ჩვენიანი არ არის, ის სხვა გახლავთ, სხვამ კი თავი არ აიტქია ჩვენი ტკივილის გამო, იქნებ მისი მიზანიც უგ იყო, დაცლილიყო ჩვენი საბუღლები და იქ გუგულებს ჩაედოთ კვერცხი, თავიანთი მომავალი გამოეჩეკათ?!

პრობლემა პრობლემად დარჩა, გაღრმავდა,

გაიზარდა და, რა დასამალია, ყოფნა-არყოფნის საკითხად იქცა. რა ვქნათ?! როდის?! აი, ამ კითხვის პასუხს ვაყოვნებთ და არც პასუხი გვექნება ერთგვაროვანი. ახალმა გარემოებამ რაც შემოგვთავაზა, მივიღეთ და შევეჩვიეთ. ეს შეჩვევა რომ სახიფათოა, მგონი, უნდა მივხვდეთ!

ჰო, კიდევ ერთი კითხვაა პასუხგასაცემი – გასაკვირი არ არის, ის უცხოელები, რომლებიც ლამის უკვე ჩვენზე მეტნი არიან ჩვენს მიწაზე, რითი და როგორ ირჩენენ თავს?! ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ?! იქნებ მიწისთვის ლირს რაღაც-რაღაცების მოთმენა (შიმშილისაც კი), თუ ის მიწა საფლავისთვის მაინც გვინდა! იქნებ იმაზე მეტს ვითხოვთ, რაც შეუძლია რომ მოგვცეს სამშობლომ?!

სამშობლოსადმი ჩვენს დამოკიდებულებაში ცხადდება ჩვენი ყოფის სინამდვილე.

როგორია, უმეტეს შემთხვევაში, დედა-შვილის, მამა-შვილის დამოკიდებულება დღეს? მშობელმა უნდა გაიღოს ყველაფერი, შვილებმა – არაფერი, მშობელმა უნდა შექმნას, შვილმა უნდა მოიხმაროს, მშობელი ღრმა სიბერემდე მარჩენალია, შვილი – მესაკუთრე; ასე იფურჩენება მომხვეჭელის ბუნება, შვილისა და მშობლის ურთიერთობა ვარდება ბუნებრივი კალაპოტიდან და ურთიერთობაში წარმმართველი არა გრძნობა, არამედ აღებ – მიცემობა, გამოყენებითი მიღვომა ხდება.

როგორც ერთი ნიჭიერი ქალბატონი ბრძანებს, მშობელი სპონსორი უფროა, ვიდრე მშობელი და შვილსაც ფული უფრო სჭირდება, ვიდრე დედ-მამა. სამშობლოსაც ასე ვექცევით, ამაგდარს, დაღლილს, ვალმოხდილს კი არ

გპატრონობთ, ვსაყველურობთ, იმდენის მოცემა რომ არ შეუძლია, რამდენიც გვჭირდება.

მე ვიცნობ ერთ ქართველ ქალბატონს, რომელიც, კარგა ზანია, სამოცდაათ წელს გადასცილდა აქ შრომის ათწლიანი გამოცდილებით. ეს ქალბატონი თავის შვილს, უკვე შვილიშვილების პატრონს, პაპას „ბოვშვს“ ეძახის, – „ბოვშვს“ დახმარება უნდა!

ვაი, იმ ერს, ვისაც ასეთი „ბოვშვი“ მამა-პაპა ჰყავს!

ადამიანი შრომაში რეალიზდება, შრომა კი ისე შევიძულეთ, ამ სიძულვილმა კუტებად გვაქცია, არც ბრძოლა და არც შრომა, აქვს მომავალი ასეთ ზალხს?! არა, რასაკვირველია! კუჭი თავზე მოგვიქცა, მეტისმეტად მივეჯაჭვეთ მატერიალურს, მომავალზე ფიქრს და, ვერ ვხედავთ, აწმყოშივე რომ ვთავდებით, ვიწრიტებით, ვიღევით!

„როგორც კი ადამიანის ან საზოგადოებისათვის სულიერი და ზნეობრივი ცნებები უკანა პლანზე გადადის, ხოლო სხეული, მატერიალური ფსიქოლოგია იმარჯვებს, ასეთი ადამიანის ან სახელმწიფოს (თუ გვაქვს სახელმწიფო?!) გაქრობა გარადაუკალია ...მცირერიც ხოვანი ხალხისთვის საკუთარი თავისა და მთლიანობის შენარჩუნება გაცილებით უფრო როულია...“ (სერგეი ლაზარევი).

როგორ და რა ხერხით უნდა გაძლიერდეს ქართველთა შორის ზნეობრიობა?! ვინ რა უნდა ასწავლოს უდედოდ, უბებიებოდ, უდეიდ-მამიდებოდ, გალოთებული მამის ანაბარად დარჩენილ 6-7 წლის ქართველს?! ვინ აღზარდ-გაზარდოს, ან რა მაგალითით, ან რა ღონისძიებით, ჩვენი ოჯახებისა და სამშობლოს მომავალი, თუ გვაქვს კიდევ მომავალი, როგორც ერს?!

ვინ აუნაზღაუროს, ან რა თანხით, ქართველ დედა-შვილს დაკარგული წლები ერთად ყოფნისა?!

რას ველოდებით, ჩემო კარგებო, ქაჯანას დაძახებას ხომ არა, „დროა, წადით, წადითო!“ არ ვიცი, რას ველოდებით, რატომ არ შეგვიძლია ქართველებს, ვიყოთ ბეჭდიერნი იმით, რაც გვაქვს და მოუაროთ იმას, რაც დარგვრჩა – „სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა!“ ეს მართლაც ასეა! დავუბრუნდეთ ჩვენს ძემვებზე მიტოვებულ სამკვიდროს!

გაზეთი „ელადა“ №10, მაის-ივნისი, 2010 წელი.



გიორგი მელიქავა

## „ეართული ეასეავლეალი“

ამონარიდი პუბლიკაციიდან

კარგი სანახაობაა მსოფლიო ჩემპიონატი ყინულზე ფიგურულ სრიალში: ვუცქერ, მსიამოვნებს... უცებ, ჩემი ყურადღება ორმა, სარეკლამო დაფად (საქართველოში ამბობენ „ბილბორდებიო“, არა?) ქცეულმა ზღუდემ მიიქცია: პირველ მათგანზე დიდი ასოებით ივრითით რაღაც აწერია, მეორე კი, მგონი ჩინური დამწერლობით უნდა იყოს შემკული. ორივე დაფის კუთხეში, ონავ შესამჩნევად იკითხება რომელიდაც ფირმის სახელი – ინგლისურად, მაგრამ შრიფტი იმდენად მცირე ზომისაა, კუთხეში მიჭუჭული...

პირველი სარეკლამო დაფის მფლობელი – არც თუ ისე მრავალიცხოვანი და სულ რაღაც სამოცი წლის სახელმწიფო, მეორე – რიცხოვნობით პირველია და სახელმწიფოებრიობაც ძველთამცელი აქვს, მაგრამ ამ იეროგლიფების წამკითხველი, მათ მეტი, აქ მაინც ბევრი არ მოიძებნება. ფიგურული სრიალის სანახავად მოსულთა უმეტესობა ინგლისურნოვანი მაყურებელია, ამიტომ დიდი ასოებით გამოსახულ წარწერას ისინი ვერ წაიკითხავენ. მაშ რას გამოხატავს ეს ორი სარეკლამო დაფა?

ამ ორი შესანიშნავი ქვეყნის პოლიტიკას, თანაფარდობას სახელმწიფო ენასა და უცხო ენას შორის, ეროვნულ თავმოყვარეობას, თავმომწონეობას, სიამაყესა და თავის გამოჩენას!

ჩვენ, ქართველები კი... მიმოიხედეთ ირგვლივ!!! მანდ, საქართველოში... ინტერნეტის ჭუჭრუტანიდან გიცქერით და გული მისკდება...

ო, როგორ მინდა შევძახო: მარჯი საქართველოს, მარჯი დედაენას!.. მაგრამ...

## „ენა დედაა ერისა“

**„ბურჯი ეროვნებისა“**

(ღირსესახსოვარ თარიღთა აღსანიშნავად)

„დედა ენის“ პირველ გამოცემამდე (1876), იაპობ გოგებაშვილს გამოცემული პქრილა „ქართული ენის ახდაცი და პირველი საკითხავი ზიგნი მოსწავლეთათვის“ (1865) და „ბუნების პარი“ (1868).

„რამდენადაც ხალხი დაბლა დგას აზრებით  
და განვითარებით, იმდენად უფრო დატაკია  
სიტყვებით, ფრაზებით. საოცრად ჰატარა  
ლექსიკონი აქვს“.

\* \* \*

„ვისაც კი მეტ-ნაკლებობით შესწავლილი  
აქვს, თუ რაში მდგომარეობს სისრულე  
ენისა, მისი სიმდიდრე, აზრსა და გრძნობაზე  
ზედგამოჭრილობა და კაფიობა, არ შეიძლება  
არ დაგვეთანხმოს, რომ ქართული ენა  
ეპუთვნის მაღალ აგებულების ენათა დასხა“...

\* \* \*

„განთქმული მეცნიერის კარლე ფონტის  
აზრით, თუ ხალხი თავის დედა ენას ცვლის  
სხვა ენაზე და ამ უკანასკნელზე იღებს  
განათლებას, იგი ვერ აიცილებს თავიდან  
გონიერის დაჩაგვრას, დამდაბლებას და მეტ-  
ნაკლებობით დაჰკარგავს შემოქმედებითს  
ნიჭს“.


**იაკობ გოგებაშვილი.**



მიმდინარე წელს სრულდება მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175, ხოლო მომავალ წელს „დედა ენის“ გამოცემის 140 წლისთავი.

ეს ორი ღირსესანიშნავი თარიღი ქართველი ერის ცნობიერების ბალავრის სიმტკიცის საფუძველს წარმოადგენს; ყოველი მოზარდი ხომ „დედა ენის“ პირველი ანბანური წყვილის, „აი იას“ გაცნობიერებით იწყებს სამყაროს შეცნობას!

იაკობ გოგებაშვილის თანამედროვეთა გადმოცემით: „ის იყო კარგად მოსული, ჩასხმული, მაღალი, მხარბეჭიანი და ლამაზი ვაჟკაცი, ომაზიანი და მჭექარე ხმით; მაგრამ ამ ახოვანებას, მის რიზიანობას, როგორდაც არ ეხამებოდა სევდით მომზირალი სახე, ოდნავ ფერმკრთალი იერით და კეთილშობილური გამომეტყველებით...“



მოგვიანებით კი, ერთი პატარა ოთახი დაიქირავა ვერაზე და იქ დასახლდა. გადაწყვიტა, არასოდეს დაბრუნებოდა სახელმწიფო სამსახურის მიმღებადი ქადაგი, ასეთი კატეტი გაქრის სალიტერატურო ჟურნალი. 1903 წლის 1 იანვრის დასახლდებოდა სამსახურის მიმღებადი ქადაგი, ამით ისარგებლა სემინარიის ადმინისტრაციამ და საიდუმლო მოხსენება აფრინა „სადაც ჯერ არს“ - თითქოს, იაკობ გოგებაშვილი თავის ბინაში აწყობდა ახალგაზრდების ფარულ შეკრებებს, ბავშვებს აკითხებდა „უარყოფითი მიმართულების წიგნებს“ და უნერგავდა ანტირელიგიურ შეხედულებებს. ამ მოხსენების საფუძველზე 1874 წლის სასწავლებლიდან გააძევეს და ჩამოართვეს სახელმწიფო ბინაც.

ავადმყოფობის შემდეგ, უბინაოდ დარჩენილი და სასუსტებული პედაგოგი, დროებით მისმა გულითადმა მეგობარმა, ნიკო ცხვედამებ შეიფარა; სემინარიის ატესტატი, აკადემიაში სწავლის მოწმობა და დაითიცა, ამიერიდან მთელი თავისი სიცოცხლე ქვეყნის სამსახურისთვის მიეძღვნა. იგი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა და მთელი ცხოვრება, ძალა და ენერგია ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას შეალია. უსამსახურომ, უბინაომ, უფულომ, მრავალი განსაცდელი გადაიტანა, მაგრამ მიზნისათვის არ უდალატია. უფრო მეტიც, იგი ეხმარებოდა ბევრ ქართველ მწერალს, ეხმარებოდა ხელმოკლე მოსწავლეებსაც. ბევრ მათგანს თვითონ უხდიდა სწავლის ფულს, ბევრმა კი მისი შუამავლობით სტიპენდია მიიღო; მათ შორის იყვნენ შემდგომში გამოჩენილი კომპიონიტორები ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი; იაკობი თავისი წიგნების შემოსავლიდან დიდ დახმარებას უწევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. ერთხელ, მთელი მიღებული თანხა – ცამეტი ათასი მანეთი – მთლიანად გადასცა საზოგადოებას და თავისთვის არაფერი დაიტოვა. ეს იმ დროს, როდესაც თავად საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა. ყოფილა დრო, როცა ბინის ქირის გადასახადიც კი ვერ გადაუხდია და მეგობრებს შეუფარებით.

საერთო საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად, ქართული მხატვრული ლიტერატურისა და პედაგოგიკის ისტორიაში, იაკობ გოგებაშვილმა, თავისი ლიტერატურული შემოქმედების აღმზრდელობითი იდეებით, თემატიკითა და მხატვრული ფორმით, პირველმა შექმნა ჩვენში საბავშვო მწერლობა, როგორც მხატვრული ლიტერატურის გარკვეული დარგი.

„ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, რომელიც გინდა, ევროპის ლიტერატურას დაამშვენებდა“ – აღნიშნავდა თავისი დროის შესანიშნავი მოღვაწე და ქართველი ხალხის დიდი მეგობარი არტურ ლაისტი.

„დედაენის გაცვლა უცხო ენაზედ – წერდა ი. გოგებაშვილი, – ამდაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა... თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი პერნი უბრალო ნიჭი, მტკნარ სიტუაციებში ჩამოხტება“ – მოძღვრავდა ქართველებს XIX საუკუნის ეს დიდი მოღვაწე.

„მხოლოდ დედა ენა არის ენა გულისა, გრძნობისა, სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ... დიაღ, მხოლოდ დედა ენა არის ენა სულისა და გულისა, კველა უცხო ენანი არიან ენანი მეხსიერებისა“ – წერდა ი.გოგებაშვილი. მისი „დედა ენის“ ღვაწლი ერის სულიერი გადარჩენისა და გონებრივი განვითარების საქმეში განუზომელია.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ეს ზოგადი ფაქტებიც კი, გარკვეულწილად წარმოაჩენს სახეს, ამაღლებული სულისა და ღირსების მქონე მამულიშვილისა, რასაც მინდა დავურთო ამონარიდი ერთი პუბლიკაციიდან (ავტორი ლია მარტაშვილი), რომელიც ეძღვნება 2013 წლის 16 ნოემბერს, ვარიანში, ი.გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში ჩატარებულ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ პედაგოგთა ფორუმს. კორესპონდენტი თავის სტატიას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ – წინასაარჩევნო ტური ბატონმა ირაკლი ლარიბაშვილმა სწორედ ამ სახლ-მუზეუმიდან დაიწყო. ის ამ უწმინდეს ადგილზე თავისი ქართული შეგნებითა და განათლებით მოვიდა – აღნიშნეს მუზეუმის თანამშრომლებმა ჩვენთან საუბარში და იმედი გამოთქვეს, რომ ქვეყნის მთავრობა ირაკლი ლარიბაშვილის თავკაცობით არც ამიერიდან მოაკლებს ფურადლებას ერის სასიქადულო შვილს, მისი სახელობის მუზეუმსა და პედაგოგიურ კავშირს.

ათასი დარღუბალით შეჭირვებულ ქართველ ერს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება იაკობ გოგებაშვილი, რათა გადარჩეს ჩვენი სალოცავი სამება – მამული, უნა, სარწმუნოება“.

გვინდა ჩვენი ხმაც შევუერთოთ სტატიის ავტორის სულისკვეთებას: საქართველოს ინვალიდთა კავშირმა – „გიდი“ („გაერთიანებული ინვალიდები დემოკრატიისათვის“) და უურნალ „არმაღანის“ სარედაქციო კოლეგიამ, ი. გოგებაშვილის 175 და „დედა ენის“ 140 წლის საიუბილეოდ შეიმუშავა „დედა ენის“ სამახსოვრო მედლის პროექტი, რომელიც გვინდა გავაცნოთ საზოგადოებას და მათი შენიშვნების გათვლისწინებით დავამზადოთ მედლის სანიმუშო ორიგინალი – ძვირფასი, ნახევრადძვირფასი ლითონებისა და ტიხრული მინანქრის გამოყენებით (იდეის ესკიზისა და დიზაინის ავტორები სიმონ ჯაფარიძე და გოჩა სოზიაშვილი). ამასთან ერთად, გამომცემლობას საიუბილეო თარიღისათვის მომზადებული აქვს გამოსაცემად ინვალიდთა კავშირის წევრთა წიგნები, კერძოდ: ს. ჯაფარიძის და გ. სოზიაშვილის ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კრებულები, ენათმეცნიერი პედაგოგების, პროფესიონერების – ამირან ლომთაძისა და აწ გარდაცვლილი ელიზბარ ლომთაძის მეცნიერული ნაშრომები.

საქართველოს კულტურისა და განათლების სამინისტროების რეკომენდაციების გათვალისწინებით და საქართველოს საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევით (ვისთვისაც ცნობილია „დედა ენის“ საიუბილეო მედლის ესკიზი), გვსურს ისე განვახორციელოთ ჩვენი ჩანაფიქრი, როგორც ერის ღირსებას და დიდი მამულიშვილის ხსოვნას შეეფერება.

ინვალიდთა კავშირი „გიდის“ სახელით:

გოჩა სოზიაშვილი,  
კავშირის თავმჯდომარე,  
გამომცემლობა „არმაღანის“ დირექტორი,  
„ფაზისის“ საერთო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სიმონ ჯაფარიძე,  
ინვალიდთა კავშირის პერიოდული გამოცემის,  
საზოგადოებრივ-ლიტერატურული უურნალის  
„არმაღანი“ მთავარი რედაქტორი.

## იაკობ გოგებაშვილის პირადობი



**მე.** ქვემოთ ხელისმომწერი, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, საღი გონიერით და მტკიცე მეხსიერებით, ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში ვაცხადებ ჩემს შემდეგ ნებასურვილს:

ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილ გამოუკლებლივ ყველა ჩემს სახელმძღვანელოსა და წიგნსა, აგრეთვე მრავალრიცხოვან ნახატ და საწერი დედნების კლიშეებსა, ლითოგრაფიულ ქვასა, რომელზედაც მოგრავირებულია საქართველოს რუკა და წარმოადგენს „ბუნების კარის“ დანართს და ინახება მესხიერის ლითოგრაფიაში, ასევე ყველა ჩემს სტატიას, დაბეჭდილს ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, დაუმთავრებელი წიგნების, ჯერ დაუბეჭდავი სტატიების ხელნაწერებს, ჩემს ბიბლიოთეკას ვუანდერებდ კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართულ მოსახლეობას შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელ“ თბილისის საზოგადოებას. ამავე საზოგადოებას ვუანდერდებ მიწის ნაკეთს ვერაზე თბილისში, ზომით 264 კვადრატულ საუენს, რომელიც 1901 წელს ვიყიდე ნაფიც ვექილ ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარისაგან და მის რწმუნებულისაგან აზნაურების გერასიმე დიმიტრის ძე პოლშეგნისა და ვლადიმერ ალექსის ძე ოსიპოვისაგან, აქტით № 208, რომელიც მოხდენილია იმავე წელს ქალაქ თბილისის უფროს ნოტარიუსთან.

ამასთან ერთად წერა-კითხვის საზოგადოებას “ვაკისრებ დაიცვას შემდეგი პირობები:

**პირადობი:** ჩემი სახელმძღვანელოების ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე ის ვალდებულია დააარსოს და შეინახოს სანმუშო დაწერებითი სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ვარიანში, რომელიც ქალაქ გორის მახლობლად იმყოფება.

**მეორე:** ყოველწლიურად აძლიოს ყოველის ნახევარი წლის განმავლობაში ასოცი მანეთი ჩემ მოხუც დას ეფემია სიმონის ასულს ინოურის ქვრივს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მის დარიძ შვილს გიორგის, ოჯახთან ერთად, სანამ ეს შესაძლო იქნება.

**მესამე:** თუ ჩემი სტიპენდიანტები: მმისწული შალვა გოგებაშვილი, ამჟამად კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი, აგრეთვე ჩემი დისტულის შვილი კონსტანტინე კასრაძე, მანვენინელი სტუდენტი, ვერ მიიღებენ საქმაო სტიპენდიებს, საზოგადოების გამგეობის შუამდგრმლობით, მაშინ ეს გამგეობა მისცემს ორთავეს შესაძლებლობას ჩემი სახელმძღვანელოების შემოსავლის ხარჯზე დაამთავრონ უმაღლესი განათლება.

**მეორეს:** ჩემი ქართული და რუსული წიგნების ყოველი გაყიდული ეგზემპლიარიდან „წერა-კითხვის საზოგადოება“ გადასდებს არანაკლებ 1 კაპეიკსა სახალხო საგანმანათლებლო კაპიტალის შესაქმნელად, რომლის პროცენტებით იგი, ქართველი ინტელიგენციის დემოკრატიული ელემენტის გასაბლიურებლად, უმთავრესად სპეციალურ, კერძოდ კი პედაგოგიურ სასწავლებლებში აღზრდის ფელაზე ნიჭიერ და სახალხო სკოლის კურსის წარმატებით დამთავრებულ ბავშვებს: გლეხებისა, მუშებისა და დარიძ სახალხო მასწავლებელთა, ამავე კაპიტალისათვის გნიშნავ ჩემი მიწის ნაკეთს ვერაზე, რომელსაც საზოგადოების გამგეობა გაპყიდის მხოლოდ მაშინ, როცა მიწის ფასი ძალიან აიწევს და მთელ აღებულ თანხას შეუერთებს ჩემს სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალს. ამავე კაპიტალის შემადგენლობაში უნდა შევიდეს ჩემი ნადდი თავისუფალი თანხების დაახლოებით ნახევარი, ჩემი სხვა ანდერძის

თანახმად. საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებლის ხარჯვას სტიპენდიისათვის საზოგადოების გამგეობა არ იწყებს მანამ, სანამ ის არ მიაღწევს ათი ათას (10. 000) მანეთამდე.

**მეცნიერება:** ჩემი წიგნების შემოსავლიდან კი საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურ სუბსიდიას არანაკლებ 300 მანეთისა აძლევს ქართულ პედაგოგიურ ურნალს „განათლებას“, რათა ამ ურნალმა, რომელიც აუცილებლად საჭიროა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, არ შეწყიტოს თავისი არსებობა დეფიციტის მძიმე ტვირთის გამო.

**მემკვიდრეობა:** ყოველწლიურად აძლევს აკაკი როსტომის ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც პონორარს იმ საბავშვო ლექსებისთვის, რომლებიც იბეჭდება „დედა-ენაში“ და რომლებიც ჩემის თხოვნით სპეციალურად დაწერილია ამ ჩემი გამოცემისათვის.

**მეშვიდე:** ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებსა და წიგნებში შეიძლება იქნას შეტანილი ამ ცვლილებათა მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საზოგადოების გამგეობის ყველა წევრის მიერ, და მიღებულ იქნება დადგენილება გამგეობის ყველა წევრის სამი მეოთხედის მიერ. ჩემი ამათუიმ სახელმძღვანელოს გამოცემის შეწყვეტისათვის კი საჭიროა გამგეობისა და საზოგადო კრების აგრეთვე სამი მეოთხედის უმრავლესობა.

**მერვე:** სამი წლის განმავლობაში ჩემი გარდაცვალების დღიდან საზოგადოების გამგეობა წესრიგში მოიყვანს და დაბეჭდავს ჩემს მიერ ჯერ გამოუცემელ როგორც ქართულ, ისე რუსულ სტატიებს.

როგორც რუსული, ისე ქართული სტატიები იბეჭდება ცალკე ტომებად იმავე ქრონოლოგიური რიგით, რომლითაც ჩემს მიერ გამოცემულია ჩემი რჩეული ქართული სტატიების პირველი ტომი. ხარჯებს ორი პირველი ტომის გამოსაცემად გამგეობა

ეწევა ჩემი სახელმძღვანელოების მოგებიდან იმ შემთხვევაში, თუ მე ვერ მოვახერხე ამ მიზნისათვის დავსტოვო განსაკუთრებული, სპეციალურად-საჭირო თანხა.

**მეცნიერება:** „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა ყოველწლიურად ათავსებს თავის ანგარიშში განსაკუთრებული ნაწილის სახით რაც შეიძლება ზედმიწევნით ცნობებს ჩემი სახელმძღვანელოებისა და წიგნების გამოცემის, მათი გაყიდვით მიღებული წმინდა მოგების და ამ მოგების გამოყენების შესახებ ჩემი ამა ანდერძის თანახმად.

**მეათე:** თუ „წერა-კითხვის საზოგადოება“ რაიმე განსაკუთრებულ გარემოებათა გამოიძულებული შექმნება შესწყვიტოს თავისი არსებობა, საქმეების ლიკვიდაციის დროს საზოგადო კრებამ საკუთრების უფლება ჩემს სახელმძღვანელოებზე წიგნებზე, აგრეთვე სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალზე უნდა გადასცეს რომელიმე მნიშვნელოვან ქართულ დაწესებულებას იმ აუცილებელი პირობით, რომ წიგნების წმინდა მოგება და სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებელი გამოყენებულ იქნეს სწორედ იმ დანიშნულებისათვის, რომელიც გამოხატულია ჩემს ანდერძში.

ამა ჩემი ანდერძის აღმასრულებლად ვნიშნავ: ფილიპე გაბრილეის ძე გოგიჩაიშვილს, ვალერიან ლევანის ძე გუნიას, ნიკოლოზ იოსების ძე ლომაურს, შიო ზაქარიას ძე დედაბრიშვილს და სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილს. 1912 წელი 14 მარტი.

ესე ანდერძი შეადგინა, გადასწერა და მას ხელი მოაწერა თვითონ მოანდერძებ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილმა.

მოწმენი:

ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე.

დიმიტრი მოსეს ძე ლუმბაძე

გრიგოლ იესეს ძე ბურჭულაძე.

ურნალი „განათლება“, 1912 წელი, № 6.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის ოქტომბერში იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 წელი სრულდება. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად ურნალების – „საქართველოს მოამბე“, „არმაღანი“ და „ბონდი“ – რედაქციაში, მამა ილია ჩიკვაძის ლოცვა-კურთხევით მზადდება „საქართველოს მოამბის“ სპეციალური ნომერი.



### იუანე ჯაფარიშვი

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,  
დავით აღმაშენებლისა და

ნიკო ნიკოლაძის

პრემიების ლაურეატი

## ტრიუმფი „ლა-სკალაში“

ისსენებს

თენგიზ

უთმელიძე

თენგიზ უთმელიძე დიდებული მოცეკვავე  
და მსახიობი, სუხიშვილების ანსამბლის  
ოქროს ხანის გამორჩეული სოლისტი,  
ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, არაერთი  
წიგნის ავტორი და რედაქტორი, ქართული  
ქორეოგრაფიის მემატიანე, ღირსეული  
და სამაგალითო პიროვნება გახლავთ.  
იგი საოცარი თავმდაბლობით გამოირჩევა,  
რითაც დიდ სიყვარულს, მოწიწებასა და  
პატივისცემას იწვევს საზოგადოებაში. ჩუმად,  
უხმაუროდ, ჭეშმარიტი ქართველი რაინდის  
ძალმოსილებით იღვწის და მრავალ ეროვნულ  
საქმეს აუიოტაჟის გარეშე, უანგაროდ  
აკეთებს.

თენგიზ უთმელიძე ბავშვობიდანვე ეზიარა  
ქართული ცეკვის მშვენიერებას მაშინდელ  
პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ხოლო  
1957 წელს, მოსკოვის სტუდენტთა და  
ახალგაზრდობის მე-6 მსოფლიო ფესტივალში  
მონაწილეობისას, ილიკო სუხიშვილმა და  
ნინო რამიშვილმა სცენაზე ნახეს თუ არა  
ულამაზესი გარეგნობის მშვენიერი მოცეკვავე,  
მაშინვე მიიწვიეს საქართველოს ხალხური  
ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში.

თენგიზ უთმელიძემ, აკადემიურ ანსამბლში  
ჩვიდმეტწლიანი მოღვაწეობის პერიოდში, დიდი  
წარმატებით მოიარა მსოფლიოს 70 ქვეყანა. ამ  
ანსამბლში ჩამოყალიბდა იგი ერთ-ერთ წამყვან  
სოლისტად და პროფესიონალ მოცეკვავედ.  
დაუგიწყარია მისი სოლო პარტიები ცეკვებში:



თენგიზ უთმელიძე

„ხევსურული სიუიტა“, „ხორუმი“, „ჯეირანი“,  
„წყაროსთან“, „დავლური“, „ხონგა“, „ლელო“.  
განსაკუთრებული აღიარება და პოპულარობა  
კი მოუტანა ცეკვა „ქართულმა“, რომელსაც  
ბრწყინვალედ ასრულებდა ლეგენდარულ ნინო  
რამიშვილთან ერთად.

თენგიზ უთმელიძის დახვეწილმა  
არტისტიზმმა, შესრულების მაღალმა  
კულტურამ, სცენური გარდასახვის უნარმა,  
კეთილშობილებამ და ტემპერამენტმა  
განაპირობა რუსთველისეული ტარიელის  
შთამბეჭდავი სცენური სახის შექმნა  
ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „ქაჯეთის  
ციხის აღება“.



**„ქაჯეთის ციხის აღება“.**  
**„ტარიელი“ – თენგიზ უთმელიძე,**  
**„ნესტანი“ – ლატავრა ფოჩიანი.**

თენგიზ უთმელიძემ არა მარტო ქართულ ცეკვას, ქართულ კინოსაც გადაუხადა ხარკი, მან აბესალომის როლი შეასრულა ქართულ მხატვრულ ფილმში „ეთერის სიმღერა“, რომელიც რეჟისორმა სიკო დოლიძემ გადაიღო.

თენგიზ უთმელიძეს გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები 1970 წელს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ანსამბლის მოგზაურობის შესახებ. ქართული კულტურის თემაზე დაწერა და გამოაქვეყნა 200-ზე მეტი ნარკვევი, წერილი, სტატია, ნოველა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იგი ათეული წლებია ნაყოფიერად მოღვაწეობს ამ მეტად საპასუხისმგებლო დარგში. მის მიერ უცხოეთის ქვეყნებიდან ოპერატიულად გამოგზავნილი წერილები და ფოტორეპორტაჟები ანსამბლის ტრიუმფალური გამოსვლების შესახებ, სისტემატურად იძებელებოდა სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში. წლების მანძილზე იყო ქართული გაზეთების საეციალური კორესპონდენტი საზღვარგარეთ. „სუხიშვილების“ ანსამბლის შემოქმედებითი

მოღვაწეობის შესახებ შექმნა უნიკალური ფოტომატიანე, რომელიც მრავალჯერ წარმატებით გამოიიფინა თბილისისა თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, 2012 წელს კი, ეს უნიკალური ისტორიული მასალა წიგნად აკინძა და გამოსცა სათაურით „რომანტიკული ფოტომატიანე – სუხიშვილები“, რომელმაც ქართველი საზოგადოების უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

„სუხიშვილების“ ანსამბლი ყველგან განსაკუთრებული წარმატებით გამოდიოდა, მაგრამ სენსაციური აღმოჩნდა კონცერტები იტალიაში, მილანში, „ლა-სკალას“ სახელგანთქმული თეატრის სცენაზე, სადაც არნახული მოვლენის მოწმენი გაზდნენ მაყურებლები. ჯერ ერთი, ეს იყო პირველი ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც მსოფლიოში სახელგანთქმული საოპერო თეატრის სცენაზე გამოდიოდა და თეატრის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, რომ უდიდესი წარმატების აღსანიშნავად, მქუხარე ოვაციების ქარიშხალში 14-ჯერ თუ 16-ჯერ აიწია ფარდა. თენგიზ უთმელიძე ანსამბლის ყველა წარმატებას კალმითა თუ ფოტოაპარატით ხელში აღწერდა, აფიქსირებდა და უდიდესი საგანძური შეუქმნა მომავალ თაობებს.

ლა-სკალას ლეგენდა დღემდე დაუვიწყარია ანსამბლის მონაწილეებისათვის.

45 წლის შემდეგ კი თენგიზ უთმელიძემ სწორედ ამ უდიდეს მოვლენას უძღვნა ლექსი „ტრიუმფი“.

„ილიკოსა და ნინოს ლეგენდა,  
ცერზე შემდგარი სამყაროს უკლის,  
მანდილითა და ხმლით შეფიცულებს,  
თანა სდევთ მადლი და ლოცვა უფლის.

სახელგანთქმული, როკვის ოსტატნი,  
ბევრგან შერაცხეს ცეკვის ვარსკვლავად,  
მაგრამ წინ რთული გამოცდა ელით,  
მათ ხომ მასპინძლობს დიდი „ლა-სკალა“.

„ლა-სკალას“ ახსოვს კორიფეების,  
სულისშემძღვრელი ხმები ხალასი,  
კარუზო, ჯილი, მონაკო, ლანცა,  
ლეგენდარული ქალი – კალასი.

აქ დღესაც ისმის, ახლაც ტრიალებს,  
გზნებით აღვსილი ფეთქვა გულების,

ვერდის, პუჩინის, ლეონქავალოს  
და სხვა ტიტანთა დიდი სულები.

ეს ციტადელი – მუსიკის მექა,  
ზღაპრულ ტრიუმფებს როცა მოესწრო,  
ტოსკანინა მათი ავტორი,  
გენიალური, მკაცრი მაესტრო.

მშვენიერების აქ მოსაფენად,  
ქართული ჯიშის გიზგიზებს ცეცხლი,  
ქალ-ვაჟთა ლაღი შენავარდება,  
არწივთ ირაო, გაფრენა მერცხლის.

„ფარცა“, „ხორუმი“ და „ხევსურული“,  
„ძველი თბილისი“ და „მუხამბაზი“,  
თვალწინ ცოცხლდება ერის წარსული,  
მარად უკვდავი, ასე ლამაზი.

ლატავრას ქროლვა კდემით მოსილი,  
როკვის გვირგინი – ჩვენი „ქართული“,  
ფრიდონის გასმა სწორუპოვარი,  
გასაოცარი და შემართული.

„სამაიას“ და „დავლურის“ მზერით,  
როს გაირინდა მთელი დარბაზი,  
მე გამახსენდა სცეტიცხოველი,  
ჩემი მცხეთა და ჩემი არმაზი.

სცენაზე მოსჩევუს უზადო ზიბლი,  
შნოს და ლაზათის მძლავრი ნაკადი,  
ვირტუოზული, თავბრუდამხვევი,  
ცეკვის ილეთთა უხვი კასკადი.

დაპქრიან ისე, ვით ჯადოქარნი,  
ისმის ყიუინი, უღრიალი ზმალთა,  
რაინდთა შმაგი მზარულება  
და სინარნარე ღვთაებრივ ქალთა.

ანსამბლი ქვეყნის დიდ ისტორიას,  
თვალისმომჭრელი ცეკვებით ქარგავს,  
გაოგნებული მაყურებელი,  
წონასწორობას თანდათან ჰქარგავს.

და, პა, იწყება მროკავთ „შეჯიბრი“,  
ცერზე სრბოლაში, მუხლზე ტრიალში,  
მრავლისმნახველი „ლა-სკალას“ ჰქრი,  
ლამის გაიპო ტაშის გრიალში.

ფეხზე ამდგარი გრგვინავს დარბაზი,  
„ბისსა“ და „ბრავოს“ არ უჩანს ბოლო,  
ფარდა იხსნება ისევ და ისევ,  
ცეკვას ცვლის ცეკვა და სოლოს – სოლო.



„ლა-სკალაში“ ქართველ მოცეკვავეთა ტრიუმფალური გამოსვლა.

არასდროს თვალით რომ არ ენახათ,  
მათ აქ იხილეს ეს სასწაული,  
ქართული ჯიშის გამობრწყინება,  
ქართული სულის დღესასწაული.

ილიკოსა და ნინოს ლეგენდა,  
ქვეყნიერებას ტრიუმფით უვლის,  
მანდილითა და ხმლით შეფიცულებს,  
თავს ადგათ მაღლი და ლოცვა უულის“.

ბ-ნი თენგიზის არქივში შემონახულია  
აგრეთვე უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული  
რეცენზიები და სტატიები, რომელთაც წლების  
მანძილზე დიდი რუდუნებით აგროვებდა  
იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.  
გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს სხვადასხვა  
ჟურნალ-გაზეთებიდან და ამ ფანტასტიკური  
კონცერტის პროგრამასა და აფიშას.

„1967 წლს ქართველმა მოცეკვავებმა  
დაარ-დვიეს „ლა-სკალას“ საუკუნოვანი  
ტრადიცია. ეს იყო პირველი შემთხვევა ამ  
უნიკალური თეატრის ისტორიაში, რომლის

სცენაზეც, ორგანყოფილებიანი, ეროვნული პროგრამით გამოვიდა პატარა ქვეყნის, მაგრამ დიდი კულტურის მქონე ფოლკლორული ცეკვის ანსამბლი და ბრწყინვალე სპექტაკლით ღირსეულად და ტრიუმფით წარსდგა მომთხოვნი მაყურებლის წინაშე, უჩვენა მათ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი გენიალური და უკვდავი ხელ-ოვნება, რომელიც ქართველი ხალხის სავიზიტო ბარათად იქცა მთელს ღელამიწაზე და მყარად დაიმკვიდრა ღირსეული და სამართლიანი აღგი-ლი ცივილიზებული მსოფლიოს კულტურის სა-განძურში“ (ჟურნ. „ხელოვნება“, თბილისი).

„ლა-სკალას“ სცენაზე ქართველმა მოცეკვა-ვებმა მოიტანეს ქართული ფოლკლორის სუნთქვა. მათი ცეკვები სათავეს იღებს მდიდარი და უძველესი ქართული ისტორიის ფესვებიდან. „ლა-სკალაში“ ასეთი ტრიუმფით ჯერ არავინ გამოსულა. ქართველებმა დაიპყრეს ჩვენი გული და გონება... მხურვალე ტაში, ოვაცია, ალფორთოვანება... უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ არა წარმატებაზე, არამედ ტრიუმფზე!“ (გაზ. „კორიერე დელლა სერა“, ქ. მილანი, 1967 წ.).

„ქართველი მსახიობები უდიდესი რეალიზმით გვიჩვენებენ ძველი, მდიდარი ისტორიის მქონე თავიანთი ქვეყნის ცეკვების სულს. მათ ნამდვილადს შემოქმედებით მწვერვალამდე აჰყავთ ტექნიკური ოსტატობა. ხშირად ადამიანის ენა უძლურია სიტყვებით გამოთქვას ის დიდი ქება, რომლის ღირსიც არის ბრწყინვალე ანსამბლი.

ეს იყო ნამდვილი გონების შემძრელი საღამო!“ (გაზ. „კორიერე ლომბარდი“, ქ. მილანი, 1967 წ.).

თენის უთმელიძე სხვადასხვა წლებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა საქართველოს კულტურის სამინისტროში, სახალხო განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში, საქართველოს უურნალისტთა კავშირში; იყო საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელი, მერაბ ბერძნიშვილის სახელობის კულტურის



ცეკვა „ქართული“.  
ცეკვავენ ნინო რამიშვილი და  
თენის უთმელიძე,

საერთაშორისო ცენტრის „მუზას“ გენერალური დირექტორი. კოორდინატორი ქართული კულტურის დღეებისა სან-დიეგოში (აშშ, 1999 წ.), სტამბოლში (თურქეთი, 2001 წ.), მოსკოვში (რუსეთი, 1998 წ.).

აღსანიშნავია, რომ მისი ინიციატივითა და ძალისხმევით 2005 წელს საქართველოში დაარსდა „ქართული ქორეოგრაფიის დღე“, რომელიც ყოველწლიურად 11 ივნისს აღინიშნება, როგორც მოცეკვავთა პროფესიული დღესასწაული.

თენის უთმელიძე მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არჩეულია ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და მეცნიერების აკადემიის ნამდვილ წევრად, არის საკავშირო და საქართველოს უურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებულ არტისტის წოდება.

ღირსეულ პიროვნებასა და დიდ მამულიშვილს უურცებოთ კალავ შემართებით ეღვაწოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

## „ამ პატარას, იმ პატარას...“

### გრძელ გავარსებელ პლენი შალი

აზალი ქართული ზღაპარი

ოდესლაც ერთი შეძლებული გლეხი ცხოვრობდა, რომელსაც შაქრო ერქვა. ჰყავდა ცოლი და ერთიც პრანჭიკელა გოგო, სახელად მაია. ეს გოგო სულ სარკესთან ტრიალებდა და მთელ დღეს კოხტაობას ანდომებდა.

შაქროს ერთი მოჯამაგირეც ჰყავდა — თანდილა. მოჯამაგირე მუხლჩაუხრელი და ჯანმაგარი ბიჭი იყო, ყველა საქმეს დაუზარებლად აკეთებდა. თანდილას გლეხის გოგო უყვარდა, პრანჭიკელა მაია კი მოჯამაგირეს ზედაც არ უყურებდა.

შაქრომ და თავისმა ცოლმა იცოდნენ, რომ თანდილას მათი შვილი გულში ჩავარდნოდა და წინააღმდეგნი სულაც არ იყვნენ. შრომა არც თვითონ ეთაკილებოდათ და გამრჯე სიძეზე უარს ნამდვილად არ იტყოდნენ, მაგრამ გოგო იყო უარზე, მე ქმრად თეთრცხენიანი უფლისწული შემეფერება და არა მამაჩემის ცინგლიანი მოჯამაგირეო.

ამასობაში დროც გადიოდა. თანდილა ყველანაირად ცდილობდა, მაგრამ მაიას გული ვერა და ვერ მოინადირა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და შაქროს უთხრა:

— შენი ქალი ცოლად არ მომყვება. უპვე ოცდაათი წლისა ვარ. უნდა ავდგე და წავიდე სადმე. უცოლოდ ვერ დავრჩები. გულის კარს ვინც გამიღებს, ცოლადაც იმას შევირთავ.

— ნუ წახვალ, — სთხოვა გლეხმა, — ჩემი სულელი შვილი თეთრცხენიან უფლისწულს ელოდება. ჰოდა, ის უფლისწული შენ იქნები.

— მე და უფლისწული? — გაუკვირდა თანდილას, — უფლისწულისა არაფერი მცხია. შენი ქალი მიხვდება, უფლისწული რომ არა ვარ და უარესად ამითვალწუნებს.



— ვერაფერსაც ვერ მიხვდება; შენთვის ხეირიანად არც კი შემოუხედავს. ყური მიგდე და ის გააკეთე, რასაც გეტყვი. ფულს მოგცემ. წალი და სამი ცხენი იყიდე; ერთი თეთრი, დანარჩენ ორზე კარგი უნდა იყოს. თეთრ ცხენზე შენ შეჯდები, დანარჩენ ცხენებზე კი შენი მეგობრები შესხდებიან. სამი ხელი მდიდრული სამოსიც უნდა იყიდო. ერთი სამოსი დანარჩენ ორზე უფრო მორთულ-მოკაზმული უნდა იყოს, რომელსაც შენ ჩაიცვამ, დანარჩენ ორ სამოსში კი შენი მეგობრები გამოეწყობიან. მანამდე კი შენ და შენი მეგობრები აბანოში წახვალთ და კარგა გემრიელად იბანავებთ; დალაქსაც მიაკითხავთ, რომ გაკოხტავდეთ. ხვალ დილით კი სამივე ჩემს ჭიშკარს მოადგებით. შენ იტყვი, უფლისწული ვარ და აქ მშვენიერი ქალის სათხოვნელად მოგედი-თქო. დანარჩენი მე და ჩემმა ცოლმა ვიცით.

შაქრომ მოჯამაგირეს უფლი მისცა და თანდილამაც ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც გლეხმა დაარიგა.

მეორე დღეს, ინათა თუ არა, გლეხის ჭიშკარს სამი ერთიმეორეზე ახოვანი ცხენოსანი მოადგა. თანდილა მდიდრულ სამოსს, თეთრ ცხენსა და კოხტად შეკრეჭილ-დაყენებულ თმა-წვერს ისე შეეცვალა, რომ გლეხმა და თავისმა ცოლმაც კი ძლივს იცნეს – ნამდვილ მეფისწულს დამსგავსებოდა!

– უფლისწული ვარ და აქ მშვენიერი ქალის სათხოვნელად მოვედი, – ომახიანად შესძახა თანდილამ.

– მობრძანდით. სტუმარი ღვთისაა, – გაეღიმა შაქროს და თავის მოჯამაგირესა და მის მეგობრებს ისე მიესალმა, როგორც უფლისწულსა და მის ამალას ეკადრებოდა.

თანდილამ და მისმა მეგობრებმა ეზოში შეაგელვეს ცხენები და ძირს ჩამოხდნენ.

– ვაითუ რამეს მიხვდეს შენი ქალი, მერე რაღა ვქნა? – გადაუჩურჩულა თანდილამ შაქროს.

– ვერაფერს მიხვდება, ამაზე ნუ იდარდებ, – ჩურჩულითვე მიუგო გლეხმა და წინასწარ დარიგებულ ცოლს უთხრა, – აბა, დედაკაცო, უფლისწული მოსულა ჩვენი ქალის სათხოვნელადა, შინ შედი და მაია გამოიყვანე! ბატონიშვილი ველარ იცდის, ასე ამბობს, ჯვარი ახლავე უნდა დავიწეროო.


გლეხის ცოლმა ქალი გამოიყვანა.

მაიამ თეთრცხენიანი, მდიდრულად მორთულ-მოკაზმული მშვენიერი ვაჟკაცი რომ დაინახა, ნამდვილი უფლისწული ეგონა და კმაყოფილებით თქვა:

– აკი ვამბობდი, თეთრცხენიანი უფლისწული მომაკითხავს-მეთქი! თქვენ კი იმ ვიგინდარა მოჯამაგირეზე გათხოვებას მიპირებდით. თანახმა ვარ, ჩემო უფლისწულო, შენი ვარ, მუდამ შენთან ვიქნები და შენთან ერთად, სადაც გინდა, იქ ვიცხოვრებ.

დრო აღარ დაუკარგავთ, ყველანი მაშინვე სოფლის ეკლესიაში მივიდნენ. მღვდელმა სიძე-პატარძალს ჯვარი დასწერა და ცოლ-ქმრად გამოაცხადა.

გაიმართა ქორწილი, ჭამა-სმა და ცეკვა-თამაში.



დამით კი, როცა თანდილა ცოლთან შევიდა და მორთულ-მოკაზმული სამოსი გაიხადა, გლეხის ქალი მაშინდა მიხვდა, რა უფლისწულის ცოლობაც არგუნა ღმერთმა, მაგრამ უკვე გგიანი იყო და რაღას იზამდა?!

– უი, ქა, – გაიოცა ქალმა, – შენა ყოფილხარ, შე ცხვირმოუხოცავო ვიგინდარავ, შენა.

– აკი ღვთის წინაშე დაიფიცე – შენი ვარ, მუდამ შენთან ვიქნები და შენთან ერთად, სადაც გინდა, იქ ვიცხოვრებო? – ქალს მისივე სიტყვები შეახსენა თანდილამ.

– რაღა გაეწყობა, ჯანი გავარდეს! ისე კი არა გიშავს, კარგად ჩაცმულ-დახურული და თეთრ ცხენზე ამხედრებული მართლაც უფლისწულივით კოხტა ხარ... ისე მომეწონე, რომ თვალი ვერ მოგწყიტე, – გაეღიმა მაიას და ქმარს მკერდზე მიეხუტა.

გლეხის ქალი ბედს დამორჩილდა, ქმარი შეიყვარა და მას შემდეგ დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ამ ამბის გახსენებაზე კი ყოველთვის გულიანად ეცინებოდათ.

ეელა ბერუაშეილი

**ღმილა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის  
სალიტერატურო ჟურნალი  
„საქართველოს მოამბე“**

**მკითხველს ვთხოვთ, მოუფლოთხილდეს შურნალს  
მასში გამოქვეყნებული მასალების გამო**

**ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას**

ოპერატორები: ეკა მანგოშვილი  
ნორა თიგიშვილი  
ნატო ბრეგვაძე

რედაქციის მისამართი: თელავი, კევლიშვილების ქ. №10

რეგისტრაციის № 34-4-114





## ცყალობის ცვინძა პიორჩის ხატი

ესპიზი მამა ილია ჩიკვაიძისა  
ხატვარა ეპატერინე პერიჭვილისა